საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№22 (257)
18 - 24 ივნისი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«გალურჯებული» საქართველო და «დამარცხებული» წითლები 4

# ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!..



„საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლა რეპუტაციაშელახული „ნაცმოძრაობისთვის" ამერიკელების მიერ აღებული ტაიმაუტი იყო და მალე „ნაცებს" ისევ ვიხილავთ ხელისუფლებაში — ბიძინამ მაინც ყველას აჯობა, უბრალოდ, არ იმჩნევს, ელოდება მომენტს, მან იცის, როდის რა უნდა ქნას და აგერ ნახავთ, რა საოცნებო სამოთხეს აგვიშენებს..." 9



7

## მეთხუთმეტე კაცები

## მარცხის ტოლფასი გამარჯვება 5

ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი:

## ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში შავი ქირის საიდუმლო შტამს ინახავს 13



## საქართველო, შესაძლოა, ინფექციური საავადმყოფოს გარეშე დარჩეს 12

## გენერალისიმუსის პორტრეტისთვის



18

## ირაკლი ალასანია და მისი მეხუთე კოლონა 8



ირაკლი ალასანია ბოლო ხანს იქცევა ისე, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი იმ პერიოდში, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთთან ასე თუ ისე მშვიდობიან დიალოგს აწარმოებდა და მომავალ ომზე თითქმის არაფერი მიუთითებდა...

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## შეწყალების კომისიას ახალი ხელმძღვანელი ეყოლება

**ალეკო ელისაშვილი, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, თბილისის საკრებულოს წევრობაზე იყრიდა კენჭს და, წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა, სავარაუდოდ, შეწყალების კომისიაში ველარ დაბრუნდება.** „როგორც ჩემთვის არის ცნობილი, შეთავსებით ორ პოსტზე ყოფნას კანონი კრძალავს და შეუძლებლად მიმაჩნია, განვახორციელო დეპუტატის უფლებამოსილებაც და ვიყო შეწყალების კომისიაშიც, სადაც თავდაუზოგავად ვმუშაობდი. პრეზიდენტთან შევათანხმებ, ვინ იქნება ჩემი შემცვლელი კომისიაში. თუმცა კომისიის ერთ სხდომას დავესწრები, როგორც კომისიის წევრი, და არა როგორც თავმჯდომარე", — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა. შეწყალების კომისიის სხდომა ივლისში გაიმართება.



## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი: ქართველი ხალხი ახლოს უნდა იყოს თავის ფესვებთან, მამა-პაპათა სამყოფელთან!

**15 ივნისს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა და ყოველთა წმინდათა ხსენების დღე მიულოცა.**

პატრიარქის თქმით, მას ყოველთვის აფიქრებდა ის, რომ უცხოეთში უამრავი ქართველი მიდიოდა და იქ ათეულობით წელი რჩებოდა. პატრიარქმა აღნიშნა, რომ უფალმა მათ გამოუჩინა საშუალება, უცხოეთში დღეს ბევრი სასულიერო პირი მსახურობს, გაჩნდა ახალი ეპარქიები და ეს ეპარქიები ჩნდება არა ქართველი ხალხის უცხოეთში დასამკვიდრებლად, არამედ სამშობლოში დასაბრუნებლად.

„ქართველი ხალხი უნდა დაბრუნდეს თავის მიწა-წყალზე, იმიტომ, რომ ქართველი უცხოეთში ვერ ხარობს. ქართველი ხალხი უნდა იყოს ახლოს თავის ფესვებთან, მამა-პაპათა სამყოფელთან", — აღნიშნა პატრიარქმა.

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

## ეროვნული ბანკი მოსახლეობას «საკრედიტო მახეების» შესახებ აფრთხილებს

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მოქალაქეებს ურჩევს, ბანკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ყურადღებით წაიკითხონ და საკრედიტო ბარათების აღებამდე, სესხის გადაფარვამდე და განვადებით სარგებლობამდე ის რისკები გაითვალისწინონ, რომლებიც ამ ძვირად ღირებული პროდუქტების მოხმარებისას არსებობს.**

ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებსაც მიმართავს, რომ სესხების გაცემის პოლიტიკას გადახედონ. ამ საკითხებზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, საბანკო სექტორისა და ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ.

## გიორგი თავდგირიძე: ეს ალასანიას მხრიდან კანონის დარღვევა და პრემიერის უპატივცემულობაა!



**სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ „ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ნათქვამს, რომ რუსეთი არ არის დაინტერესებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიების ანექსიით და ამ ეტაპზე ამის საფრთხე არ არსებობს, ადეკვატურს უწოდებს და აცხადებს, რომ, თუ რუსეთის მხრიდან რაიმე საფრთხე არსებობს, პრემიერი საქმის კურსში თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ უნდა ჩააყენოს.**

სამხედრო ექსპერტმა განაცხადა, რომ პრემიერისთვის საგარეო საფრთხეებზე ინფორმაციის მიწოდება თავდაცვის მინისტრის კომპეტენციაა. ხოლო თუ ალასანიამ ამ საფრთხეების შესახებ იცოდა და ღარიბაშვილს არ უთხრა, თავდაცვის მინისტრის მხრიდან მთავრობის მეთაურის უპატივცემულობაა.

**„ბოლო ხანს ალასანია თავისი არაკომპეტენტური განცხადებებით მაკვირვებს. თავდაცვის უწყების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გარე უსაფრთხოების განსაზღვრაა. პრემიერის ერთ-ერთი მრჩეველი, რომელმაც მას ყველა საგარეო საფრთხის შესახებ უნდა აცნობოს, სწორედ თავდაცვის სამინისტროა.**

**შესაბამისად, როდესაც თავდაცვის მინისტრი ამბობს, რომ მის უწყებას ინფორმაცია არ აქვს, რას აპირებს რუსეთი ახლო მომავალში, გამოდის, რომ არ იცის, რა უწყებას ხელმძღვანელობს; გამოდის, რომ თავდაცვის სამინისტრო ძალიან ცუდად მუშაობს. ხოლო, თუ ამ საფრთხეების შესახებ იცის და პრემიერი საქმის კურსში არ ჩააყენა, ამის გამო კი ღარიბაშვილმა მცდარი განცხადება გააკეთა, მაშინ უფრო მძიმედაა საქმე. ეს უკვე ალასანიას მხრიდან კანონის დარღვევა და, ამასთანავე, პრემიერის უპატივცემულობაა,"** — განაცხადა გიორგი თავდგირიძემ.

## კახა კახიშვილი: თუ ხელისუფლება ასეთ კატასტროფულ წაგებას დემოკრატიას დაარქმევს, უფრო მეტ დემოკრატიას 2016 წლის არჩევნებში მიიღებს!

**„თუ ხელისუფლება ასეთ კატასტროფულ წაგებას დემოკრატიას დაარქმევს, უფრო მეტ დემოკრატიას მიიღებს 2016 წლის არჩევნებში, როცა შეიძლება 5%-იანი ბარიერიც ვერ გადალახოს", — ასე ეხმაურება ადგილობრივი არჩევნების წინასწარ შედეგებს „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელი კახა კახიშვილი.**

„რეალურად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ხალხი პროტესტის გამოსახატავად გამოცხადდა არჩევნებზე და იმდროინდელ ხელისუფლებას უთხრა უარი. ამასთანავე, ვინაიდან ყველას ესმოდა, რომ იმ ხელისუფლების მოშორება შესაძლებელი იყო „ქართული ოცნებისთვის" ხმის მიცემით, ავანსად ნდობა „ქართულ ოცნებას" გამოუცხადა. 2014 წლის 15 ივნისს ხალხმა ისევ პროტესტი გამოთქვა, ოღონდ ეს პროტესტი გამოიხატებოდა იმაში, რომ არ მივიდა არჩევნებზე იმის გამო, რომ ხელისუფლებას წელიწადისა და



რვა თვის განმავლობაში შეწყვეტილი აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაცია და მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას" ესაუბრება. **თუ ხელისუფლება გააგრძელებს ხალხის მთავარი მოთხოვნების იგნორირებას, პრემიების აღებას, მანქანების ყიდვას, თვითკმაყოფილების განცდის დამკვიდრებას და ასე კატასტროფულ წაგებას დემოკრატიას დაარქმევს, უფრო მეტ დემოკრატიას მიიღებს 2016 წლის არჩევნებში, როცა შეიძლება 5%-იანი ბარიერიც ვერ გადალახოს. ყველაზე წარმატებული რეფორმა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განახორციელა, „ნაციონალური მოძრაობის" რეანიმირებაა"**, — განაცხადა კახა კახიშვილმა.



## ირაკლი ღარიბაშვილი: „ნაციონალური მოძრაობის" რეალური რეიტინგი 6 პროცენტია

**საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ", პრაქტიკულად, ყველგან გაიმარჯვა და ყველა საკრებულოში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა.**

„საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებიდან, რომელთა საერთო რაოდენობა არის 1049 კანდიდატი, 881 მაჟორიტარი არის კოალიცია „ქართული ოცნების", რაც დაახლოებით 77, 4%-ია. დანარჩენი კი არის ოპოზიციისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატები. რაც შეეხება იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებსაც მეორე ადგილის პრეტენზია აქვთ, ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას", მათ მაჟორიტარი კანდიდატებიდან მხოლოდ 6,1%-ის გაყვანა შეძლეს. ეს არის ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ მათი რეალური რეიტინგი არის 6%", — აღნიშნა პრემიერმა.

## მერი მხოლოდ ოთხმა ქალაქმა აირჩია



**ცესკოს მონაცემებით, რეგიონებში მერის არჩევა შეძლო მხოლოდ ოთხმა ქალაქმა – ახალციხემ, ამბროლაურმა, ქუთაისმა და ზუგდიდმა.**

**ოთხივე ქალაქში მერის სავარძელს „ქართული ოცნების" კანდიდატი დაიკავებს. მათ შორის არიან:**

**ახალციხეში — გიორგი კოპაძე,**

**ამბროლაურში — რატი ნამგალაძე,**

**ქუთაისში — შოთა მურღულია,**

**ზუგდიდში — ირაკლი გოგოხია.**

მერის ასარჩევად მეორე ტური, თბილისის გარდა, კიდევ შვიდ ქალაქში გაიმართება: თელავში, რუსთავში, მცხეთაში, გორში, ოზურგეთში, ფოთსა და ბათუმში.

რაც შეეხება გამგებლებს, საქართველოს 46 თვითმმართველ თემში გამგებელი „ქართული ოცნების" კანდიდატი ხდება, თუმცა 13 თემში მეორე ტურის ჩატარება გახდება საჭირო, რადგან ყვარელში, თელავში, ახმეტაში, თიანეთში, გორში, თერჯოლაში, ბაღდათში, ხონში, ტყიბულში, ლანჩხუთში, მარტვილში, ქობულეთსა და ხულოში ხმების 50% გამგებლობის ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა. თუმცა აღსანიშნავია, რომ 13-ვე თემში „ქართული ოცნების" კანდიდატები ლიდერობდნენ.

პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებშიც „ქართული ოცნება" ლიდერობს და ხმების 50.97% აქვს, მეორე ადგილზეა „ნაციონალური მოძრაობა" 22.22%-ით, მესამეზე — „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია" 10.23%-ით, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა" ხმების 4.72% მოიპოვა. დანარჩენმა პოლიტიკურმა პარტიებმა საარჩევნო ბარიერის გადალახვა ვერ შეძლეს.

**15 ივნისს გამართულ თვითმმართველობის არჩევნებში ამომრჩეველთა 43.31% მონაწილეობდა. თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს გაიმართება. თვითმმართველობის არჩევნების ბიუჯეტი ჯამურად 34 673 300 ლარს შეადგენს.**



## ბრაზილიაში მანიფესტანტებმა აშშ-ის დროშა დაწვეს

**17 ივლისს ბრაზილიაში მიმდინარე მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე აშშ-ისა და განის ნაკრებების მატჩის წინ მანიფესტანტებმა აშშ-ის დროშა დაწვეს.** ფეხბურთის მოყვარულებს ძალიან გაუძნელდათ ბრაზილიის ქალაქ ნატალის სტადიონ „არენა დას დუნაზე“ შესვლა, რადგან სპორტული არენა, სადაც აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის მისვლას ელოდნენ, მანიფესტანტებით იყო გარშემორტყმული. პოლიციამ გზები გადაკეტა და აგრესიულ მანიფესტანტებს ფეხბურთის ამერიკელ გულშემატკივრებთან კონფლიქტში ჩართვის საშუალება არ მისცა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## უკრაინელ სამხედროებს პოლონელი მეთაურობს, ოპერაციას კი ამერიკელი აკონტროლებს

**„ანტიტერორისტულ“ ძალებს, რომელთაც კიევი უკრაინის აღმოსავლეთში მცხოვრებთა წინააღმდეგ იყენებს, ხელმძღვანელობს ეჟი ძევულსკი (Jerzy Dziewulski) — პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის (1995-97), ალექსანდრე კვასნიევსკის, მრჩეველი და პოლონეთის პარლამენტის წევრი (1991-2005). ეჟი ძევულსკი არის ყოფილი პოლიციელი, რომელმაც მომზადება გაიარა აშშ-ში და მუშაობდა ისრაელში.**

ფოტოზე, რომელიც გასულ კვირას სლავიანსკშია (ამ ქალაქში, გავრცელებული ინფორმაციით, თეთრფოსფორიანი ცეცხლგამჩენი ბომბები ჩაყარეს) გადაღებული, მარცხნივ გამოსახულია **ეჟი ძევულსკი**, რომელიც უკრაინის სადაზვერვო სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელ და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ **ალექსანდრე ტურჩინოვთან** (ცენტრში) ერთად ზის.




სპეცოპერაციას აკონტროლებდა აშშ-ის თავდაცვის მინისტრის თანაშემწე **დერეკ ჩოლეტი.**

Voltairenet.org (საფრანგეთი)



## სიმღერამ «კომპეტენტური არსება ფსაკის» შესახებ ინტერნეტი დაიპყრო

**მუსიკალურმა ჯგუფმა „მურზილკი ინტერნეიშენელმა“ სიმღერა მიუძღვნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ ქალბატონ ჯენ ფსაკის, რომელიც დიდი ინტელექტით არ გამოირჩევა.**

„Goodbye Jen Psaki! ჯენ ფსაკი, სახელმწიფო დეპარტამენტიდან, სიბრიყვისა და არაკომპეტენტურობის ეტალონია,“ — ასე უწოდეს მუსიკოსებმა You Tobe-ზე გამოქვეყნებულ ვიდეოჩანაწერს, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანს მიუძღვნეს.

ფსაკის ბევრი გამონათქვამი უკვე ფრთიან ფრაზად იქცა, მათ შორის, ის, რომ თურმე რუსეთი უკრაინის გავლით დასავლეთი ევროპიდან ქაჩავს ბუნებრივ აირს, აგრეთვე, ის, რომ საჭიროების შემთხვევაში, აშშ ბელარუსის ნაპირებთან გემებს მიაყენებს(?!)

ინტერნეტში უკვე გაჩნდა ტერმინი „ფსაკინგი,“ რომელიც სიბრიყვის სინონიმად დააწესეს.



## ესტონეთის პრეზიდენტი: ოცნება გაერთიანებულ ევროპაზე ილუზია აღმოჩნდა!

**„ევროკავშირში არის თავისუფლება, მაგრამ არ არის ერთიანობა“, — განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა ტოომას ჰენდრიკ ილვესმა პრაღაში, ასპენსკის ინსტიტუტში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას. კონფერენცია მიეძღვნა 1989 წლის შემდეგ გლობალურ პოლიტიკას და კომუნისტური წარსულის გავლენას თანამედროვე ევროპაზე.**

ილვესის თქმით, ახლანდელი ეკონომიკური კრიზისი და უკრაინაში განვითარებული მოვლენები მიანიშნებს, რომ ევროკავშირში ერთსულოვნება არ არის დემოკრატიული ფასეულობების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში.

„ახლანდელმა ეკონომიკურმა კრიზისმა ევროპის კავშირი გაყო არა „ძველ“ და „ახალ“ ევროპად, არამედ ევროკავშირის წესების დამცველ და უპასუხისმგებლო ქვეყნებად. **ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ რთულ რეალობას წავაწყდით. ოცნება გაერთიანებულ ევროპაზე სინამდვილეში ილუზია აღმოჩნდა,“** — განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა.



## ჯორჯ სოროსი არ ისვენებს — ჯერი ახლა უკრაინაზეა

**ჯორჯ სოროსი „ნაციონალურ მოძრაობის“ ხელით საქართველოში 9 წლის განმავლობაში ატარებდა ე. წ. რეფორმებს და ქვეყნის მოსახლეობა საცდელ ბოცვრებად აქცია. ახლა კი ჯერი უკრაინაზეა.** უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო ამერიკელ ფინანსისტს, ფონდ „ღია საზოგადოების“ დამფუძნებელ ჯორჯ სოროსს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ სოროსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პოროშენკოსთან უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან მრჩეველთა სტრატეგიული ჯგუფის ჩამოყალიბებაზე ისაუბრა. ეს ჯგუფი უკრაინის რეფორმირებაზე იმუშავებს.

„იმ გამოწვევებზე სწრაფი რეაგირებისთვის, რომელთა წინაშეც უკრაინა დგას და შეიძლება მომავალში დადგეს, ჩვენ სტრატეგიული საკონსულტაციო ჯგუფი შევქმენით“, — განაცხადა ჯორჯ სოროსმა. როგორც ჩანს, ხელისუფლების დამხობის შემდეგ აშშ-ს უკრაინაში პროცესების ისეთივე სცენარით განვითარება სურს, როგორითაც განვითარდა პროცესები საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობას ხელფასს სოროსი უხდიდა.

სხვათა შორის, ნათქვამია, **ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთსო!**



## მენინგიტის აფეთქება კიევში

**15 წლის გოგონა მერვეა იმ ადამიანთა შორის, რომლებიც მენინგოკოკური ინფექციით დაიღუპნენ. სკოლაში, რომელშიც გოგონა სწავლობდა, მენინგიტის 4 შემთხვევა გამოვლინდა, სულ კი მენინგოკოკურმა ინფექციამ 17 კიეველის სიცოცხლე იმსხვერპლა.**

საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ უკრაინის ეპიდემიოლოგებსა და ინფექციონისტებს „პანიკური განწყობილების აღსაკვეთად“ აიძულებენ, მენინგიტით გარდაცვლილებს დიაგნოზში მენინგიტი არ ჩაუწერონ. ამასთანავე, უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ამ ინფექციის საწინააღმდეგო საშუალებები თითქმის არ აქვს — კიევი საჭირო ვაქცინის მხოლოდ 14%-ით არის უზრუნველყოფილი.

## თომას დე ვაალი: არასდროს დავიმალავს, რომ საქართველოსთვის MAP-ის მიცემას მხარს არ ვუჭერდი

**„არასდროს დამიმალავს, რომ მხარს არ ვუჭერდი საქართველოსთვის MAP-ის მიცემას. საქართველოსთვის ევროპული ტენდენციები გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე MAP-ი“, — განაცხადა კარნეგის ცენტრის ანალიტიკოსმა კავკასიის საკითხებში თომას დე ვაალმა, რომელიც თვლის, რომ საქართველოს MAP-ი უფრო მეტ პრობლემას შეუქმნის, ვიდრე მოუგვარებს.**

**„საქართველოსთვის MAP-ის მიცემა საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ჩამოაშორებს, რადგან ისინი არ დაუშვებენ საქართველოს გაწევრებას ნატოში. ჩემი აზრით, რუსეთის მხრიდან ზეწოლა გაძლიერდება, თუ საქართველო არ გახდება ნატოს სრული წევრი და მხოლოდ MAP-ს მიიღებს. ვფიქრობ, საქართველოსთვის ევროპული ტენდენციები უფრო მნიშვნელოვანია, რადგან გარკვეული დროის შემდეგ ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის ზრდას. ევროინტეგრაციის წყალობით საქართველო უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდება ევროპის მოედანზე. ჩემი აზრით, უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ ეს პროექტი წარმატებული გამოდგეს, ვიდრე MAP-ზე ფიქრია“,** — განაცხადა თომას დე ვაალმა.



## განცხადება

**2014 წლის 18 ივლისს ჩატარდება ძალოვანი ვეტერანების, პატრიოტთა და პენსიონერთა პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილის“ რიგგარეშე ყრილობა.**

**დღის წესრიგი:**

1. პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილის“ 2011-14 წლებში გაწეული მუშაობის მიმოხილვა.

მომხსენებელი: არსენ რაზმაძე

2. ორგანიზაციული საკითხი: პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილის“ ხელმძღვანელი პირების არჩევა.

**პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილის“ მთავარი კომიტეტი**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხალხი საარჩევნო უბნებზე არ მივიდა. ეს იყო ჩუმი პროტესტი იმის მიმართ, რომ სამართლიანობა არ აღდგა. წართმეული, მთავარი მოქალაქეების გარდა, არავის დაუბრუნდა, დამნაშავე პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების უტიფრობამ აპოგეას მიაღწია, ხოლო „ოცნება“ მათთან სიტყვიერ პაექრობაშიც კი ვერ იმარჯვებს. სამაგიეროდ, „ნაციონალებს“ იმის საშუალებას აძლევს, რომ ახალი მთავრობის წევრთა მიერ აღებულ მრავალათასიან პრემიებზე, ნეპოტიზმსა და უნიათობაზე ილაპარაკოს!**

# «გალურჯებული» საქართველო და «დამარცხებული» წითლები

**საქართველოში „განსაცვიფრებელი დემოკრატია“ ზეიმობს. იმდენად განსაცვიფრებელი, რომ ყოფილი პრემიერმინისტრი და „ხერხემალი“ ადგილობრივი არჩევნების შედეგებს გამოეხმაურა და საქალაქო სასამართლოში, 26 მაისის საქმის განხილვისას, კასანდრას ტონით განაცხადა: „წელიწადსა და 7 თვეში „ოცნებამ“ დაკარგა ნდობა. მინდა, გავიხსენო „ნაციონალური მოძრაობის“ წარსული. 2004 წლის არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო ხმების 67%, 2008 წელს – 59%. გიგი უგულავამ 2006 წელს არჩევნებში 69% მიიღო, 2010 წელს კი – 54%. ხელისუფლებაში ყოფნის 6 წლის თავზე უგულავას იმაზე მეტი მხარდამჭერი აღმოაჩნდა, ვიდრე ახლანდელ არჩევნებში ნარმანიას. მომდევნო არჩევნებში „ოცნებას“ გარანტირებული აქვს წაგება. „ნაციონალური მოძრაობისთვის“ კი გამარჯვების დღე დადგება“.**



ციფრებით მანიპულირების ხელოვნებას „ორი გვამი მინდა“ ივანე იმთავითვე დაეუფლა, მაგრამ იმას აღარ ხსნის, როგორ ახერხებდა მისი მშობლიური პარტია ტერორისა და რეპრესიების გამოყენებით მთელი პოლიტიკური სივრცის მონოპოლიზებას და ერთპარტიული სისტემის დამკვიდრებას. თუმცა დემოკრატიას მივუბრუნდეთ; **თუ დემოკრატიის საზომს მმართველი პარტიის რეიტინგის თანმიმდევრული ვარდნა წარმოადგენს, მაშინ 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები დემოკრატიის „შუქურას“ თუ არა, პროჟექტორს მაინც უნდა შევადაროთ.**

ხალხი საარჩევნო უბნებზე არ მივიდა. ეს იყო ჩუმი პროტესტი იმის მიმართ, რომ სამართლიანობა არ აღდგა. წართმეული, მთავარი მოქალაქეების გარდა, არავის დაუბრუნდა, დამნაშავე პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების უტიფრობამ აპოგეას მიაღწია, ხოლო „ოცნება“ მათთან სიტყვიერ პაექრობაშიც კი ვერ იმარჯვებს. სამაგიეროდ, „ნაციონალებს“ იმის საშუალებას აძლევს, რომ ახალი მთავრობის წევრთა მიერ აღებულ მრავალათასიან პრემიებზე, ნეპოტიზმსა და უნიათობაზე ილაპარაკოს!

**მარცხის გამარჯვებად გასაღება არახალია ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე, თუმცა ამ მარცხს წინაპირობა 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებზე ჰქონდა, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების მოპარული 40% შეინარჩუნა და „ქართულმა ოცნებამ“ გარედან თავსმოხვეული კოჰაბიტაცია სწორედ ამ შედეგის აღიარებით დაიწყო.** შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებზე, მარგველაშვილმა საზეიმო პირობა დადო, რომ კოჰაბიტაციას არჩევნების მეორე დღესვე დაასრულებდა და ამომრჩეველმაც პირნათლად შეასრულა იმჟამინდელი პრემიერმინისტრის მოთხოვნა — 60%-ზე ნაკლები არ მიელო მის კანდიდატს. უკვე ხელისუფლებაში მყოფმა კოალიციამ, მისი კანდიდატის სახით, სულ რაღაც 3%-ით გაიუმჯობესა შედეგი, მაგრამ „ნაციონალმა“ კანდიდატმა იმის ნახევარი მიიღო, რაც საპარლამენტო არჩევნებში დაიწერა. „ორი გვამი მინდა“ ივანე ამაზე, ცხადია, დუმს.

**გავიდა კიდევ რვა თვე და კოჰაბიტაცია არათუ არ დასრულდა, პირიქით — ფესვი გაიდგა და 2012 წლის ოქტომბერში ნირწამხდარ „ნაციონალებს“ თანდათან ხმაში რიხიც გამოერიათ და ძველი ცინიზმიც გაიხსენეს.** „პოლიტიკური ანგარიშსწორება, დევნა, ძალადობა“ — ამ სიტყვებს ისე ურცხვად ისვრიან, თითქოს ეს სწორედ მათი პოლიტიკური და „სახერხემლო“ არსენალი არ ყოფილიყო ბოლო 10 წლის განმავლობაში!

„გაღმა შეედავეს“ პრინციპით მათ საკუთარი მომხრეები, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფო სამსახურში შეინარჩუნეს, კვლავაც მმართველ გუნდს ატორლიალებულ თანაგუნდელებს კი „ოცნებაში“ პორტირებულები დაარქვეს. ეს „პორტირებულები“, არავინ იცის, გადამწყვეტ მომენტში ვის თამაშს ითამაშებენ და ამიტომაც არის „ორი გვამი მინდა“ ივანე ასე დარწმუნებული, რომ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მომავალ არჩევნებზე გამარჯვების დღე დადგება.

კოჰაბიტაციის თამაშის წესებით, საქართველოში ორპარტიული სისტემა უნდა დამკვიდრდეს. ერთ დროს ერთ გუნდში მყოფნი პირველ-მეორეზე გაითვალნენ და ხან ერთი უნდა იყოს უმრავლესობაში, ხან მეორე. ადგილობრივმა არჩევნებმა, მიუხედავად დაბალი გამოცხადებისა, საპირისპირო ტენდენცია აჩვენა: ორი ძალის მიერ მონოპოლიზებულ ბრძოლის ველზეც კი, საარჩევნო პროცესში ახალი მოთამაშეები გაჩნდნენ. „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“ და „საქართველოს პატრიოტთა“ ალიანსი“. ქუთაისში მათ ლეიბორისტებიც დაემატნენ.

## თუ დემოკრატიის საზომს მმართველი პარტიის რეიტინგის თანმიმდევრული ვარდნა წარმოადგენს, მაშინ 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები დემოკრატიის «შუქურას» თუ არა, პროჟექტორს მაინც უნდა შევადაროთ

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, გამგებლის არჩევნებში 74 ოლქიდან ყველაში კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატები ლიდერობენ, თუმცა 15 ოლქში არჩევნების მეორე ტური უნდა გაიმართოს. ამასთან, მეორე ტურში მმართველი კოალიციის კანდიდატს 7 ოლქში „ნაციონალური მოძრაობის“ გამგებლობის კანდიდატი დაუპირისპირდება, 4 ოლქში — „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატი, 1 ოლქში – ირაკლი ოქრუაშვილის „ქართული პარტიის“ კანდიდატი, ასევე 1 ოლქში — „საქართველოს გზის“, ხოლო 2 ოლქში — „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატი.

ცესკოს წინასწარი მონაცემებით, პარტიების რეიტინგი ამ ეტაპისთვის ასეთია: მთელი საქართველოს მასშტაბით, საარჩევნო სუბიექტების პროპორციული შედეგებით, „ქართული ოცნება“ 50,97%-ით ლიდერობს; მეორე ადგილზეა „ნაციონალური მოძრაობა“ 22,22%-ით; „ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას“ 10,23 % აქვს; „პატრიოტთა ალიანსს“ — 4,72%; ლეიბორისტულ პარტიას — 3,42%; „არასაპარლამენტო ოპოზიციას“ — 2,22 %.

რეგიონებში მერის გაყვანა პირველივე ტურში „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ ოთხ ქალაქში — ახალციხეში, ამბროლაურში, ქუთაისსა და ზუგდიდში შეძლო. მერის ასარჩევად მეორე ტური, თბილისის გარდა, კიდევ შვიდ ქალაქში გაიმართება. „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდებიან — თელავში, რუსთავსა და ბათუმში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები; მცხეთაში, ოზურგეთში, ფოთში — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატები; გორში — „ქართული პარტიის“ კანდიდატი.

რაც შეეხება გამგებლებს, 46 თვითმმართველ თემში გამგებელი „ქართული ოცნების“ კანდიდატი იქნება, თუმცა 13 თემში მეორე ტურის ჩატარება გახდება საჭირო, რადგან ყვარელში, თელავში, ახმეტაში, თიანეთში, გორში, თერჯოლაში, ბაღდათში, ხონში, ტყიბულში, ლანჩხუთში, მარტვილში, ქობულეთსა და ხულოში ხმების 50% გამგებლობის ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა.

იუსტიციის მინისტრმა ეს ვითარება ერთობ ორიგინალურად შეაფასა: **„ეს არის ძალიან დიდი წარმატება. საქართველო გუშინ, შემიძლია ვთქვა, ყველა მუნიციპალიტეტში გალურჯდა. ჩვენ, ქართველებმა, ერთხელ წითლები დავამარცხეთ და ახლა მეორედ დავამარცხეთ წითლები გუშინ. მე, როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, მჯერა, რომ ჩვენ 2016 წლის არჩევნებში ვიქნებით შთამბეჭდავი წარმატების ავტორები, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აღარასოდეს დაბრუნდეს ხელისუფლებაში.** ამიტომაც მოვუწოდებ თბილისელებს, მოვუწოდებ ჩვენს ამომრჩევლებს, უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინონ მეორე ტურზე და ზოგიერთი ადამიანი, იმედი მაქვს, არ გადაჰყვება ფეხბურთის ყურებას, მივა საარჩევნო ურნასთან და საკუთარ ბედს გადაწყვეტს ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ“.

ერთიანად „გალურჯებული“ საქართველოს და „წითლების დამარცხება“ უკომენტაროდ დავტოვოთ, მაგრამ ერთ რამეში წულუკიანი უდავოდ მართალია: ზუგდიდმა მართლაც მოიშორა საძულველი კლანი და იქ „ახალაიებისა და მისთანების ბოგინი“ დასრულდა. ეს შედეგი, როგორც ცნობილია, 2012 წლის ოქტომბერში ირაკლი ალასანიამ ვერ აჩვენა.

**თუმცა პრემიერის დაპირება „ნაციონალური მოძრაობის“ „გაქრობის“ შესახებ არ გამართლდა. ყოფილი მმართველი პარტიის 22%, ზემოთ მოყვანილი მიზეზების გარდა, იმანაც განაპირობა, რომ ვერც „ოცნებამ“, ვერც ოპოზიციურმა პარტიებმა საკმარისი მოტივაცია ვერ გაუჩინეს იმედგაცრუებულ ამომრჩეველს, რათა არჩევნებზე მისულიყო.** „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი, როგორც ყოველთვის, უკლებლივ ყველა მხარდამჭერი მიიყვანა უბნებზე. მიიყვანა — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; ჯიპებით მიჰყავდათ, თან სიცხეში არ შეაწუხეს და საღამოსკენ, აგრილებულზე ატარეს! საპრეზიდენტო არჩევნებზე ასეთი ფაქტიც მოხდა: კოორდინატორმა რამდენიმეჯერ დაურეკა „ნაციონალების“ მხარდამჭერს და, რაკი ის მაინც არ მივიდა ხმის მისაცემად, მიზეზი ჰკითხა. ქალმა უპასუხა, რომ ბავშვის დამტოვებელი არ ჰყავდა. მას სასწრაფოდ მიუყვანეს ძიძა და უბანზეც მანქანით მიიყვანეს!

„ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებით, კოჰაბიტაციით გართულ „ქართულ ოცნებას“ ისე შემოეძარცვა მხარდამჭერები, რომ დღეს ოპონენტებადაც მოევლინა. თუმცა, როგორც ჩანს, მმართველი კოალიცია დასკვნებს ვერ აკეთებს და დღესაც ყოფილ მმართველ პარტიას და მისი მმართველობის დროს დამუნჯებულ, ახლა კი გაცოცხლებულ და შემტევ არასამთავრობოებს ეკეკლუცება. ე. წ. „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ დაჩქარებული წესით მიღება სწორედ ამგვარი კეკლუცობის გამოვლინება იყო ადგილობრივი არჩევნების წინ. სრულიად დაუცველი მოსახლეობისთვის დემონსტრაციულად უმცირესობათა დაცვის დეკლარირება, წინდაუხედაობის გარდა, ცინიზმის ნიშნებსაც ატარებდა. მართლაც, საკუთარი ფუფუნების უზრუნველყოფით გართული ხელისუფლებისთვის, ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვაზე გაცილებით იოლია ისეთი კანონის მიღება, რომელიც არავის არაფერს მოუტანს, მოსახლეობის უმრავლესობის გაღიზიანების გარდა!

**ადგილობრივი არჩევნები გენერალური რეპეტიციაა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. არც ის არის გამორიცხული, რომ დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნები დადგეს.** ასეა თუ ისე, „გალურჯებული“ საქართველოს იმედად ყოფნა „ოცნებას“ არ გამოადგება: საქართველოში ხალხი არავის გამოუცვლია – ეს ის ხალხია, რომელმაც სააკაშვილს 98% მისცა, მაგრამ სულ რამდენიმე წელი დასჭირდა მის მოსაცილებლად. ხელისუფლებები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება!

**„მეოცნებეებო“, ყური უგდეთ საქართველოს!**

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“, ფორმალური თვალსაზრისით, ყველგან მოიგო, ხოლო ნარმანიას საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება, „ოცნების“ ლიდერებისა და აქტიური მხარდამჭერების უკმაყოფილება მაინც აშკარაა. მათ მოიგეს არა ნოკაუტით, არამედ ქულებით და რეალურად (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში) ხმა არც ისე ბევრმა მოქალაქემ მისცა.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მარცხის ტოლფასი გამარჯვება

**არცთუ შორეულ წარსულში, ჩვენი ნაკრების უნიათობის გადამკიდე, ქართველი საფეხბურთო კომენტატორების ლექსიკონში გაჩნდა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „გამარჯვების ტოლფასი ყაიმი“, „ყაიმის ტოლფასი მარცხი“ და „გამარჯვების ტოლფასი მარცხიც“ კი. ადგილობრივი არჩევნების შედეგებმა ზოგს შეიძლება სწორედ ეს ფრაზები გაახსენოს. ფორმალური თვალსაზრისით, „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და მისი ზოგადი დომინირება ქართულ პოლიტიკაში ეჭვს არ იწვევს, თუმცა არაერთი პროსახელისუფლო კომენტატორის პესიმისტური განწყობა მიანიშნებს იმაზე, რომ ისინი არ აღიქვამენ ამ გამარჯვებას, როგორც სრულფასოვანს, არამედ — როგორც „ყაიმის ან, სულაც, მარცხის ტოლფას გამარჯვებას“ — მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ცესკოს მონაცემებთან საგრძნობ წინააღმდეგობაშია.**



უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ამომრჩეველთა დაბალ აქტიურობაზე უნდა ვისაუბროთ. **საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით, ის დაახლოებით 3 %-ით შემცირდა და 43,31% შეადგინა, დედაქალაქში კი გაცილებით დიდი, 10-პროცენტიანი ვარდნა დაფიქსირდა; საარჩევნო უბნებზე თბილისელი ამომრჩევლების მხოლოდ 37,3% მივიდა. ეს, სავარაუდოდ, რამდენიმე მიზეზის გამო მოხდა.**

ეს არჩევნები, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არ აღიქმებოდა, როგორც ესქატოლოგიური ბრძოლა სამშობლოს გადარჩენისთვის, საყოველთაო მობილიზაციის სულისკვეთება ამ შემთხვევაში ნამდვილად არ იგრძნობოდა. ნეგატიური როლი, განსაკუთრებით „ქართული ოცნებისთვის“ შეასრულა ფართოდ გავრცელებულმა მოსაზრებამ „ყველაფერი ისედაც გადაწყვეტილია“, ამან სახლში არაერთი ამომრჩეველი დატოვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, ბოლო რეფორმის მიუხედავად, რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები მნიშვნელოვნად გააფართოვა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ აღიქვამს მას, როგორც სავსებით სერიოზულ და ეფექტიან სახელისუფლო რგოლს. კვლავინდებურად გავრცელებულია შეხედულებები, რომელთა თანახმად, ყველა რამდენადმე სერიოზულ საკითხს მაინც გადაწყვეტს ცენტრი გუბერნატორებზე დაყრდნობით, რომელნიც, ძველი სპარსეთის სატრაპების მსგავსად, რეგიონების ცხოვრების ყველა ასპექტს აკონტროლებენ. ზოგადად, ეს მიდგომა არასწორი და დესტრუქციულია, მაგრამ ფაქტია, რომ ის არსებობს და ახდენს გავლენას, როგორც დამოკიდებულებაზე ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ, ისე შესაბამის არჩევნებსა და ელექტორატის აქტიურობაზე.

რაც შეეხება ცალკე თბილისს, აქ „ქართული ოცნების“ და დავით ნარმანიას წინააღმდეგ, რომელმაც 46% მოაგროვა და აქედან გამომდინარე, პირველსავე ტურში ვერ გაიმარჯვა, კიდევ რამდენიმე ფაქტორმა იმუშავა. ხმების დაახლოებით 20% ნარმანიას არასაპარლამენტო ოპოზიციის სამმა კანდიდატმა — დიმიტრი ლორთქიფანიძემ, ირმა ინაშვილმა და კახა კუკავამ — წაართვა. ეს ხმები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის თანმიმდევრულ მოწინააღმდეგეებს ერგოთ, „ნაციონალების“ ელექტორატის მერყევი ნაწილისგან ნამდვილად არ წამოსულა. მათი უდიდესი ნაწილი, 99%-იანი ალბათობით, იმ ამომრჩევლებს ეკუთვნის, რომლებმაც 2012 წლის არჩევნებში ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს. ამ ამომრჩევლების ნაწილი მეორე ტურში მხარს, სავარაუდოდ, ნარმანიას დაუჭერს (ნაწილი არჩევნებზე არ მივა), თუმცა, ამის მიუხედავად, მმართველ კოალიციას მოუწევს სერიოზული დაფიქრება იმაზე, თუ რა განწყობა დგას ამ 20%-ის უკან. სავარაუდოდ, საქმე ეხება უკმაყოფილებას ხელისუფლების ფაქტობრივ უართან დაკავშირებით სამართლიანობის სწრაფ და ეფექტურ აღდგენაზე; უკმაყოფილებას მისი არასრულყოფილი, საეჭვო გადაწყვეტილებებით სავსე სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკით, ნეპოტიზმითა და ზოგადი უნიათობით.

ბიძინა ივანიშვილი, საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით, დისტანცირებული იყო საარჩევნო კამპანიისგან, ნარმანიას უბან-უბან არ დაჰყვებოდა. ასე რომ, მისი ავტორიტეტის ფაქტორმა ამჯერად, სავარაუდოდ, შედარებით ცუდად იმუშავა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისელი ამომრჩევლების ნაწილისთვის შემაფერხებელი გარემოება ნარმანიას არათბილისელობა აღმოჩნდა. ფაქტი ფაქტად რჩება — მათი ცნობიერება და ღირებულებების სისტემა ასეა მოწყობილი, მიუხედავად იმისა, მოსწონს ეს ბიძინა ივანიშვილს თუ არა. მან გააკეთა თავისი არჩევანი და შედეგად (სუფთა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თორემ იურიდიულად ყველაფერი წესრიგშია) ლეგიტიმურობის დაბალი ხარისხის მქონე თბილისის მერი მიიღო. მარტივად რომ ვთქვათ, მოიმკო სწორედ ის, რაც დათესა. არის, აგრეთვე, ტექნოლოგიური ასპექტი, მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია უხეში შეცდომების გარეშე ჩაატარა, მთლიანობაში ის საკმაოდ შაბლონური, უფერული (და საბოლოო ჯამში — უნიჭო) გამოდგა; რაც მთავარია, მან „ოცნების“ მხარდამჭერებში სამობილიზაციო სულისკვეთება ვერ გააღვივა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია — მისი კანდიდატი მეორე ტურში გავიდა. თუმცა ეს წარმატება ძალზე ფარდობითია, რადგან, ჯერ ერთი, „ნაციონალებმა“ ვერ შექმნეს პლაცდარმი ვერც ერთ რაიონში (მაგალითად, ზუგდიდში), რის იმედიც ნამდვილად ჰქონდათ. ამასთანავე, წარმატება-წარუმატებლობის ყველაზე და, შესაძლოა, ერთადერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს ყოფილი მმართველი პარტიისთვის წარმოადგენდა საქართველოს მასშტაბით მათი ამომრჩევლების რაოდენობის მატება ან კლება საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, რომელშიც დავით ბაქრაძემ 354 123 ხმა მიიღო (მათ შორის 92 693 — დედაქალაქში). ამომრჩეველთა დაბალ აქტიურობას ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, რადგან როგორც წინა, ისე ამ არჩევნებზე „ნაციონალებმა“ მხარდამჭერების ტოტალური მობილიზაცია ჩაატარეს. 2013 წლის არჩევნებთან შედარებით, მიღებული ხმების რაოდენობის შემცირება, თუნდაც რამდენიმე ათეული ათასით, „ნაცმოძრაობისთვის“ იგივეა, რაც ადამიანისთვის 2-3 ლ სისხლის დაკარგვა. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ამ ზარალის ანაზღაურება საკმაოდ გაუჭირდებათ. მოკლედ რომ ვთქვათ, დანაკლისი არის, მაგრამ ბირთვი შენარჩუნებულია. საინტერესოა, რა გავლენას მოახდენს მასზე კიდევ რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის გასამართლება (ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური, სავარაუდოდ, შემოდგომაზე გახდება). ასე რომ, რეალურად, არაფერი აქვთ საზეიმო, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში მათი კანდიდატის გასვლას მეორე ტურში გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

დაკვირვებისთვის ყველაზე საინტერესო კი, ალბათ, ამომრჩევლების ის უზარმაზარი 57%-იანი მასაა (თბილისში 63%-იანი), რომელიც უბნებზე არ გამოცხადდა. მათ შორის ყველა როდია ზარმაცი ან გაბუტული ივანიშვილზე, აქ არიან ის ამომრჩევლებიც, რომელთაც საბოლოოდ აუცრუვდათ გული „ქართულ ოცნებაზე“, მაგრამ ჯერჯერობით ვერ იპოვეს ძალა, რომელსაც მხარს დაუჭერენ. ბევრი მათგანი უარყოფს არსებულ სისტემას მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, ბიპოლარულად განიხილავენ მას („ოცნება“-„ნაცმოძრაობა“) თუ, რაც უფრო იშვიათია, ტრიპოლარულად (უკვე ნახსენები ორი ძალა და არასაპარლამენტო ოპოზიცია). ისინი ეძებენ რაღაც სხვა, ახალ ძალას. გამორიცხული არაა, რომ მალე, უახლესი ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, მათი მოლოდინი პოლიტიკური მესიანიზმით გამსჭვალული გახდება და სტარტს მისცემს „ერის ნამდვილი მამის“ ძიების ესოდენ ნაცნობ პროცესს. ეს თითქმის გარდაუვალი ჩანს, რადგან ადეკვატური ლიდერი, რომელიც ამ სეგმენტს აითვისებს, ავანსცენაზე ჯერჯერობით არ შეინიშნება.

**მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“, ფორმალური თვალსაზრისით, ყველგან მოიგო, ხოლო ნარმანიას საბოლოო გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება, „ოცნების“ ლიდერებისა და აქტიური მხარდამჭერების უკმაყოფილება მაინც აშკარაა. მათ მოიგეს არა ნოკაუტით, არამედ ქულებით და რეალურად (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში) ხმა არც ისე ბევრმა მოქალაქემ მისცა.** ვერაფერს ვიზამთ, ასე იცის უსაფუძვლო თავდაჯერებულობამ და კრიტიკის წაყრუებამ; ასე იცის ნეპოტიზმმა, არაპროფესიონალიზმმა და უტვინო ლაქიების დაწინაურებამ; ასე იცის დაუმსახურებელმა პრივილეგიებმა, ხელფასებმა და პრემიებმა; ასე იცის სამართლიანობის არაღდგენამ. ჩამონათვალის გაგრძელება დიდხანს შეიძლება, თუმცა ძირითადი იდეა, ალბათ, ისედაც გასაგებია. თუ „ოცნება“ ამ არჩევნების გაკვეთილს ყურად არ იღებს, მომავალში ამომრჩეველი უარესად დასჯის.

როგორც იქნა, დასრულდა „დიდი საარჩევნო ციკლი“ (საპარლამენტო- საპრეზიდენტო-ადგილობრივი) და, ყველა დაშვებული შეცდომის მიუხედავად, მმართველი კოალიცია ხელისუფლებას სრულად აკონტროლებს. მართალია, აქა-იქ შემორჩენილია „ნაციონალების“ ცალკეული საკადრო „ნაკრძალები“, თუმცა მათ ლოკალური ხასიათი აქვს. ამიერიდან „ოცნებას“ ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება, ხოლო არგუმენტი „ნაციონალების“ საბოტაჟის შესახებ, სავარაუდოდ, არ იმუშავებს (რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ საბოტაჟს ადგილი არ ექნება).

იწყება ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ეტაპი, რომლის ძირითადი თემა მმართველი კოალიციის ტრანსფორმაცია გახდება. კომენტატორები ორ ძირითად ვარიანტს განიხილავენ: მის ეტაპობრივ გადაქცევას მონსტრუოზულ „სახელისუფლო პარტიად“, რაც საქართველოში არაერთგზის მომხდარა ან მის დაშლას მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის მქონე ნაწილებად (პროცესში სხვა პოლიტიკური ჯგუფების ჩართვით), რაც შექმნის წინაპირობებს „ნორმალური მრავალპარტიულობისთვის“ (ივანიშვილის რბილი ავტორიტარული კონტროლის პირობებში). პირველი ვარიანტი ტაქტიკურ პერსპექტივაში სტაბილურობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს, თუმცა მომავალში აუცილებლად მოიტანს ფატალურ კრიზისს. მეორე ვარიანტი, პირიქით, ახლო მომავალში საგრძნობ პოლიტიკურ დესტაბილიზაციას დაუკავშირდება, მაგრამ საქართველოს გაცილებით ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის შექმნის შანსს მისცემს. **ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელ ვარიანტს ჩათვლის უფრო მომგებიანად ბიძინა ივანიშვილი: ერთი მხრივ, სუსტი ქვეყნისთვის საშიშია ნებისმიერი დესტაბილიზაცია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ არსებული სისტემა (და შემდგომი სვლა აღმასრულებელ სტრუქტურებთან შერწყმული სახელისუფლო პარტიის შექმნისკენ) ვერ უზრუნველყოფს მართვის ისეთ ხარისხს, რომელიც მომავალში კრიზისების დაძლევის და ქვეყნის რამდენადმე სწრაფი განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს.**

თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანი, ალბათ, ისაა, რა ტიპის ურთიერთობა ჩამოყალიბდება მოსახლეობასა და მის მიერ (თუნდაც დაბალი აქტიურობის პირობებში) ყოველგვარი ძალდატანებისა და გაყალბების გარეშე არჩეულ ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. იქნება ეს თანასწორუფლებიანი პარტნიორობა და თანამშრომლობა თუ ჩამოყალიბდება ახალი ნეოფეოდალური სისტემა, რომლის ფარგლებში ხელისუფლება და საზოგადოება ერთმანეთს მტრულ ძალებად აღიქვამენ? ეს დამოკიდებულია არა იმდენად ბიძინა ივანიშვილზე, ირაკლი ღარიბაშვილზე ან რომელიმე სხვა პოლიტიკოსზე, რამდენადაც უბრალო მოქალაქეებზე, რომლებმაც კონტროლი მათ მიერ არჩეულ ხელისუფლებაზე ერთი წამითაც არ უნდა დაკარგონ.

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კაცმა არ იცის, კიდევ რას გვიმზადებს საერთაშორისო პოლიტიკური კონიუქტურა; რა დირექტივების შესრულება მოუწევს დასავლეთიდან ბიძინას, ხოლო ბიძინასგან — მთავრობასა და პარლამენტს. კობახიძის მინიშნებაც, რომ თურმე საქართველოში გოგონებს, როგორც ნივთს, ისე ექცევიან, ამ ყველაფერში კი დამნაშავე რელიგია, კულტურა და ეთნიკური ფაქტორებია, რაღაცის წინასამზადისს ჰგავს.**

# მანანა კობახიძემ რელიგიასა და ქართულ კულტურას ძალადობრივი უწოდა!

**ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა, განსაკუთრებით — თბილისში, 74 საარჩევნო ოლქიდან 15-ში გასამართი მეორე ტური — ასეთია 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების წინასწარი შედეგები. თვითმმართველობის არჩევნებმა ნათლად წარმოაჩინა მმართველი გუნდის — კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დაშვებული შეცდომები. დიდი მოხერხება უნდა, რომ ასე გაატანო ქარს წელიწად-ნახევრის წინათ მოპოვებული ხალხის უზარმაზარი ნდობა, თუმცა ეს არც იყო გასაკვირი იმ მოქმედებების ფონზე, რომელსაც „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერები სჩადიოდნენ. ჯერ იყო და, გამოაცხადეს ეს ყბადაღებული კოჰაბიტაცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერები, რომელთა მითითებითაც 9 წლის განმავლობაში სისხლს სწოვდნენ და ცოცხებით აუპატიურებდნენ ხალხს, ანადგურებდნენ ქართული მეცნიერებას, განათლებას, კულტურას და სხვა სფეროებს, ატერორებდნენ ბიზნესმენებს და ქუჩაში კლავდნენ ახალგაზრდებს, არ უნდა გასამართლებულიყვნენ, რადგან მათ აშშ-ის ხელისუფლება იცავდა, ანუ „ქართულმა ოცნებამ“ დაივიწყა დაპირება სამართლიანობის აღდგენის შესახებ. ამას მოჰყვა გამოხდომები მართლმადიდებლობისა და საქართველოს პატრიარქის წინააღმდეგ, როგორიც სააკაშვილის ხელისუფლებასაც არ გაუბედია, შემდეგ იყო ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობამ ერთხმად დაუჭირა მხარი, შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ბიბლიას ბოროტება უწოდა, მისმა მოადგილემ მანანა კობახიძემ კი მართლმადიდებლობასა და ქართულ კულტურას — ძალადობრივი.**



## ხელისუფლებამ სოდომ-გომორული ცოდვის პროპაგანდა პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა

„ქართული ოცნება“, რომლის მიერ ერთხმად მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი ხალხმა უჩუმრად გაატარა და მოღალატეობრივ პოლიტიკაზე მწვანე შუქი სამარისებური დუმილით აუნთო, ბოლო ხანს თვითლუსტრაციის რეჟიმში გადავიდა. ევროინტეგრაციის ვირუსმა „ქოცებს“ მორალისა და ზნეობის იმუნიტეტი ისე დაუქვეითა, რომ უმრავლესობის მოეროვნულ-მოეკლესიურო ელემენტები ღვთის გმობასაც აღარ ერიდებიან.

აი, რა განაცხადა პარლამენტის ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ ცოტა ხნის წინათ: **„ადრეულ ასაკში იძულებითი ქორწინება საქართველოსთვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. სამწუხაროდ, შეიძლება აქ გარკვეული რელიგიური, ეთნიკური, კულტურული ფაქტორები მოქმედებდეს, იგივე მძიმე ეკონომიკური და სოციალური ფონი, რომელიც ოჯახს აიძულებს, გოგონა სხვა ოჯახს „გადააბაროს“. შეიძლება, ეკონომიკურ სარგებელზეც კი იყოს საუბარი. სამწუხაროდ, ზოგჯერ გოგონებს, როგორც ნივთს, ისე ექცევიან. ამაზე ხმამაღლა უნდა ვილაპარაკოთ, რადგან ეს ხდება საქართველოში“.**

როგორც ხედავთ, ქალბატონი კობახიძის რიტორიკა, თავისი პათოსით, უკვე არაფრით განსხვავდება იმ ქალების განცხადებებისგან, თავიანთ თავს ფემინისტებს რომ უწოდებენ და პირდაპირ ეთერში ხან წელს ზემოთ შიშვლდებიან, ხან წელს ქვემოთ. მართალია, კობახიძეს გახდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ უცდია, მაგრამ ზემოაღნიშნული განცხადებით მან საკუთარი მსოფლმხედველობრივი გენიტალიები ნათლად დაგვანახვა. **მიაქციეთ ყურადღება სიტყვებს: რელიგიური, ეთნიკური, კულტურული ფაქტორები. რა ქვეტექსტია ამ ყველაფერში ჩადებული? მინიშნება მარტივად იკითხება — ვიცესპიკერს ოსტატურად უნდოდა ეთქვა, რომ ქართული კულტურა და მართლმადიდებლობა, რომელიც ერის სულიერ ფუნდამენტს წარმოადგენს, თავისი არსით ძალადობრივია.**

მეგობრებო, თქვენი არ ვიცი და, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მსგავსი მზაკვრობები კობახიძის ან სხვა ფსევდოდეპუტატთა ტვინში ექსკლუზიურად იხარშება. მათ ამისთვის არც გონებრივი დიაპაზონი ჰყოფნით და არც გამბედაობა. აქ, უბრალოდ, **საქმე გვაქვს ერთ დიდ იდეოლოგიურ ჯაჭვთან, პროპაგანდისტულ ნიაღვართან კულტურისა და მენტალობის, ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ**. ეს ყველაფერი კი პოლიტელიტის ქვედა ეშელონებში ანონსდება, ხოლო ზედა ფენებში იგეგმება და ხორციელდება. მიზანი ყოველთვის მერე გამოჩნდება — საკანონმდებლო ინიციატივებში, ცვლილებებსა თუ ახალ რეგულაციებში, მაგრამ ხელმოწერილ დოკუმენტზე ვაი-ვიშის ძახილი ძალიან გვიანია; **უსუფაშვილის პარლამენტში შეღწეულ „ლიბერალურ“ პაკეტს რომ უკან ვერანაირი ვნებათაღელვა გამოაბრუნებს, ამაში ანტიდისკრიმინაციული კანონის შემთხვევამაც დაგვარწმუნა;** რაც შეეხება ეროვნულ ფასეულობებზე შეტევის სამზადისს, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში „ოცნება“ წინამორბედის შეცდომებს ითვალისწინებს და სტრატეგიულად ერთობ ფრთხილი, „ნაცებისგან“ განსხვავებით, დახვეწილია. ანტიდისკრიმინაციული კანონი ვახსენე და წინასაარჩევნო პერიოდში მარგველაშვილი ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას უმცირესობების უფლებების დაცვასო. იმხანად მას რატომღაც არავინ დაუსვა შეკითხვა, რას გულისხმობდა უმცირესობების უფლებების დაცვაში, კონკრეტულად რა ნაბიჯები გადაიდგმებოდა მათ დასაცავად და როგორ აისახებოდა რეალობაში ეს ყველაფერი. შედეგიც ნათელია — **ხელისუფლებამ სოდომ-გომორული ცოდვის პროპაგანდა პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა.** დღეს კი გაკვირვებული სახეებით გამოდიან და ამბობენ, — არ ველოდით, თუ ამ კანონს მარგველაშვილი ხელს მოაწერდაო. ბატონებო, ჩვენ კი არა, ორი წლის წინათ თვითონ მარგველაშვილიც ვერ წარმოიდგენდა, რამე კანონზე თუ მოუწევდა ხელის მოწერა. რესპუბლიკელები ხომ ვერც იოცნებებდნენ ქვეყნის სათავეში მოსვლაზე, მაგრამ ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი... იმის თქმა მინდა, რომ **კაცმა არ იცის, კიდევ რას გვიმზადებს საერთაშორისო პოლიტიკური კონიუქტურა; რა დირექტივების შესრულება მოუწევს დასავლეთიდან ბიძინას, ხოლო ბიძინასგან — მთავრობასა და პარლამენტს.** კობახიძის მინიშნებაც, რომ თურმე საქართველოში გოგონებს, როგორც ნივთს, ისე ექცევიან, ამ ყველაფერში კი დამნაშავე რელიგია, კულტურა და ეთნიკური ფაქტორებია, რაღაცის წინასამზადისს ჰგავს. დიახ, ეს უსათუოდ უნდა მივიჩნიოთ იმ პროპაგანდისტული ომის ლოგიკურ გაგრძელებად, რომელიც ჯერ კიდევ 2004 წლიდან, ანუ, ხელისუფლებაში „ნაცხოვის“ მოსვლის დღიდან დაიწყო.

გარდა ამ ყველაფრისა, **კობახიძის განცხადება კიდევ ერთ სახიფათო მინიშნებას შეიცავდა. მან ხაზგასმით აღნიშნა: „მნიშვნელოვანია კვლევების ჩატარება, მიზეზების დადგენა და იდენტიფიცირება. თუ საჭიროა, სისხლის სამართლის წესით უნდა ხდებოდეს დასჯა ადამიანების, რომლებიც საკუთარ შვილებს ასეთი ფორმით მოექცევიან... ეს რომ არ მოხდეს, სანქციების გამკაცრება და ამ სფეროს სისხლის სამართლის ნორმებით რეგულირება ერთ-ერთი გამოსავალი იქნებოდა“**. რას ნიშნავს ეს ყველაფერი, **რას გულისხმობდა ქალბატონი ვიცესპიკერი და როგორ წარმოუდგენია მას მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის სისხლის სამართლებრივი ნორმებით რეგულირება?**

ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ ევროპის რიგ ქვეყნებში, უკვე კარგა ხანია, მოქმედებს იუვენალური იუსტიცია. იქ ამ რეგულაციებმა უაღრესად მკაცრი ფორმები მიიღო და შედეგიც მეტად სავალალო მოიტანა. **2009-2013 წლებში მხოლოდ გერმანიაში 34 ათასი ბავშვი ჩამოერთვა მშობელს. მიზეზად კი, ძირითადად, სახელდებოდა ის, რომ მშობელი სათანადოდ არ იყო ინტეგრირებული საზოგადოებაში.** ეს გამოიხატებოდა შემდეგში: მოზარდის შეზღუდვაში თანატოლებთან ურთიერთობაში, გართობაში, ქცევაში და ა. შ. **ანუ შვილის ჩამორთმევის საფუძველი შეიძლება გახდეს ისეთი უმნიშვნელო მიზეზი, როგორიცაა, ვთქვათ, ბავშვის არგაშვება მეგობრის დაბადების დღეზე ან სასკოლო ღონისძიებაზე...**

**მანანა კობახიძის განცხადება, რომელსაც საეჭვოდ დაემთხვა ინტერნეტში გავრცელებული ვიდეო-პერფორმანსი სახელწოდებით: „საქართველოში ქალებს კლავენ“, სხვა არაფერია, თუ არა ევროპაში გამეფებული უზნეობისა და უხამსობის, გარყვნილებისა და ამორალურობის საქართველოში გადმონერგვის სურვილი.** სწორედ ამ იდეით შეპყობილი **რესპუბლიკელები ახლა წელზე ფეხებს იდგამენ, ეკლესია და პატრიარქი ცოცხლად რომ დამარხონ, თვითონ კი ამის შემდეგ მშვიდად მოკალათდნენ ფუმფულა სავარძლებში, რადგან დასავლეთის დირექტივაც პირნათლად ექნებათ შესრულებული და თავიანთი პარტიული ამოცანაც.**

ზემოთ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: დღეს კოალიცია თვითლუსტრაციის რეჟიმშია. ეს შეუქცევადი პროცესია და უსათუოდ გაგრძელდება, მაგრამ ჯერ კიდევ სად ვართ. **ხიდაშელ-უსუფაშვილის პარლამენტი კანონს კანონზე რომ მიიღებს და ქართულ სამართალწარმოებას ფილიპ დიმიტროვის რეკომენდაციებზე ააწყობს, ჭეშმარიტი დემოკრატიის ნექტარს მერე გავსინჯავთ. მაშინ მივხვდებით, რეალურად რა ტრამპლინია ეს ანტიდისკრიმინაციული კანონიც და რისთვის ამზადებენ ნიადაგს სამპროცენტიანი ნეოლიბერალები.** ისე, კაცმა რომ თქვას, ამაში გასაკვირი არაფერია, **ჩვენ მივისწრაფვით იმ ევროპისკენ, რომლისთვისაც ქრისტეს გმობა და სოდომ-გომორული ცოდვა ჩვეულებრივი მოვლენაა; ეს ის ევროპაა, სადაც მშობლებს შვილს ართმევენ და ერთსქესიან „ოჯახებზე“ აშვილებენ...** აი, სულ ესაა ჩვენი „ისტორიული არჩევანი“, ასე დახამებულები რომ შევნატრით, თორემ ჰიუგოსა და გოეთეს ან, სულაც, შექსპირის ევროპისგან უკვე ბუნდღაც აღარ არის დარჩენილი.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველო მაინც ვერ ასცდება დასავლურ მანკიერებებს. ეტყობა, ეს სახადი განგების მიერ მოვლენილი განსაცდელია და უნდა გადაილახოს. მთავარია, საზოგადოებამ დროულად გამოიცნოს ხელისუფლების მზაკვრობები, მთავრობასა თუ პარლამენტში კუდიანობას გასაქანი რომ არ მიეცეს. სხვა დანარჩენი კი უკვე ტექნიკური საკითხია და ხალხმა საარჩევნო ყუთთან უნდა გადაწყვიტოს, დატოვებს თუ არა სათავეში ხიდაშელ-უსუფაშვილებს, ხმალაძე-ბერძენიშვილებს, მილიონის შოვნის მსურველ მძიმეწონიან სუბიექტებსა და ჩოხა-ახალუხში გახვეულ მედროვეებს...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. მარგველაშვილის მიერ ხელმოწერილი ანტიდისკრიმინაციული კანონი მალე შევა ძალაში, ამიტომ, ვინც არ იცის, მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ განსხვავებულ ადამიანებთან, განსაკუთრებით — სექსუალურ უმცირესობებთან, სიფრთხილე და მოწიწება გვმართებს. ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიტყვის — პიდარასტის ხმამაღლა წარმოთქმაც კი შეიძლება თქვენ მიმართ სამართლებრივი დევნის მიზეზი გახდეს. ასე რომ, ნუ დაარღვევთ სხვის უფლებებს, იყავით კანონმორჩილნი და ტოლერანტულნი!**

**აშშ „დაეხმარება იუსტიციის სამინისტროს, ჩამოაყალიბოს ინსპექცია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება, აწარმოოს მონიტორინგი საქართველოს ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონის განხორციელებისა და სათანადოდ შესრულების, ევროკავშირთან საქართველოს სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნების აღსრულებაზე“.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეთხუთმეტე კაცები

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა სერიოზული სკანდალი გადაფარა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის — ლაშა აბაშიძისა და მისი ორი მოადგილის, ასევე პრეზიდენტის მრჩევლის — ვანო მაჭავარიანის გადადგომა ისე, რომ საზოგადოებას სერიოზული კომენტარი არ აღირსეს, თვით პრეზიდენტი კი პრესას დაემალა, უთუოდ იქცევს ყურადღებას. აქვე უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტის ოფიციალურ ვებსაიტზე აბაშიძე კვლავაც ადმინისტრაციის უფროსია, მიუხედავად იმისა, რომ მისი გადადგომა დაადასტურა პრეზიდენტის პრესსამსახურმა (თვითონ აბაშიძემაც — სატელევიზო კომენტარით) და ოფიციალური დოკუმენტიც გამოქვეყნდა.**



## «ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა...»

„რა უქნა ვანოს“, ანუ საგარეო საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველ ვანო მაჭავარიანის პერსონამ ყურადღება იმით მიიქცია, რომ იგი „ნაცმოძრაობის“ საყოველთაოდ ცნობილი სახის — მიხეილ მაჭავარიანის ძმაა. მასთან დაკავშირებით პირველი სკანდალი ყოფილმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ააგორა, როცა უკმაყოფილება არ დამალა ამ „ძმით ძლიერი ძმის“ მიმართ პრეზიდენტის ასეთი მაღალი ნდობის გამო. თუმცა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა „პატრონის“ შენიშვნა ყურად არ იღო. მას შემდეგ ყველა იმის მოლოდინში იყო, რა მოხდებოდა პრეზიდენტის კარზე ისეთი, რაც მარგველაშვილს აიძულებდა, „უფროსს“ დამორჩილებოდა. ბუნებრივია, მაჭავარიანის მაშინვე გათავისუფლება პრეზიდენტის ნულოვან იმიჯს მინუსებში გადაიყვანდა და, მართალი რომ ითქვას, ყოფილი პრემიერის „გულწრფელობა“ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას სერიოზულ ზიანს აყენებს.

ეს დროც დადგა და **პრეზიდენტ მარგველაშვილის კიევში ვიზიტს და იქ ვიცეპრეზიდენტ ბაიდენთან რამდენიმეწუთიან შეხვედრას სერიოზული განხეთქილება მოჰყვა ავლაბრის სასახლის კარზე. აბაშიძე-მაჭავარიანის დაპირისპირებამ ავლაბრიდან პრეზიდენტის „დუშეთის რანჩოზე“ გადაინაცვლა და მარგველაშვილმა „მის ხელში გაზრდილი“ ყოფილი ცოლის ძმის ულტიმატუმს იმით უპასუხა, რომ აბაშიძეც გაუშვა მოადგილეებიანად და მაჭავარიანიც ზედ მიაყოლა.**

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კიევში ახლადარჩეული პრეზიდენტის — პეტრე პოროშენკოს ინაუგურაციაზე იმყოფებოდა და ასევე სტუმრად მყოფ აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენთან რამდენიმე წუთით ისაუბრა. ხელისუფლებამ ეს შეხვედრა ისე წარმოაჩინა, თითქოს ერთმანეთს დიდ სახელმწიფოებრივ და მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებზე ესაუბრნენ სტრატეგიული პარტნიორები(!).

სინამდვილეში კი ყველაფერი ძალიან მარტივადაა. **ასეთ შეხვედრებს ორგანიზებას უწევენ სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკები და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იქვე ასინეთასავით აყურადებდა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი, უკვე გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ სწორედ ამ „ხულიგანკას“** (გაიხსენეთ მისი სკაბრეზული სატელეფონო დიალოგი უკრაინაში აშშ-ის ელჩთან) **„ჩაწყობილი“ იყო.** ბაიდენი კი, ისევე, როგორც ამერიკელ ხელისუფალთა აბსოლუტური უმრავლესობა სტრატეგიულ ყმებთან ურთიერთობისას, ხაზგასმით გვიჩვენებდა თავის უპირატესობას ამ „მეთხუთმეტე კაცთან“ საქართველოდან.

**დღეს საქართველოს ნულანდიაც შეიძლება ვუწოდოთ და ნორლანდიაც, იმდენად გავლენიანია ვიქტორიაც და ელჩი რიჩარდიც. ამდენად, მარგველაშვილის ვიცეპრეზიდენტთან შეხვედრის ორგანიზება მათთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა.** მთავარი იყო შეხვედრა, თორემ იმას ვილა მიაქცევდა ყურადღებას, რომ ასე ცხენებივით (უკაცრავად!) ფეხზე მდგარნი ისაუბრებდნენ რამდენიმე წუთით. ამას კიდევ რა უშავს, პრეზიდენტი სააკაშვილი საერთოდ ტუალეტებთან უსაფრდებოდა პრეზიდენტ ობამას, ოღონდ მასთან ერთად სურათი გადაეღო.

მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მოჰყვა ბაიდენ-მარგველაშვილის ამ „უმნიშვნელოვანეს“ შეხვედრას. სინამდვილის გარკვევა ყველამ სცადა. ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია ასეთი ღონისძიებების სპეციფიკაში და პროტოკოლის ანა-ბანაში, დამეთანხმება, რომ სახელდახელოდ გამართული შეხვედრებიც კი ასეთი დონეზე უკვე სულ სხვა შეფერილობას იძენს. **ბაიდენისთვის დიდი არაფერია, საქართველოს პრეზიდენტს დამჯდარი დაელაპარაკება თუ ამდგარი, მარგველაშვილისა და ამ შეხვედრის მომწყობებისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია იმის დემონსტრირება, რომ საქართველოს პრეზიდენტთან საუბარი თვით დიდმა ბიძია ჯომ იკადრა** (აფსუს, კიევში არ იყო პრეზიდენტი ობამა, თორემ ხომ შეივლიდა „შემთხვევით“ იმ ოთახში, სადაც ეს ფრიად სერიოზული შეხვედრა იმართებოდა).

## ჯო ბაიდენი სწორედ სააკაშვილის ლობისტებმა დაარწმუნეს, რომ აუცილებლად გამოენახა რამდენიმე წუთი პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის

რასაკვირველია, ამ შეხვედრას საერთაშორისო მნიშვნელობა საერთოდ არ ჰქონია, საშინაო მოხმარებისთვის კი კარგი მასალაა. მაგრამ ამ მასალის საზოგადოებისთვის შეთავაზებისას საგულდაგულოდ მალავენ იმ წინაპირობებს, რომლებმაც უზრუნველყო ბაიდენ-მარგველაშვილის დაუგეგმავი საუბარი. **სინამდვილეში ნულანდიც და** (მისი მეშვეობით) **ბაიდენიც სწორედ სააკაშვილის ლობისტებმა დაარწმუნეს, რომ აუცილებლად გამოენახა რამდენიმე წუთი პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის,** რადგან...

დიახ, ეს „რადგან“ არის ძალიან მნიშვნელოვანი. **საქართველოში პოლიტიკური თამაში ახალ ფაზაში შედის. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ფიგურების გადანაცვლება დაიწყება. ამ დროს პრეზიდენტ მაგველაშვილის პერსონა უმნიშვნელოვანეს როლს შეიძენს, მიუხედავად მისი კონსტიტუციური შეზღუდვებისა; მას შეუძლია, კანონებს ვეტო დაადოს და მერე პარლამენტს ამ ვეტოს დასაძლევად ქვორუმი არ ეყოფა... „სრულიად შემთხვევით“. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისთვის კი კრიზისის გამოწვევა და პრეზიდენტის თანამოაზრეობა გადარჩენის ერთადერთი გზაა, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მათი პარტია თვითლიკვიდაციის რეჟიმში გადავა.** ასე რომ, ამ ერთი შეხედვითაც კი კომიკურმა ფიგურამ, შესაძლოა, სერიოზული საფრთხეები შეუქმნას მმართველ პარტიას (იგულისხმება პარტია „ქართული ოცნება“) და ამ პარტიის თავმჯდომარე პრემიერმინისტრს.

**საქართველოს პრემიერის თავდაჯერებულობა** (ზოგიერთი „თავგასულობასაც“ რომ უწოდებს), **შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს დღევანდელ მმართველ ძალას, რადგან, თუ მარგველაშვილი დახვეწილი არამზადების — „ნაციონალების“, ანუ მისი სიყრმის მეგობრების წამოწყებულ თამაშში ჩაერთო, მაშინ პროცესები იმაზე უფრო მეტად გართულდება, ვიდრე „მეოცნებეებს“ წარმოუდგენიათ.**

მარგველაშვილი არც ისეთი ბუნჩულა და პლასტელინი აღმოჩნდა, როგორც თავს გვაჩვენებდა. იგი არ მორიდებია იმის საჯაროდ განცხადებას, რომ საზოგადოებაში საყოველთაო კეთროვნებად აღქმული რამდენიმე ოდიოზური ფიგურა მისი ახლო მეგობარია, იგი არ მორიდებია ცნობილი ნაციონალის — მიხეილ მაჭავარიანის ძმის — ვანოს საგარეო საკითხებში მრჩევლად დანიშვნას და მის პრეზიდენტად დამნიშნავ ბიძინა ივანიშვილს თუ ამომრჩეველს „ნაციონალების“ მიერ ქართველთა სისხლში ამოსვრილი ხელთათმანიც ესროლა. ასე რომ, სიურპრიზებს მომავალშიც უნდა ველოდოთ.

მთავარი სიურპრიზი კი ის იქნება, რომ, **როგორც ბაიდენთან შეხვედრა მოუგვარეს პრეზიდენტ მაგველაშვილს, ისე მომავალშიც არაერთ შეხვედრას მოუწყობენ „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტები, რადგან მათი ლიდერები ამ თვალსაზრისით კიდევ კარგა ხანს ვერ შეძლებენ ქართველი ხალხის გულის მოგებას. ამიტომ „ნაციონალებს“ ახლა ჰაერივით სჭირდებათ ეს პლასტელინის კაცი და მისი, თქვენ წარმოიდგინეთ, თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის „კუთხეში“ „მიგდებაც“ არ გაუჭირდებათ. იქ რა ფორმას მიიღებს, ამას მხოლოდ გამოსვლის შემდეგ დავინახავთ.** მერე კი... მერე უკვე დატრიალდებიან მარიფათიანი ბიჭები და იმდენ და ისეთ პრობლემას შეუქმნიან თავდაჯერებულ პრემიერს და მის მთავრობას, რომ მალე, შესაძლოა, სრულიად ახალი სახეები ვიხილოთ სახელმწიფო კანცელარიის მრგვალი მაგიდის გარშემო. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ბევრი დღევანდელი მინისტრი კვლავაც იქ იჯდება, ზოგიერთი კი სამუდამოდ გამოეთხოვება სახელისუფლო კომფორტსა და თბილ სავარძელს.

თეთრ სახლში შეხვედრა ვახსენე და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად არაერთი მცდელობისა და ათეულობით მილიონის დახარჯვისა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრეზიდენტ ობამასთან „მეთხუთმეტე კაცად“ შესვლაც კი ვერ მოახერხა და მათი 15-წუთიანი საუბარიც მხოლოდ იმისთვის დასჭირდათ ვაშინგტონში, რომ საქართველოს თანხმობა მიეცა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე. მაგრამ **ახლა რეგიონში სხვა ვითარებაა და ამერიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სწორედ მისი ფავორიტები და სანდო პარტნიორები უძღვებოდნენ ქვეყანას, რომლის ამ მდგომარეობამდე მიყვანაშიც დიდი რესურსები დახარჯეს.**

ბაიდენ-მარგელაშვილის შეხვედრის მნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ აშშ 5 მილიონით დაეხმარება საქართველოს. ამ 5 მილიონიდან კი გარკვეული ნაწილი მოხმარდება... დიახ, ამ ფულით **აშშ „დაეხმარება იუსტიციის სამინისტროს, ჩამოაყალიბოს ინსპექცია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება, აწარმოოს მონიტორინგი საქართველოს ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონის განხორციელებისა და სათანადოდ შესრულების, ევროკავშირთან საქართველოს სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნების აღსრულებაზე“.**

ვაშინგტონში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, არ დავიწყებიათ იუსტიციის სამინისტროს საგანგებო ინსპექციის ჩამოყალიბების აუცილებლობაც. და ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას და როგორ გააკონტროლებენ „წულუკიანის ცერბერები“. **თუკი სხვაგან „ზნეობის პოლიციებს“ ქმნიან, ჩვენთან შეიქმნება „უზნეოთა დაცვის ინსპექცია“ და მერე დაპატიმრების შიშით თითოეული ქართველი განსაკუთრებული მოწიწებითა და ხაზგასმული პატივისცემით მოეპყრობა ამ „ჯოჯოხეთიდან „პერერივზე“ გამოპარულებს“.**

მოკლედ, ბაიდენ-მარგველაშვილის შეხვედრის ორგანიზაციულმა ნაწილმა, ცოტა კი არა, გვარიანად შეაფუცხუნა არამხოლოდ მმართველი პარტია, არამედ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძეც. შეხვედრის ორგანიზებაში სააკაშვილის ლობისტებს პარტნიორობას სწორედ პრეზიდენტის აწ უკვე ყოფილი მრჩეველი ვანო მაჭავარიანი უწევდა, ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი „ტყემალზე შესვეს“ და ფაქტის წინაშე დააყენეს, რამაც მას გონივრული ეჭვი აღუძრა, რომ მაჭავარიანი გავლენის გაფართოებას ცდილობდა და აბაშიძის ამბიციები სასახლის კედლებს ვერ გასცდებოდა. ამ შიდადაპირისპირებაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ, **თუკი ყველაფერი „ნაცების“ დაგეგმილი სცენარით განვითარდა, მალე მომსწრენი გავხდებით სერიოზული სახელისუფლო დაპირისპირებისა, რომელშიც დღევანდელ მმართველთაგან ვერავინ გაიმარჯვებს და ჩვენ მორცხვად გავუსწორებთ თვალს უახლოეს წარსულს, რომელიც ჯერაც მწარედ გვახსოვს.**

**ბონდო მძინარაშვილი**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავისმომასწავებელი სიგნალები მოსკოვიდან განსაკუთრებით ხშირი მას შემდეგ გახდა, რაც ირაკლი ალასანიამ ხელისუფლების პირველ პირებთან შეუთანხმებლად მოუწოდა ნატოს ქვეყნებს, საქართველოში თავდაცვითი საშუალებები განელაგებინათ. ამასთანავე, როგორც მან, ისე მისმა თანამოაზრეებმა ხელისუფლებაში მკვეთრად გააძლიერეს რიტორიკა ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი მზად არ არის საქართველოს არათუ წევრობა, არამედ „წევრობის სამოქმედო გეგმა“ (იგივე მაპი) შესთავაზოს, რაც ნათლად დაფიქსირდა (მაგალითად) გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის ბოლოდროინდელ განცხადებებში.**

# ირაკლი ალასანია და მისი მეხუთე კოლონა



**13 ივნისს ირაკლი ალასანია გამოეხმაურა პრემიერმინისტრის მიერ „ბი-ბი-სი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რუსეთი არ არის დაინტერესებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიით. „ჩაატარებს თუ არა ანექსიას რუსეთი, ეს მამა ღმერთმა არ იცის, იმიტომ, რომ გადაწყვეტილებას იღებს ერთადერთი კაცი, ეს არის პუტინი და, რა თქმა უნდა, ვერც ჩვენს პრემიერს და ვერც ყველაზე დიდ სადაზვერვო ორგანიზაციას ვერ ექნება ამის შესახებ ინფორმაცია“, — განაცხადა ალასანიამ (ინტერპრესნიუსი). საინტერესოა, რა დგას ამ კომენტარის უკან — მხოლოდ ანტიპათია ღარიბაშვილის მიმართ და ჯიბრში ჩადგომის დაუოკებელი სურვილი თუ შედარებით რთული პოლიტიკური გათვლა? რა უნდა ალასანიას?**

## ოქრუაშვილის რეინკარნაცია

ვიდრე იმის გარკვევას შევუდგებით, რა იცის მამაზეციერმა და რა — ირაკლი ალასანიამ, ალბათ, ურიგო არ იქნება იმის გახსენება, რომ მოტივები „ჩვენ არ ვიცოდით“, „ჩვენ არ გვეგონა“, „ამას ვინ იფიქრებდა“ და ა. შ. რუსეთის მოქმედებასთან დაკავშირებით, ქართული პოლიტიკისთვის უცხო არ არის. **ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდი და გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის — ზაზა გოგავას პასუხები საპარლამენტო კომისიის წევრების კითხვებზე: „ჩვენ არ ველოდით იმას, რაც 9 აგვისტოს მოხდა, რაც 7-ში დაიწყო“, „სამხედრო, საგარეო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ამ დონის აგრესიაზე არც ერთი ქმედება არ მიუთითებდა“.** მაშინ საზოგადოება ძლიერ აღშფოთდა — რას ქვია „არ ველოდით“, როდესაც მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე პირდაპირ მიუთითებდა ქართველი ექსპერტების უმრავლესობა, ხოლო კრემლი როგორც სიტყვით, ისე საქმით (წვრთნები ჩრდილოეთ ოსეთში, სარკინიგზო ჯარების მიერ აფხაზეთში ლიანდაგის შეკეთება და ა. შ.) მკაფიოდ მიანიშნებდა საქართველოს ხელისუფლებას, რა მოჰყვებოდა მის მკეთრ მოძრაობებს, როგორც ცხინვალში, ისე ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით. **ამ უსუსურმა პოზიციამ — „ჩვენ არ გვეგონა“ ისედაც ლაფში ამოსვრილ სააკაშვილის რეჟიმს ბევრი ქულა დააკარგვინა. ახლა ალასანია, ფაქტობრივად, იმავეს ამბობს, ოღონდ არა პოსტ-ფაქტუმ, არამედ კრემლის შესაძლო ნაბიჯებთან დაკავშირებით.**

„განმუხტვამ“ რუსეთთან ურთიერთობებში, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო, არც ისე ბევრი პოზიტივი მოიტანა, მაგრამ, **ალბათ, არავინ უარყოფს იმას, რომ ესკალაციის საფრთხე მნიშვნელოვნად შემცირდა. მასზე მხოლოდ ბოლო დროს ალაპარაკდნენ, მას შემდეგ, რაც კრემლმა ჩათვალა, რომ ოფიციალური თბილისი ისევ ძველ პოლიტიკას დაუბრუნდა.** ავისმომასწავებელი სიგნალები მოსკოვიდან განსაკუთრებით ხშირი მას შემდეგ გახდა, რაც ირაკლი ალასანიამ ხელისუფლების პირველ პირებთან შეუთანხმებლად მოუწოდა ნატოს ქვეყნებს, საქართველოში თავდაცვითი საშუალებები განელაგებინათ. ამასთანავე, როგორც მან, ისე მისმა თანამოაზრეებმა ხელისუფლებაში მკვეთრად გააძლიერეს რიტორიკა ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი მზად არ არის საქართველოს არათუ წევრობა, არამედ „წევრობის სამოქმედო გეგმა“ (იგივე მაპი) შესთავაზოს, რაც ნათლად დაფიქსირდა (მაგალითად) გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის ბოლოდროინდელ განცხადებებში. ოფიციალური მოსკოვის მკვეთრმა რეაქციამ არ დააყოვნა, ხოლო ქართულ და რუსულ მედიაში დაიწყო მსჯელობა საქართველოში რუსული ძალების კონტროლის ზონის შესაძლო გაფართოებაზე, რუსეთის შემადგენლობაში სეპარატისტული რესპუბლიკების შესვლაზე, „ყირიმულ ვარიანტზე“ ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის და ა. შ.

პარადოქსულია, მაგრამ **ირაკლი ალასანია ბოლო ხანს იქცევა ისე, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი იმ პერიოდში, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთთან ასე თუ ისე მშვიდობიან დიალოგს აწარმოებდა და მომავალ ომზე თითქმის არაფერი მიუთითებდა.** თავდაცვის იმჟამინდელი მინისტრი რუსეთის მისამართით მკვეთრად კონფრონტაციულ განცხადებებს აკეთებდა, რომლითაც ირიბად ხელს უწყობდა მოსკოვში იქაური „ქორების“ შეხედულებების გავრცელებასა და დაპირისპირების გაღრმავებას. მსგავსი „კერძო საგარეო პოლიტიკის“ გატარება შეიძლება ძალიან ცუდად დასრულდეს.

**შესაძლოა, ალასანია, მზარდი ამბიციებიდან გამომდინარე, ცდილობს, ამერიკელების თვალში თავი წარმოაჩინოს უფრო ადეკვატურ ლიდერად „ახალი ცივი ომის“ პერიოდისთვის, ვიდრე ივანიშვილი და ღარიბაშვილი, რომლებიც „გადატვირთვის“ რიტორიკასა და პოლიტიკასთან ასოცირდებიან, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთმა თამაშმა შეიძლება საქართველოს უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები შეუქმნას.**

ზოგადად, მიდგომას „ჩვენ აპრიორი ვერ გავიგებთ, რას მოიმოქმედებს რუსეთი“ არაპროფესიონალიზმისა და უსუსურობის ელფერი დაჰკრავს და ამ ნიადაგზე სავსებით ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს კითხვა „რა უნდა მთავრობაში მინისტრს მსგავსი იდეებით? გავუშვათ ეს და მოვიყვანოთ სხვა“. მაგრამ, შესაძლოა, საქმე შედარებით რთულადაა — ეს პოზიცია უარყოფს მოსკოვთან ორმხრივ კომპრომისებზე დაფუძნებული პოლიტიკის შესაძლებლობას (ვინაიდან ის, ალასანიას მიხედვით, რაღაც განსხვავებულ, ამოუცნობ ლოგიკას ეყრდნობა და კაცმა არ იცის, რას გააკეთებს). სინამდვილეში, რუსეთის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის, პოლიტიკა, მისი მიზნებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს. საქართველოსთან დაკავშირებით მას სავსებით მკაფიო და გასაგები გზავნილის სახე აქვს — „თავი დაანებეთ ნატოს, თორემ უარესი მოგივათ“. თუმცა ვინაიდან მსოფლმხედველობა, რომლის ფარგლებში ოპერირებს ალასანია, არ უშვებს ალტერნატიული, ნატოში გაწევრიანების იდეისგან თავისუფალი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას, მას, სავარაუდოდ, ურჩევნია რუსეთის ქმედება წარმოაჩინოს, როგორც აბსოლუტურად ამბივალენტური, რომლის პროგნოზირება ამქვეყნად არავის შეუძლია.

## მგლის თავზე კონსტიტუციის კითხვა

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შემდგომმა დაახლოებამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან (რეალურმა და არა წარმოსახვითმა) შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ დაპირისპირება რუსეთთან, არამედ ახალი ომი მასთან და ახალი ტერიტორიების დაკარგვა, საქართველოში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა. ამასთანავე, აშკარა გახდა, რომ ნატოს რიგი წევრების ფრთხილობენ და მზად არ არიან საქართველოს ალიანსის წევრობა შესთავაზონ. გამორიცხული არაა, ახლო მომავალში მას, ისევე, როგორც უკრაინას, ნეიტრალიტეტსა და „ფინურ მოდელზე“ დაფიქრებისკენ უბიძგონ. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ფონზე ქართულ საზოგადოებაში „ნატო-სკეპტიციზმმა“ იმძლავრა. ეს იმდენად საგრძნობი გახდა, რომ მთავრობას აღარ შეუძლია ამ ფაქტორის არსებობა უგულებელყოს.

და ამ დროს, **როდესაც მსჯელობა ამ თემაზე, ნატოს უელსის სამიტის მოახლოებასთან დაკავშირებით, სულ უფრო აქტუალური ხდება, სოციალურ ქსელებში ფართოდ გავრცელდა ირაკლი ალასანიას განცხადება:** „დღეს არსებული სიტუაცია, როდესაც პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდიან, მაღალი კონტრდაზვერვითი საფრთხის შემცველია და ამნისტიის დროს პარლამენტს ამაზე მეტი დრო უნდა დაეხარჯა“. კომენტატორების უმრავლესობის შეფასებით, თავდაცვის მინისტრმა, ფაქტობრივად, თქვა, რომ უნდა მომხდარიყო პოლიტპატიმრების დაყოფა მათი შეხედულებების მიხედვით და ნატო-ევროკავშირის მოწინააღმდეგეები ციხეში უნდა დაეტოვებინათ. ეს სრულიად უპრეცედენტო, ზე სკანდალური განცხადებაა და, თუ მისი ავთენტურობა საბოლოოდ დადასტურდება, პრემიერმინისტრი ან უნდა მკაფიოდ გაემიჯნოს მას, ან აღიაროს, რომ მთავრობაში ფაშისტური შეხედულებების მატარებელი უზის, რომელსაც კანონის უზენაესობასა და დემოკრატიაზე წარმოდგენა არ აქვს.

> **ირაკლი ალასანია ბოლო ხანს იქცევა ისე, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი იმ პერიოდში, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთთან ასე თუ ისე მშვიდობიან დიალოგს აწარმოებდა და მომავალ ომზე თითქმის არაფერი მიუთითებდა...**

**საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.** აქედან გამომდინარე, ადამიანების დახარისხება მათი შეხედულებების საფუძველზე (ამნისტიასთან თუ ნებისმიერ სხვა სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით) აბსოლუტურად შეუწყნარებელი, ანტიკონსტიტუციური და კანონსაწინააღმდეგო რამ არის. მსგავსი იდეები სააკაშვილსაც კი არ გაუხმოვანებია, მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური შიზოფრენიულობის ყველა რეკორდი მოხსნა. **საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, თქვას, რომ მიუფურთხებია ნატოსთვის, ფეხებზე ჰკიდია ევროკავშირი და იქ ინტეგრაციას ეწინააღმდეგება; მნიშვნელობა არ აქვს, მოგვწონს ეს თუ არა, არანაირი სანქციების დაწესება ამისთვის არ შეიძლება.**

იმის ნაცვლად, რომ აწარმოოს დისკუსია ნატოს მოწინააღმდეგეებთან და არგუმენტირებულად დაიცვას თავისი პოზიცია, თავდაცვის მინისტრი, ფაქტობრივად, ნანობს, რომ ხელისუფლებამ ისინი ციხიდან გამოუშვა. ზოგადად, პოლიტიკა და ზნეობა ერთმანეთისგან საკმაოდ შორს დგას, თუმცა „ქართული ოცნების“ არაერთი ამომრჩეველი შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ საქმე ენით აუწერელ უმადურობასთან გვაქვს.

საქმე ისაა, რომ **2008 წლის 5 იანვრის პლებისციტზე ამომრჩეველთა 23%-მა ხმა ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ მისცა.** ექსპერტების დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, ალიანსის ამჟამინდელი პასიურობის ფონზე, ნატო-სკეპტიკოსების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა დროებით დავუშვათ, რომ ის უცვლელი დარჩა. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ამ ადამიანების დიდი უმრავლესობა სააკაშვილის რეჟიმის თანმიმდევრული, შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო და „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში ძალიან სერიოზული წვლილი შეიტანა, გაცილებით დიდი, ვიდრე ირაკლი ალასანიას „ხუთპროცენტიანმა პარტიამ“ (ისე, „ხუთპროცენტიანს“ რესპუბლიკურ პარტიას უწოდებენ ხოლმე, ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ კი მასზე სუსტია). გამოვაკლოთ „ქართული ოცნების“ შედეგს საპარლამენტო არჩევნებში არა 23%, არამედ თუნდაც ამის ნახევარი და დავრწმუნდებით, რომ ამ ამომრჩევლების მხარდაჭერის გარეშე კოალიცია, უბრალოდ, ვერ გაიმარჯვებდა.

**რას აკეთებდა ამ დროს ირაკლი ალასანია? ის არ გაემიჯნა სააკაშვილის რეჟიმს არც 7 ნოემბრის სადისტური დარბევის, არც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაყალბების შემდეგ, მხოლოდ აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც ყველა მეტნაკლებად წინდახედული ადამინისთვის (მათ შორის ალასანიას ამერიკელი მეგობრებისთვის) ცხადი გახდა, რომ სტრატეგიულ პერსპექტივაში რეჟიმი განწირულია, განუდგა მას.** შემდეგ, 2010 წლის თბილისის მერის არჩევნებზე, მან მოუტანა სააკაშვილის მოწინააღმდეგე ძალებს ყველაზე სამარცხვინო (სრული უიმედობით გამსჭვალული) მარცხი მათი არსებობის ისტორიაში და გიგი უგულავას გამარჯვება მიულოცა, მიუხედავად ▶

**ბიძინამ ყველას აჯობა, პირველ რიგში კი — ქართველ ამომრჩეველს და, როგორც ვირს პიტნა, ისე შეტენა ხელისუფლებაში „ნაცები“ ოპოზიციად, ხოლო მათი სინონიმი რესპუბლიკელები — მმართველ ძალად... ასე რომ, ყველაფერი შენი ბრალია, ძვირფასო ამომრჩეველო, და ნუ ვიშვიშებ, გეთაყვა!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ იმისა, რომ ხელისუფლება ამომრჩევლებზე უპრეცედენტო ზეწოლას ახდენდა. შემდეგ, 2012 წლის არჩევნებში ის დამარცხდა ზუგდიდში „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ ყველაზე ოდიოზურ წარმომადგენელთან — როლანდ ახალაიასთან, რომელსაც, საარჩევნო ტექნოლოგიების ერთ-ერთი სპეციალისტის თქმის არ იყოს, „პოლის ჯოხიც კი მოუგებდა“. ახლა კი ზის თავდაცვის მინისტრის სავარძელში, სადაც ნატოს მოწინააღმდეგეების ხმების გარეშე ვერ მოხვდებოდა, ილებს ყველაზე მაღალ ანაზღაურებას მინისტრებს შორის, პოლიტპატიმრების ამნისტიას აკრიტიკებს (სხვათა შორის, ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება აღმოაჩინოს მუქარა მისი განცხადების ქვეტექსტში) და „მაღალ კონტრდაზვერვით საფრთხეზე“ საუბრობს. პრინციპში, შეგვიძლია ეს თემაც განვიხილოთ, მით უმეტეს, რომ „მან პირველმა დაიწყო“.

### ჯაშუშებს შემოდგომაზე ითვლიან

**თუ ხვალ ვინმე გამოვა და იტყვის, რომ ირაკლი ალასანია რუსეთის აგენტია, ჩვენ იძულებულნი გავხდებით, ეს ბრალდება სრული სერიოზულობით, დეტალურად განვიხილოთ. საქმე ის როდია, რომ ფიგურანტი უშიშროების აკადემიაში 1994-96-ში, იგორ გიორგაძის მინისტრობის წლებში, სწავლობდა, როდესაც, საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, რუსული გავლენა ქართულ სპეცსამსახურებზე განსაკუთრებით ძლიერი იყო და, აქედან გამომდინარე, ერთი ამბიციური მსმენელის გადაბირება განსაკუთრებულ პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენდა.** ეს არაა მთავარი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა შეიძლება იპოვოს აქ სივრცე მრავალფეროვანი სპეკულაციებისთვის. ამა თუ იმ პიროვნების ბიოგრაფია და დეკლარირებული შეხედულებები მეორეხარისხოვანია — მსჯელობა „მაღალ კონტრდაზვერვით საფრთხეზე“ მისი მოქმედების შედეგებს უნდა დაეფუძნოს.

ირაკლი ალასანიამ გააკეთა მთავრობასთან შეუთანხმებელი განცხადება საქართველოში ნატოს ძალების განლაგების შესახებ, რითაც ხელი შეუწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვას, ისევე, როგორც თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილმა და წყალი მოსკოველი „ქორების“ წისქვილზე დაასხა; კონფრონტაციის ახალ რაუნდს კი შეიძლება მოჰყვეს ახალი ომი, ტერიტორიების დაკარგვა და ქართული სახელმწიფოებრიობის კრახი. ალასანიამ, აგრეთვე, შეუტია ნატოს მოწინააღმდეგე პოლიტპატიმრებს და, ძალიან ცუდად შენიღბულ ქვეტექსტში, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა საქართველოს მოქალაქეების დახარისხებას მათი შეხედულებების მიხედვით. პოზიცია, რომლის ფარგლებში, მოსახლეობის ნაწილი, (მაგალითად, ამომრჩეველთა 23%) განიხილება, როგორც უცხო ქვეყნის პოტენციური აგენტი, ცალსახად ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას და სამოქალაქო დაპირისპირებას, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უდიდეს ზიანს მიაყენებს. ორივე შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ აშკარად დესტრუქციულ შედეგებზე ახლო პერსპექტივაში, სწორედ ისეთ შედეგებზე, რომელთა მიღწევა შეიძლება უცხო ქვეყნების აგენტს უნდოდეს.

აქ, ალბათ, უნდა დავსვათ კითხვა: **ვინ არის „მაღალი კონტრდაზვერვითი საფრთხის“ შემცველი ელემენტი — ნატოს მოწინააღმდეგეები, რომლებიც, ფინელებისა და ავსტრიელების უმრავლესობის მსგავსად, ღიად აფიქსირებენ თავის შეხედულებებს კონსტიტუციური უფლებების ფარგლებში, თუ ირაკლი ალასანია, რომლის მოქმედებამ შეიძლება ქვეყანას რუსულ ბომბდამშენებზე დიდი ზიანი მიაყენოს? ამ ორს შორის ვინ უფრო ჰგავს უცხო ქვეყნის ინტერესების შესაბამისად მოქმედ აგენტს?**

ასე რომ, თუ ხვალ ვინმე გამოვა და იტყვის, რომ ირაკლი ალასანია რუსეთის აგენტია, ხოლო მისი კადრები თავდაცვის სამინისტროსა და პარლამენტში „მეხუთე კოლონაა“, ამ თემაზე, ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, ძალიან სერიოზული მსჯელობა მოგვიწევს.

ასეა თუ ისეა, საერთო სურათი საკმაოდ მძიმედ გამოიყურება. ირაკლი ალასანია:

ა) აკეთებს ხელისუფლების პირველ პირებთან შეუთანხმებელ განცხადებებს, რომელთაც შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვეს, რაც ძალიან ჰგავს ეროვნული უსაფრთხოებისთვის აშკარა საფრთხის შექმნას;

ბ) თავისი განცხადებებით ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეების დახარისხებას მათი შეხედულებების მიხედვით, რაც შეუწყნარებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში;

გ) საუბრობს „კონტრდაზვერვით საფრთხეზე“ მოქალაქეთა ჯგუფის მიერ კონსტიტუციური უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, რითაც, ფაქტობრივად, ხელს უწყობს „კუდიანებზე ნადირობის“ ატმოსფეროს დამკვიდრებას, სააკაშვილის რეჟიმის ტრადიციების შესაბამისად;

დ) მჭიდრო კონტაქტში და, შესაძლოა, ფარული კონსულტაციების რეჟიმში იმყოფება რევანშზე მეოცნებე „ნაციონალების“ ხელმძღვანელ რგოლთან, რომელზეც არაერთგზის მიანიშნა ბიძინა ივანიშვილმა;

ე) **მუდამ ეჯიბრება პრემიერმინისტრს და, შესაძლოა, განგებ ცდილობს, დააკნინოს მისი ავტორიტეტი (ეს უკანასკნელი, პრინციპში, ირაკლი ღარიბაშვილის პრობლემაა და არა საზოგადოების, მაგრამ მაინც).**

ისმის კითხვა: კიდევ რამდენ ხანს აიტანს ყოველივე ამას ირაკლი ღარიბაშვილი? თუ ის არაფერს შეცვლის და ალასანიას არ შეაჩერებს, მალე, სავარაუდოდ, სუსტი ლიდერის იმიჯს დაიმკვიდრებს.

**დიმიტრი მონიავა**

# ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!..

**როგორ გვიყვარდა და გვჯეროდა ბიძინა ივანიშვილის სულ რაღაც 2 წლის წინათ... თუმცა არა, ვისაც ქართულად გვიძგერდა გული, იმთავითვე სწორედ ის ქართულად მფეთქავი გული გვიგრძნობდა ავს ბიძინას რესპუბლიკური არჩევანის გამო, მაგრამ თავს ვიმშვიდებდით (როგორც აღმოჩნდა, ვიტყუებდით) იმაზე ფიქრით, რომ ბიძინას რესპუბლიკელების ანტურაჟი მხოლოდ დასავლეთისთვის თვალის ასახვევად სჭირდებოდა. თავს ვიტყუებდით, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყნის სადავეებს ეროვნულობაში ეჭვმიტანილი „მეოცნებენი“ ჩაიბარებდნენ, მაგრამ...**



2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ნელ-ნელა საპირისპიროში ვრწმუნდებით... ვრწმუნდებით, რომ სამების ამშენებელმა თვალი აქეთ აგვიხვია და პირში ჩალაც გამოგვავლო ქართველ ხალხს — ჯერ ხიდაშელ-უსუფაშვილის თამადობით რესპუბლიკელებს ჩააბარა პარლამენტი, შემდეგ კოჰაბიტაციის ზღაპარი გვიამბო, ვითომ რომლის გამოც არ დაადგა საშველი სამართლიანობის აღდგენას, მერე კაცი ვინმე პლასტელინი წამოგვისკუპა პრეზიდენტად — მარგველაშვილი დაამთავრებს კოჰაბიტაციასო... მარგველაშვილმა მართლაც დაამთავრა კოჰაბიტაცია, ოღონდ, შეპირებისამებრ, „ნაცებთან“ გაყრით კი არა, პირიქით, მათთან პოლიტიკურად ერთსქესიანი ქორწინებით!

**ანტიდისკრიმინაციული კანონის სამარცხვინო ერთსულოვნებით მიღებამ კი ისიც ცხადი გახადა, რომ სულ ტყუილად გვყავდნენ პარლამენტის მავანი დეპუტატები ეროვნულობაში ეჭვმიტანილი და ისინიც ისეთივე მედროვე ხლისტები ყოფილან, როგორებიც არაერთი გვინახავს პარლამენტსა თუ საერთოდ ხელისუფლებაში!**

საზოგადოებისთვის ასეთი იმედგაცრუების ფონზე ჩატარდა ე.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომლის შედეგებითაც ერთნაირად კმაყოფილნი არიან პოლიტიკურად ერთსქესიანი ცოლ-ქმარი „ნაც-ქოცები“ — ერთმა, როგორც თეა წულუკიანმა ხატოვნად შენიშნა, მთელი საქართველო გადავალურჯეთო (კიდევ კარგი, რომ ჯერ მხოლოდ გადაალურჯეს და ვერ გადააცისფერეს — დ.მ.), წითელი „ნაცები“ დავამარცხეთო და მეორემ სანუკვარი მეორე ადგილი და მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსქვო დაიმკვიდრა აწ და მარადის...

**სულ ტყუილი ბრახაბრუხია, რომ „ოცნებამ“ ჩაატარა გასაგიჟებლად დემოკრატიული არჩევნები, რომელიც იმიტომაც არის ისტორიული, რომ მათ დააწესეს პირველად 50%-ანი ბარიერი და, აქედან გამომდინარე, პირველად იმართება საქართველოში მეორე ტურები, რომლისაც არა თუ ეშინიათ „ქოცებს“, არამედ ამაყობენ კიდეც ამით, როგორც დემოკრატიულობის უმაღლესი გამოვლინებით.** დიახ, ყველაფერი ეს ბრახუნი და უნიჭოდ დადგმული სპექტაკლია, რადგან ვერაფერი შვილია 50%-იანი ბარიერი, როდესაც ამომრჩევლის 70% არჩევნებზე არ მიდის!

ეს, ერთი მხრივ, იმედგაცრუებასთან ერთად და შემდეგ ამ იმედგაცრუების იმ მიზეზს ნიშნავს, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის უკვე ცხადია, რომ „ნაცებ-ქოცები“ ერთი ნეოლიბერალური იდეოლოგიის ორი პარტიაა და ამიტომ საზოგადოებას არ აინტერესებს პოლიტიკურად ერთსქესიანი წყვილი თბილისში ნარმანიას მოიმშობიარებდა თუ მელიას!..

და ყველაზე მთავარი — მხოლოდ ტოტალური გაყალბება არ ნიშნავს ხელისუფლების არალეგიტიმურობას! ამომრჩეველთა ჯერ არნახულად დაბალი აქტივობაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხელისუფლების ლეგიტიმაციას, რადგანაც თუნდაც იოტისოდენა დარღვევების გარეშე ჩატარებული არჩევნების შედეგები ვერ იქნება და არც არის საზოგადოების განწყობის გამომხატველი მაშინ, როდესაც მისი 70% არ მიდის არჩევნებზე, ანუ საზოგადოებამ პრაქტიკულად ბოიკოტი გამოუცხადა ორივეს — „ნაცებსაც“ და „ქოცებსაც“...

**საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ «ოცნების» ხელისუფლებაში მოსვლა რეპუტაციაშელახული «ნაცმოძრაობისთვის» ამერიკელების მიერ აღებული ტაიმაუტი იყო და მალე «ნაცებს» ისევ ვიხილავთ ხელისუფლებაში — ბიძინამ მაინც ყველას აჯობა, უბრალოდ, არ იმჩნევს, ელოდება მომენტს, მან იცის, როდის რა უნდა ქნას და აგერ ნახავთ, რა საოცნებო სამოთხეს აგვიშენებს...**

მითუმეტეს არ დააინტერესებს საზოგადოებას მეორე ტური, რადგან მეორე ტური, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ „ნაც-ქოცების“ „ტურებს“ შორის იქნება, რამეთუ იშვიათ გამონაკლისებს (გორში „ოცნებასა“ და ირაკლი ოქრუაშვილის პარტიას, ხოლო ფოთსა და ოზურგეთში „ოცნებასა“ და საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მეროების კანდიდატებს) გარდა „ნაც-ქოცების“ იდილია ურღვევი აღმოჩნდა!..

ახლა, ისე, როგორც ყოველთვის, ვეძებთ დამნაშავეს,... მერამდენედ ვაბრალებთ ყველა ჩვენს უბედურებას ხან ამერიკას, ხან „ნაცებს“, ნორლანდს, მიშას, ბიძინას... არადა, მთავარი დამნაშავე აქვეა, ხელის გაშვერაზე...

რაც დღეს ჩვენს თავს ხდება, პირველ რიგში, ჩვენი ბრალია — ჩემი და თქვენი, ძვირფასო ამომრჩეველო, რადგან სწორედ ჩვენგან შედგება საზოგადოება, რომელმაც თავი მოიტყუა უსაგნო თამაშით — „ბიძინამ ყველას აჯობა“...

ამ უსაგნო და უპერსპექტივო (ქვეყნისა და ამომრჩევლისთვის) თამაშს ერთი მარტივი წესი აქვს — ბიძინამ ყველას აჯობა, ყველაფერში, ყოველთვის, ნებისმიერ ვითარებაში. მოიყვანა ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ სათადარიგო სკამზე მსჯდომი რესპები და ავვიშვიშდით — ბიძინამ ყველას აჯობა!

**დაიწყო კოჰაბიტაცია, ვერ აღდგა სამართლიანობა; ისევ ავვიშვიშდით — ბიძინამ ყველას აჯობა!**

**აგვარჩევინა პრეზიდენტად პლასტელინი, ისევ ვიშვიში — ბიძინამ ყველას აჯობა!**

**სათადარიგო „ნაციონალების“ — რესპუბლიკელების ხელისუფლებაში მოყვანის შემდეგ ამერიკელებისგან ყურაწეული კლერკივით გადადგა და ისევ ვვიშვიშებთ — ბიძინამ ყველას აჯობა!**

არ არის 100 ახალი საწარმო, არ არის სამუშაო ადგილები, „ნაცები“ კვლავ ბობოქრობენ, გივი თარგამაძე ღარიბაშვილს ემუქრება, სააკაშვილი ავლაბრის რეზიდენციაზე კბილებს ილესავს, ჩვენ ისევ ვვიშვიშებთ — ბიძინამ ყველას აჯობა!

ბიძინას აკვარიუმში ზვიგენი დაეხრჩო, ზებრას ფაღარათი აქვს, სტაფილოს წვენი აუმჟავდა — მაინც ყველას აჯობა!

და თუ ჯერჯერობით სიკეთე და ხეირი არაფერი გვეტყობა, **თუ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლა იყო შელახული „ნაცმოძრაობისთვის“ ამერიკელების მიერ აღებული ტაიმაუტი და მალე „ნაცებს“ ისევ ვიხილავთ ხელისუფლებაში — ბიძინამ მაინც ყველას აჯობა, უბრალოდ, არ იმჩნევს, ელოდება მომენტს, მან იცის, როდის რა უნდა ქნას და აგერ ნახავთ, რა საოცნებო სამოთხეს აგვიშენებს...**

ეს ხომ ერთხელ უკვე იყო შევარდნაძის დროს, მეორეჯერაც იყო სააკაშვილის დროს „მიშა მაგარიას“ ძახილით...

მესამედაც იმავეს ვვიშვიშებთ?!

ისე სწორია — ბიძინამ ყველას აჯობა, პირველ რიგში კი — ქართველ ამომრჩეველს და, როგორც ვირს პიტნა, ისე შეტენა ხელისუფლებაში „ნაცები“ ოპოზიციად, ხოლო მათი სინონიმი რესპუბლიკელები — მმართველ ძალად... ასე რომ, ყველაფერი შენი ბრალია, ძვირფასო ამომრჩეველო, და ნუ ვიშვიშებ, გეთაყვა!

**დავით მხეიძე**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს სარაკეტო სისტემები იქნება ჩვენი დაღუპვის დასაწყისი, რადგან, საქართველო თანამედროვე ომის წინა ხაზად რომ იქცეს, მისგან აღარაფერი დარჩება და არ ვიცი, ვის უნდა ასეთი საქართველო. დიახ, ძალიან მაინტერესებს, ვის უნდა ისეთი საქართველო, რომლისგანაც არაფერი დარჩება“?**

# უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია ირაკლი ალასანიას ამხელს!



**ცოტა ხნის წინათ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ პოლიტიკურ ოპონენტებსა და საზოგადოების დიდ ნაწილს ყველაზე ტვინგაყინულები უწოდა.**
**„ყველაზე ტვინგაყინულებისთვის კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ეს არის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სისტემა და არაფერი აქვს მას საერთო ანტისარაკეტო სისტემასთან“, — განაცხადა „მეოცნებე“ მინისტრმა „ნაცების“ პოლიტიკური ლექსიკონის სტილში. ალასანია გვიმტკიცებს, რომ ამერიკელებს საქართველოში ისეთი საჰაერო თავდაცვითი სისტემის განთავსებას სთავაზობს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ანტისარაკეტო სისტემასთან. რამდენად ლოგიკურია მინისტრის მტკიცება, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სისტემა და არაფერი აქვს საერთო ანტისარაკეტო სისტემასთან? შემთხვევით „მეოცნებე“ მინისტრი, თავისი წინამორბედების მსგავსად, საზოგადოების მოტყუებასა და შეცდომაში შეყვანას ხომ არ ცდილობს? ვინ იცის...**
**თუ რას მოუწოდებს და რას შეახსენებს ალასანიას მისი ყოფილი უფროსი, „საქართველო და მსოფლიოს“ უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია ექსკლუზიურად ესაუბრა.**

## ვალერი ხაბურზანია: ეს სარაკეტო სისტემები იქნება საქართველოს დაღუპვის დასაწყისი



**«საჭიროდ ვთვლი, ერთი რამ გავახსენო ჩვენს თავდაცვის მინისტრს: გახსოვთ, როდესაც უშიშროების მინისტრი ვიყავი, ჩემი მოადგილე ირაკლი ალასანია იყო და, ალბათ, მაინც უნდა ვთქვა ეს — ირაკლის ოცნებაა საქართველოში ამერიკული სარაკეტო სისტემების, პეტრიოტების, დაყენება. დიახ, ეს ალასანიას ოცნებაა და ეს ჩემი მინისტრობის დროს გამიმხილა»**

**— ბატონო ვალერი, იქნებ თქვენ მაინც განუმარტოთ „ყველაზე ტვინგაყინულებს“, როგორი თავდაცვის სისტემის განთავსებას სთხოვს ალასანია ამერიკელებს, რომელიც არც ანტისარაკეტოა და არც სახიფათო ვინმესთვის...**

— მე მაგის დიდი სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ **საჰაერო თავდაცვა და ანტისარაკეტო სისტემები ერთსა და იმავე საშუალებებს იყენებენ**, უბრალოდ, შეიძლება სტრუქტურულად თავდაცვის სამინისტროში ან შესაბამის შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა სახელი ერქვას, ეს არის და ეს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლი, ერთი რამ გავახსენო ჩვენს თავდაცვის მინისტრს: გახსოვთ, როდესაც უშიშროების მინისტრი ვიყავი, ჩემი მოადგილე ირაკლი ალასანია იყო და, ალბათ, მაინც უნდა ვთქვა ეს — ირაკლის ოცნებაა საქართველოში ამერიკული სარაკეტო სისტემების, პეტრიოტების, დაყენება. დიახ, ეს ალასანიას ოცნებაა და ეს ჩემი მინისტრობის დროს გამიმხილა. მე და ირაკლი პირდაპირ ეთერში ვუყურებდით ერაყის მოვლენებს (გახსოვთ, მაშინ აჩვენებდნენ ერაყის ომს, ჰუსეინის დასამხობად ამერიკული ჯარი ერაყში რომ შეიჭრა) და მე მაშინვე ვთქვი: ღმერთმა დაგვიფაროს, მართლა ჰქონდეს ქიმიური იარაღი-მეთქი, არ ისროლოს. რა ვიცი, რომელი ქვეყნის მიმართულებით ისვრის. რა მნიშვნელობა აქვს! დიდი უბედურება იქნება, თუ ჩვენკენ ისვრის-მეთქი (მაშინ ძალიან ბევრი იწერებოდა ჩვენს თანადგომასა და დახმარებაზე ამერიკელების მიმართ, თითქოს საჰაერო სივრცე უნდა მიგვეცა მათთვის). და ირაკლიმ ძალიან სერიოზულად მითხრა: — ნეტავ, ისროდესო. ვკითხე, რატომ-მეთქი, და იმიტომ, რომ ამერიკელები შემოვლენ და ამ პეტრიოტის სისტემებს დააყენებენ ჩვენთანო. კი მაგრამ, ირაკლი, შენს სახლს, რომ დაეცეს-მეთქი? აი, ამაზე არ მიფიქრიაო, მიპასუხა. მე კი ვფიქრობ, რომ ყველამ უნდა ვიფიქროთ, ჩვენ სახლს არ დაეცეს ეს ბომბი.

**— აი, ამაზე არ მიფიქრიაო?**

— გავოგნდი კაცი... იცით, საქართველო არ არის იმხელა ქვეყანა, ჰქონდეს იმის ფუფუნება, რომ სარაკეტო სისტემები არსებობდეს ქვეყანაში, რომელიც აუცილებლად გახდება მოწინააღმდეგის სარაკეტო სისტემების სამიზნე. და თქვენ წარმოგიდგენიათ, ახლა საქართველო სარაკეტო სისტემების სამიზნედ? ამ ქვეყნიდან ხომ აღარაფერი დარჩება?! ახლა, სარაკეტო სისტემები, ნებისმიერი საჰაერო თავდაცვა დაარქვი, თუ გინდა, და ანტისარაკეტო სისტემები არის, როგორც თავდაცვის საშუალება, ასევე თავდასხმის საშუალება. ეს ორჯერ ორი ოთხივითაა. ეს რაკეტა თუ ანადგურებს მეორე რაკეტას, მაშინ შეუძლია სახმელეთო მიზანიც, გაანადგუროს სრულიად თავისუფლად სადღაც და, თუ იგი, სადღაც არის დამიზნებული, ან რაღაც მიმართულებას, ასე ვთქვათ, აკონტროლებს, შესაბამისად, მასზეც არის რაღაც დამიზნებული. ნამდვილად არ მინდა, რომ რუსეთიდან საქართველოზე რაკეტები იყოს დამიზნებული, იმიტომ, რომ საქართველოსგან არაფერი დარჩება და, თუ საქართველოსგან არაფერი დარჩება, მე ასეთი არც თავდაცვა მინდა და არც თავდასხმა.

ეს სარაკეტო სისტემები იქნება საქართველოს დაღუპვის დასაწყისი, იმიტომ, რომ, საქართველო რომ იქცეს თანამედროვე ომის წინა ხაზად, მისგან აღარაფერი დარჩება და არ ვიცი, ვის უნდა ასეთი საქართველო, დიახ, ძალიან მაინტერესებს, ვის უნდა ისეთი საქართველო, რომლისგანაც არაფერი დარჩება? ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ავის მდომს.

მინდა ვთხოვო ალასანიას, აგვიხსნას (იქნებ ჩვენ არ გვესმის), რა აუცილებლობაა ამის და აქვს თუ არა თავდაცვის სამინისტროს ეს დათვლილი, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას. ეს ხომ თავდაცვის სისტემაა?! მე მგონი, არ უნდა იყოს საიდუმლო და გაგვაგებინონ, ჩვენ, ტვინგაყინულებს რას მოგვიტანს ყოველივე ეს. თუ ჩვეულებრივ საჰაერო სივრცის დაცვაზეა ლაპარაკი, ამ ტიპის მცირეკალიბრიანი შეიარაღება თავისუფლად შეიძლება გვქონდეს და ამაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რაკეტები, მაღაროები და ამ ტიპის ყოველგვარი ნაგებობები აუცილებლად იქცევა მოწინააღმდეგის სარაკეტო სისტემების სამიზნედ და მე ძნელად წარმომიდგენია (და არც მინდა საერთოდ წარმოვიდგინო) საქართველო რუსული რაკეტების სამიზნედ.

**— გასაგებად გვითხრა ალასანიამ: ქვეყნის თავდაცვის სისტემაა და არაფერი აქვს საერთო ანტისარაკეტო სისტემასთანო. სხვა რაღა უნდა აგვიხსნას, ალბათ, არ გაგვიმხელს ოცნებას პეტრიოტების შესახებ. როგორც ჩანს, მინისტრი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს...**

— **მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თვითმფრინავიდან დაინახოს საგურამოში მთელი მოედანი ამ სარაკეტო შახტების, რომლებიც სააკაშვილის დროს გაკეთდა. წარმოგიდგენიათ, ამ ტიპის სისტემა კეთდება საგურამოში, ანუ საგურამო სამიზნეა, მერე დანარჩენი ადგილებიც და ხვდებით, რა იქნება?! თავდაცვის მინისტრი, რა თქმა უნდა, უნდა ზრუნავდეს ქვეყნის თავდაცვაზე, მაგრამ ეს უნდა იყოს ადეკვატური და, თუ ეს თავდაცვა ყველაფრის შეწირვას გულისხმობს, ასეთი თავდაცვა მაშინ არავის სჭირდება. ამ განცხადების გაკეთებით, ამ საკითხის გაჟღერებით, ვფიქრობ, ალასანიამ უბრალოდ, პროვოცირება გაუწია ამერიკულ მხარეს, რომ მათ ამ საკითხზე იფიქრონ, ან, შესაძლოა, ეს გააკეთა რუსების დასაშინებლად, მაგრამ რა ვიცი, ამით დაშინებული რუსები მე ჯერ არ მინახავს.**

კიდევ ერთხელ ვამბობ: საქართველო თუ თანამედროვე ომის ფრონტის ხაზი გახდება, მისგან აღარაფერი დარჩება. აგვისტოს 5-დღიან ომში მსგავსი სერიოზული საშუალებები, ჩვენდა საბედნიეროდ, არ გამოუყენებიათ და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასეთი რამ აწი მოხდეს. ვერ ვხვდები, რა სისტემა უნდა გაკეთდეს საქართველოში, რომ რუსულ რაკეტებს გაუმკლავდეს! ახლა წარმოიდგინეთ მათი მიღწევის მანძილი, საკონტინენტთაშორისო რაკეტებიც აქვთ, მცირე სიშორის რაკეტებიც, ყველას აქვს ბირთვული ქობინი და შეიძლება საქართველოს გადაქცევა მათ სამიზნედ?! თურქეთს აქვს, ალბათ, როგორც ნატოს წევრს, ეს სისტემები და, თუ ამერიკას უნდა ჩვენი დახმარება ნატოში ჩვენი მიღების გარეშე, შესაძლებელია, თურქეთის სარაკეტო სისტემამ ეს ყველაფერი გადაფაროს. უბრალოდ, ამ რაკეტებს უნდა მიეცეს დაახლოებით ეს მიმართულება და დავალება (ეს ჩვეულებრივად ხდება თანამედროვე პირობებში, კომპიუტერული დაპროგრამებით) და მათ შეუძლიათ გადაფარონ საქართველოც. თუ დაგეხმარა კი, მაგრამ საეჭვოა.

**— გამოდის, აზრი არ აქვს ამ სისტემების განლაგებას? ასეა თუ ისე, ხელაღებით იმის მტკიცება, რომ ოღონდ ალასანიამ მოინდომოს და ამერიკა მზადაა, ანტისარაკეტო თუ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები გადმოგვცეს, ნამდვილად, არ იქნება სწორი. მხოლოდ ალასანიას ოცნების გამო არ იზამს ამერიკა ამას, მასაც უნდა ჰქონდეს ინტერესი. რა ამოძრავებთ ამერიკელებს? და კიდევ ერთი: რომც გადმოგვცენ, ათასნაირი მუშა ხელი სჭირდება ამ სისტემის დამონტაჟებას, ეს მუშახელი და სპეციალისტები ჩვენთან კი არა, შეიძლება თურქეთშიც ვერ მოიძებნოს, საიდან მოიყვანენ?**

— რა საჭიროა, ამიხსენით, ამის განლაგება საქართველოში? იმიტომ ხომ არა, რომ მერე ამ რაკეტებს ამერიკელი ჯარისკაცები მოემსახურონ? ამერიკული ბაზები რომ განთავსდეს საქართველოში? ალბათ, ესაა ჩანაფიქრი. და მერე ბაზა რომ ექნებათ აქ, ალბათ, ევროპაც იძულებული გახდება, თანხმობა განაცხადოს საქართველოს ნატოში მიღებაზე. მე უფრო ამ მიზანს ვხედავ, მაგრამ ამ მიზნის გამო ასეთი რამის გაკეთება აბსურდად მიმაჩნია. რუსეთი თუ დაუშვებს ამას? განალაგებ და დაგიმიზნებს — აი, ეს არის რუსეთიდან ამის არდაშვება. არ მგონია, რუსეთმა ამის გამო ომი წამოიწყოს, განალაგებ — დაგიმიზნებს; აი, ეს იქნება რუსეთის რეაქცია. საქართველო ყუმბარაზე შესმული მიუნჰაუზენივით იქნება. მაგრამ მიუნჰაუზენი მთვარეზე მაინც გაფრინდა და ჩვენ სად გავფრინდებით, ვერ გეტყვით. ვიმეორებ: აზრი არ აქვს ამის განთავსებას. ჭიჭიკიას ანეგდოტის არ იყოს, რომ უთხრეს ქუთაისელებს ატომური ბომბი რომ დაგეცეთ, რომ გესროლონ, როგორ მოიქცევითო? ჩვენ, რომ მევიქცევით, ბატონო, ისე მეიქცა თქვენი მტერიო. დაახლოებით ასეთი სიტუაცია გვაქვს. სასაცილოც არაფერია ამაში, რა ვიცი, ძალიან რთული სიტუაციაა. ვფიქრიობ, ამ ტიპის განცხადებები კარგს არაფერს მოგვიტანს. მოვუწოდებ ალასანიას, ან აგვიხსნას ყველაფერი დეტალურად, თქვას სიმართლე, ან თავი დაანებოს ამ ტიპის მაპროვოცირებელი განცხადებების კეთებას. ვიმეორებ: ერთი და იგივეა ეს სისტემები, ანუ საჰაერო თავდაცვა და ანტისარაკეტო სისტემები ერთსა და იმავე საშუალებებს იყენებენ. ახლა ძალიან რომ შეუტიეს ირაკლის, ცოტათი შეცვალა ტექსტი, ხალხი დააჯერა, რომ ეს თავდასხმითი კი არა, თავდაცვითი სისტემაა. თავდაცვა ხომ გვინდაო, აცხადებს, და ახლა ვინ იტყვის ამაზე უარს?! ეს განცხადება არის ხალხზე გათვლილი, რომელმაც არაფერი იცის ამ სფეროში, დიახ, ხალხზე, რომელსაც ჩვენ უნდა გავაგებინოთ სიმართლე.

**— აქვე გკითხავთ, როგორც უშიშროების ყოფილი მინისტრი, როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ აშშ-ის ყოფილი ინფორმატორი და საელჩოს „ნასედკა“ პოროშენკო დღეს უკრაინის პრეზიდენტია — ესაა უკრაინის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, აგენტი რომ დაუნიშნეს პრეზიდენტად? ამისთვის იბრძოდნენ?**

— პრინციპი სამოსა ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილი სულ მუშაობს.

**— დაბოლოს, როგორ შეაფასებთ ადგილობრივ არჩევნებს, „ოცნებას“ — პირველი ადგილი, „ნაცებს“ — მეორე, თბილისში არჩევნების მეორე ტური გაიმართება, ელოდით ასეთ შედეგებს?**

— მოსალოდნელი იყო, ორივეს მოტივირებული ელექტორატი ჰყავს: „ოცნებას“ — ადმინისტრაციული რესურსით და „ნაციონალების“ ზიზღით, მეორეს — ზომბირებული და ხელისუფლება ჩამორთმეული ამომრჩეველი.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**„ამერიკელები უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე თავიდანვე პოროშენკოს განიხილავდნენ, როგორც მათდამი ლოიალურად განწყობილ პიროვნებასა და, ამასთანავე, ინფორმატორს“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ჰამლეტ ჭიპაშვილი: ამერიკამ, ისევე, როგორც 2003 წელს საქართველოში, უკრაინაშიც ავადმყოფთა კლანი მოიყვანა ხელისუფლებაში

**ცოტა ხნის წინათ ინტერნეტგამოცემა „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა სკანდალური მასალა, რომელშიც საუბარია უკრაინის ახალარჩეული პრეზიდენტის — პეტრე პოროშენკოს შესახებ, რომ იგი 2006 წლიდან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმატორი იყო, უფრო ზუსტად — აგენტი... ამ სკანდალური ინფორმაციის გაანალიზება პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ვთხოვეთ:**



— ცინიზმია, აშშ და ევროპა უკრაინაში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე რომ აცხადებს, — დემოკრატიულად ჩატარდაო. **რეალურად უკრაინაში არჩევნები არ ჩატარებულა, უბრალოდ, ბიულეტინები ჩაყარეს ურნებში პოროშენკოს სასარგებლოდ.** მოგეხსენებათ, უკრაინაში არეულობა გამოიწვია ევროკავშირის ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებაზე ვითომდა უარის თქმამ. არადა, იანუკოვიჩმა ხელმოწერისგან თავი მხოლოდ იმის გამო შეიკავა, რომ კარგად გარკვეულიყო ამ დოკუმენტში. იანუკოვიჩმა დაინახა, რომ ეს ხელშეკრულება უკრაინას განადგურებას უქადდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, რადგან ერთი წლით ადრე უკრაინამ მისი პარაფირება მოახდინა და ამ ხნის განმავლობაში კეთილი უნდა ენებათ და შეესწავლათ ეს დოკუმენტი, თუმცა ამ დოკუმენტის შესწავლა რამდენიმეჯერ წაკითხვით შეუძლებელია. რაც მთავარია, ვინც ეს დოკუმენტი შეადგინა, სწორედ მასთან არის საჭირო ყველა ნიუანსის გარკვევა. სხვათა შორის, **არც საქართველოში შეუსწავლიათ ეს დოკუმენტი, რადგან არც სპეციალისტი გვყავს და არც ისეთი დონის პოლიტიკოსები, ყველა ნიუანსში რომ გაერკვნენ.** უკრაინისთვის კი საქმე ძალიან ცუდად დატრიალდა — დასავლეთმა, უწინარესად, იმ ძალებმა, რომლებსაც არ სურდათ იანუკოვიჩის ხელისუფლებაში ყოფნა, მოახდინეს ის, რაც მთელმა მსოფლიომ ნახა — **მაიდნის რევოლუცია ცრუ პატრიოტული ლოზუნგებით, წამყვანი პოზიციები დაიკავეს მემარჯვენე რადიკალურმა ძალებმა და ფაშისტი სტეპან ბანდერას გზის გამგრძელებლებმა.** ცხადია, ეს ყველაფერი ამერიკელების მიერ იყო მომზადებული, რაშიც მათ დიდძალი თანხა ჩადეს. **როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, ქალბატონმა ნულანდმა განაცხადა, ხუთი მილიარდი დოლარი დაუჯდათ უკრაინის „გადემოკრატიულება“. მაიდნის რევოლუციაში ჩადებული იყო ის, რომ უკრაინაში აეღორძინებინათ ბანდერული, ანუ ფაშისტური სულისკვეთება, რომელიც მიმართული იქნებოდა რუსეთის წინააღმდეგ.** ის, რაც უკრაინაში მოხდა, დიდი ხნის წინათ იყო დაგეგმილი აშშ-ის მიერ, რომელიც ამის გაკეთებას 23 წლის განმავლობაში ცდილობდა. მიზანი კი არის ის, რომ რუსეთი, რომელიც ფეხზე მყარად დადგა, არ იქნებოდა აშშ-ის ისეთი მონა, როგორიც დღეს დანარჩენი სახელმწიფოები არიან, თუნდაც ევროპის განვითარებული ქვეყნები. ამიტომ ამერიკელებმა იფიქრეს, რომ რუსეთის წელში გასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უკრაინის ხელში ჩაგდება. **უკრაინა კი „დაითრიეს“ ბანდერული სულისკვეთების ზენიტში აყვანით, ანტირუსული პოლიტიკის გაღვივებით და ა.შ.** ამ ბრძოლაში გამოიკვეთნენ ისეთი ლიდერები, როგორებიც არიან ტიაგნიბოკი, რომელიც ულტრამემარჯვენე და ფაშისტია; მისი ორგანიზაცია აკრძალული იყო ევროპაში, როგორც ფაშისტური პარტია; მოკრივე კლიჩკო, აგრეთვე, ციხიდან გამოსული ქალბატონი ტიმოშენკო, იაცენიუკი — ამერიკელი სექტანტი; ტურჩინოვი და ისეთი პირწავარდნილი ფაშისტი, როგორცაა იაროში. ამასთანავე, ფაქტობრივად, მოხდა მათი შერწყმა პოროშენკოსთან.

**— ვინ არის პოროშენკო?**

— პოროშენკო წინა მთავრობებში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, მამამისი კი საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული იყო „დელეცი“, ანუ „საქმოსანი“, რომელსაც არაერთი საციხო საქმე აქვს გაკეთებული. დღეს მამა-შვილ პოროშენკოებს საკონდიტრო ნაწარმისა და სხვა ბიზნესები აქვთ უკრაინაში. საქართველოში უკრაინული ყვითელი ავტობუსები რომ ჩამოზიდეს, სწორედ მათი ბიზნესის ნაწილია. **პოროშენკო არის პიროვნება, რომელიც თავის დროზე ინფორმაციას აწვდიდა აშშ-ს. იგი არის ამერიკელთა ინფორმატორი და ის, რაც მასზე მასმედიაში იწერება, სრული ჭეშმარიტებაა.** აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ქალბატონი ნულანდი არაერთხელ ბრძანდებოდა უკრაინაში, ფუნთუშებსაც კი არიგებდა მაიდანზე, თუმცა, ფუნთუშების გარდა, ამერიკელები უკრაინაში მილიონობით დოლარს გზავნიდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, **აშშ-ის საელჩოს მანქანა აეროპორტში თვითმფრინავთან მიდიოდა და იქ ხსნიდნენ ფულით სავსე კონტეინერებს. უკრაინის მომავალი მთავრობა ვიქტორია ნულანდმა შეარჩია.** უკრაინაში აშშ-ის ელჩის — ჯეფრი პაიეტისა და ვიქტორია ნულანდის საუბრიდან, რომელიც ინტერნეტში გავრცელდა, კარგად ჩანს, როგორი ამრეზით უყურებს ქალბატონი ნულანდი ევროკავშირს და აშშ-ს მიიჩნევს ყველაფრის საწყისად. ამ საუბარში ისიც გამოიკვეთა, რომ ნულანდს ყველაფრის უფლება აქვს და მან უნდა გადაწყვიტოს უკრაინის ბედი. სწორედ მან შეარჩია უკრაინის მთავრობა. **ამერიკელები უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე თავიდანვე პოროშენკოს განიხილავდნენ, როგორც მათდამი ლოიალურად განწყობილ პიროვნებასა და, ამასთანავე, ინფორმატორს.** ყველას კარგად ახსოვს, რომ პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა კლიჩკო, რომელსაც აფინანსებდა უკრაინელი მილიარდერი ფირტაში. ის ამერიკელებმა უცხოეთში დააპატიმრეს უკანონო საბანკო ოპერაციების საბაბით, თუმცა რამდენიმე დღეში გამოუშვეს. ფირტაშს, ისევე, როგორც პოროშენკოს, საკუთარი ტელევიზია აქვს, ამიტომ **ამერიკელებმა ფირტაშს უთხრეს, გაგათავისუფლებთ, თუ პოროშენკოს წინასაარჩევნო კამპანიას რეგულარულად გააშუქებ, აღარ დააფინანსებ კლიჩკოს და თანაც აგრძნობინებ მას, რომ პრეზიდენტი ვერ გახდებაო.** ასეც მოხდა: გათავისუფლებულმა ფირტაშმა მწვანე შუქი აუნთო პოროშენკოს. კიდევ რა დავალება მისცეს ამერიკელებმა ფირტაშს, უცნობია. ყოველ შემთხვევაში, პოროშენკო გახდა პრეზიდენტი. მას ამ არჩევნებზე რეალურად 30%-ზე მეტი მხარდამჭერი არ ჰყოლია, მაგრამ მოხდა ისე, რომ 60 %-მა დაუჭირა მხარი და პირველ ტურში გაიმარჯვა. არადა, **პოროშენკოს გამარჯვება სრული ფალსიფიკაცია იყო.** როგორ შეიძლება პოროშენკოს გამარჯვებული ვუწოდოთ, როდესაც უკრაინის პრეზიდენტობის დანარჩენ კანდიდატებს სცემდნენ, სახლებს უწვავდნენ?! მაგალითად, კომუნისტური პარტიის ლიდერს — სიმონენკოს სახლი და ოფისი დაუწვეს და ეს ყველაფერი ტელევიზიით გააშუქეს იმიტომ, რომ სხვა კანდიდატებს შიში გასჩენოდათ. ამ საშინელებების მიუხედავად, აშშ აცხადებს, რომ უკრაინაში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. **ამერიკა ცინიკოსების ბანდაა ოდითგანვე!** ასე რომ, დღეს უკრაინას პრეზიდენტად ჰყავს ოლიგარქი და კორუმპირებული ოჯახის წარმომადგენელი, რაც მთავარია, გვარგადაკეთებული პიროვნება — პოროშენკო წარმოშობით ებრაელია, მამამისი ცოლის გვარზე გადავიდა, ნამდვილი გვარი კი არის ვალცმანი. პრეზიდენტი პოროშენკო დედის გვარს ატარებს. ისე, ეს ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან სააკაშვილიც იყო საქართველოს პრეზიდენტი და ყველამ კარგად იცის, რომ მამამისი სააკოვი გახლდათ...

**— იაცენიუკი ვინ არის?**

— **ეს არის საენტოლოგიური რელიგიური (და არა მხოლოდ) ორგანიზაციის წარმომადგენელი.** ეს ორგანიზაცია ამერიკაში დახურულად მოქმედებს. რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარე ტურჩინოვს, პირწავარდნილი ბაპტისტია. უკრაინის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები კი გადაგვარებული ადამიანები არიან. მაგალითად, შს მინისტრი ავაკოვი რომ მამათმავალი და პედოფილია, მთელმა უკრაინამ იცის. **ამერიკამ, ისევე, როგორც 2003 წელს საქართველოში, უკრაინაშიც ავადმყოფთა კლანი მოიყვანა ხელისუფლებაში, იმიტომ, რომ ამერიკელებიც ავადმყოფები არიან.** და ვინ არის ამ ყველაფრის წინააღმდეგი? რა თქმა უნდა, პუტინი და რუსეთი და, საზოგადოდ, მართლმადიდებლური სამყარო. ამიტომაც ცდილობს ამერიკა, რუსეთს იქამდე უჩხიკინოს, ვიდრე არ წააქცევს.

**— ამას მოახერხებს ამერიკა?**

— ნაწილობრივ უკვე მოახერხა. მართალია, რუსეთმა შეძლო ყირიმის დაბრუნება და შავ ზღვაზე კონტროლის განმტკიცება, მაგრამ უკრაინაში ამერიკელებმა შექმნეს ცხელი წერტილი, რომელიც მუდამ იარსებებს. რაც მთავარია, უკრაინელებს, ყირიმის დაკარგვის გამო, რუსეთი უკვე წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც მტერი. **ჩვენსავით არიან უკრაინელებიც, ისინიც არ ფიქრობენ, რატომ დაკარგეს ყირიმი, ისევე, როგორც ჩვენ არ ვფიქრობთ, რატომ დავკარგეთ აფხაზეთი და ოსეთი.** შარშან პუტინი სულაც არ ფიქრობდა ყირიმის დაბრუნებაზე, მაგრამ უკრაინის ხელისუფლებამ იმდენი ქნა, რომ ყელი თვითონვე გამოიჭრა. ეს ყველაფერი ხელს აძლევდა ამერიკას, რადგან მრავალი წლის განმავლობაში რუსეთისთვის წამოსაყვედრებელი ექნება ყირიმის თემა. **ამერიკამ შექმნა ისეთი უკრაინა, რომელიც მუდამ დაპირისპირებული იქნება რუსეთთან.**

დღეს რუსეთს დიდი პრობლემები შეუქმნა უკრაინამ, რადგან მოუწევს უკრაინასთან რამდენიმე ათასი კილომეტრის სიგრძის საზღვრის გამაგრება. ეს პრობლემა რუსეთს აქამდე არ ჰქონია, რადგან ეს ხალხი ერთმანეთთან უპრობლემოდ გადადიოდა და გადმოდიოდა, წარმოებული პროდუქციაც გადაჰქონდა და გადმოჰქონდა. უკრაინისთვის კი ყველაზე ცუდი არის ის, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლებამ შეწყვიტა რუსეთის სამხედრო დაკვეთების შესრულება. 230 ქარხანა და დიდი ობიექტი მუშაობდა რუსეთის დაკვეთებზე და ათეულ მილიონობით დოლარს იღებდა. ეს ქარხნები დაიხურება, რადგან რუსეთისგან შეკვეთები აღარ ექნება, დასავლეთს კი ეს ქარხნები არ აინტერესებს. დასავლეთს მხოლოდ ამ ქარხნებში არსებული სქემები და ნახაზები სჭირდება, თვითონ რომ გამოუშვას სამხედრო ნაწარმი. აგრეთვე, სჭირდება სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ამ შეკვეთებზე მუშაობდნენ და ძალიან მალე ესენიც დაიხურება. უკრაინას შავი დღეები ელოდება, რადგან 230 ქარხნის დახურვა მილიონობით ადამიანის უმუშევრობას გამოიწვევს და აღმოსავლეთ უკრაინის პარალიზებას მოახდენს.

**— უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლებად სააკაშვილისა და ბენდუქიძის დანიშვნაზე რას ფიქრობთ?**

— ესეც ამერიკელების გადაწყვეტილებაა, რადგან **ბენდუქიძესა და სააკაშვილს ამერიკამ დაავალა, რომ, თუკი უკრაინაში სადმე დარჩა თუნდაც პატარა ჯგუფი, რომელიც ლოიალურადაა განწყობილი რუსეთისადმი, გაანადგურონ. აი, ამისთვის სჭირდებათ ეს პირწავარდნილი ავანტიურისტები უკრაინაში — აშშ-ს სურს, თავისი მისია სხვისი ხელით შეასრულოს.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვითარება უკიდურესად არის გამწვავებული. გვყავს პაციენტი, რომელიც უკვე სამი წელია, აპარატზეა შეერთებული. ახალგაზრდა კაცი გონებაზეა, მაგრამ დამბლა აქვს და აპარატის გარეშე ვერ იცოცხლებს; გვყავს, ასევე, მეორე პაციენტი, რომელიც რვა თვეა, აპარატზეა. მომაკვდავი შიდსიანი ავადმყოფებიც ჩვენთან გადმოჰყავთ სამკურნალოდ.“**

# საქართველო, შესაძლოა, ინფექციური საავადმყოფოს გარეშე დარჩეს

**რესპუბლიკურ კლინიკურ ინფექციურ საავადმყოფოს გაუქმება ემუქრება. ფარმაცევტულმა კომპანია „ავერსმა“ ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე მდებარე ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის შენობა კარგა ხნის წინათ შეისყიდა და ახლა შენობის დაცლას მოითხოვს. შეთანხმების თანახმად, ხელისუფლებას ინფექციური საავადმყოფო სანზონის დასახლებაში, გუდამაყრის ქუჩაზე, ყოფილი კარდიოლოგიის ინსტიტუტის შენობაში უნდა განეთავსებინა, თუმცა, ვინაიდან იქ ამჟამად დევნილები ცხოვრობენ და მათ ვერ ასახლებენ, ჯერჯერობით შენობის რეაბილიტაციაც არ დაწყებულა.**
**თუ პრობლემა დროულად არ გადაიჭრა, ქვეყანა ინფექციური საავადმყოფოს გარეშე დარჩება.**



**უახლოეს დღეებში ინფექციური საავადმყოფოს ექიმები აპირებენ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი გაუგზავნონ და პრობლემის მოგვარება სთხოვონ. იმედია, სახელმწიფო გულისხმიერებას გამოიჩენს და ქვეყანას ერთადერთი ინფექციური საავადმყოფოს გარეშე არ დატოვებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო გვარწმუნებს, ინფექციურ საავადმყოფოს გაუქმება არ ემუქრებაო, ფაქტია, რომ სახელმწიფომ ეს პრობლემა დღემდე ვერ მოაგვარა**

საყურადღებოა, რომ ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც საქართველო, ფაქტობრივად, ვირუსული დაავადებების კერად იქცა. მხოლოდ ბოლო პერიოდში ქვეყანაში ვირუსული მენინგიტის გავრცელებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებით ორი კაცი გარდაიცვალა და ერთიც მძიმედ დაავადდა, ხოლო ცოტა ხნის წინათ საქართველოში სრულიად უცნობი დაავადება აღმოაჩინეს, რომელიც ძალიან ჰგავს „ყვავილის“ სახელით ცნობილ ვირუსს. რა ბედი ელის ამგვარ ავადმყოფებს, ასევე მათ, ვინც უკვე წლებია, ინფექციურ საავადმყოფოში მკურნალობენ, ჯერჯერობით უცნობია.

ინფექციური საავადმყოფოს ექიმები დახმარებას სახელმწიფოს სთხოვენ, ხოლო, თუ ხელისუფლება ინფექციური საავადმყოფოსთვის დროულად არ გამოყოფს შესაბამის ფართობს, ექიმებს — უმუშევრობა, ქვეყანას კი ინფექციური საავადმყოფოს გარეშე დარჩენა ემუქრებათ.

**ინფექციური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების გამგის — რევაზ ლომაძის** თქმით, საავადმყოფოს შენობა კომპანია „ავერსმა“ შეისყიდა. „ავერსი“ თავის ტერიტორიას ითხოვს, აქ გასაკვირი არაფერია, მაგრამ იმ შენობიდან, რომელშიც სავადმყოფო უნდა განთავსებულიყო, დევნილები ვერ გამოჰყავთ.

**— შეიძლება, რომ საერთოდ გაუქმდეს ინფექციური საავადმყოფო?**

— ინფექციური საავადმყოფოს გარეშე როგორ იარსებებს ქვეყანა?! არ მესმის და არ მჯერა, რომ მის დახურვას ასე ხელაღებით გადაწყვეტენ. 31 დეკემბრიდან უნდა გახვიდეთ საავადმყოფოდანო, — გვითხრა „ავერსის“ ხელმძღვანელმა პაატა კურტანიძემ; ლამის ყოველ დღე უგზავნის სამინისტროს წერილს,— ესენი აქედან მოგვაცილეთო.

ვითარება უკიდურესად არის გამწვავებული. გვყავს პაციენტი, რომელიც უკვე სამი წელია, აპარატზეა შეერთებული. ახალგაზრდა კაცი გონებაზეა, მაგრამ დამბლა აქვს და აპარატის გარეშე ვერ იცოცხლებს; გვყავს, ასევე, მეორე პაციენტი, რომელიც რვა თვეა, აპარატზეა. მომაკვდავი შიდსიანი ავადმყოფებიც ჩვენთან გადმოჰყავთ სამკურნალოდ.

**— რა ეშველებათ ამ ადამიანებს?**

— არ ვიცი...

**ინფექციური საავადმყოფოს ექიმი მანანა შატბერაშვილი** ამბობს, რომ ჯერჯერობით არ იციან, რა ბედი ელის ინფექციურ საავადმყოფოს. „უახლოეს დღეებში მთელი კოლექტივი ვაპირებთ, ჯანდაცვის სამინისტროს მივმართოთ თხოვნით, გამოგვიყოს რაღაც ფართობი, სადაც ინფექციური საავადმყოფო მუშაობის გაგრძელებას შეძლებს. მეტი ამ ეტაპზე არაფერი ვიცით. არჩევნებამდე გაჩუმებული ვიყავით, რადგან არ გვსურდა პოლიტიკური ელფერი მისცემოდა ამ ყველაფერს და ახლა უკვე აღარ გავჩერდებით“.

რა ბედი ელის ინფექციურ საავადმყოფოს, ამის გარკვევა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ვცადეთ. **შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი თამარ ბოდოკია** ამბობს, რომ ინფექციური საავადმყოფო არ გაუქმდება.

— **ქალბატონო თამარ, მოგეხსენებათ, ფარმაცევტულმა კომპანია „ავერსმა“ ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე მდებარე ინფექციური საავადმყოფო შეისყიდა და ახლა კუთვნილი შენობის დაცლას ითხოვს. შეთანხმების თანახმად, ხელისუფლებას ინფექციური საავადმყოფო სანზონის დასახლებაში, გუდამაყრის ქუჩაზე, ყოფილი კარდიოლოგიის ინსტიტუტის შენობაში უნდა განეთავსებინა, მაგრამ, ვინაიდან იქ დევნილები ცხოვრობენ, ჯერჯერობით შენობის რეაბილიტაციაც არ დაწყებულა. სად განთავსდება ინფექციური საავადმყოფო, რას აპირებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო?**

— მართალია, დაგვიანდა გუდამაყრის ქუჩაზე მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროცესის დაწყება, მაგრამ ვადასტურებთ, რომ სარეაბილიტაციო-სამშენებლო პროექტი არსებობს, მას საერთაშორისო და ადგილობრივი რესურსებით ჩაუტარდა ექსპერტიზა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; ჩატარებულია სახელმწიფო ტენდერი სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციის გამოსავლენად; გამარჯვებულიც გამოვლენილია და მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

რაც შეეხება სამუშაოების დაგვიანებით დაწყებას, ეს საკითხი განპირობებულია რიგი ობიექტური გარემოებებით და ვადებში ჩამორჩენის დაძლევა მოხდება სამუშაოების წარმოების ტემპის ფორსირებით, რესურსების მაქსიმალური გამოყენებითა და მობილიზებით. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ საავადმყოფო განთავსდება გუდამაყრის ქუჩაზე მდებარე შენობაში, ყოფილი კარდიოლოგიის ინსტიტუტის შენობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შენობაში უკანონოდ არიან შეჭრილი პირები, რომელთა იმავე შენობაში განსახლების საკითხი არ განიხილება.

**— არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ემუქრება თუ არა გაუქმება ინფექციურ საავადმყოფოს?**

— **ინფექციურ საავადმყოფოს გაუქმება მოვლენების არც ერთი შესაძლო (თეორიულიც კი) სცენარით განვითარების შემთხვევაშიც კი არ ემუქრება. უფრო მეტიც, სახელმწიფო გეგმავს საავადმყოფოს გაცილებით უკეთესი ფიზიკური გარემოს შექმნას** და, რაც მთავარია, სერვისების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

**ვითარებაში გასარკვევად კომპანია „ავერსსაც“ დავუკავშირდით. ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ლალი ბრეგაძე** ამბობს, რომ უკვე დიდი ხანია, ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორია კომპანიის კუთვნილებაა.

**— რამდენ ხანში უნდა დატოვონ ინფექციური საავადმყოფოს შენობა ექიმებმა?**

— დიდი ხანია, რაც კომპანია „ავერსმა“ საავადმყოფო შეისყიდა და, შეთანხმების თანახმად, აქამდე უნდა დაეცალათ შენობა, ასეთი იყო პირობები, მაგრამ, ჯერჯერობით ისევ იქ არიან.

**— რა განთავსდება ინფექციური საავადმყოფოს შენობაში?**

— ჯერ დაგეგმილი არაფერია. როდესაც გათავისუფლდება, შემდეგ გადაწყდება.

გარკვეული კითხვები გვქონდა ინფექციური საავადმყოფოს აღმასრულებელი დირექტორის, შოთა გოგიჩაიშვილის, მიმართაც. როგორც ექიმები პირად საუბრებში აცხადებენ, ისინი საკმაოდ მწირ ხელფასებს იღებენ. ამას გარდა, საავადმყოფოში არ არის შესაბამისი სამედიცინო აპარატურა და ექიმებს ძველი ხელსაწყოებითა და მეთოდებით უწევთ სერიოზულ დაავადებებთან გამკლავება. ბატონ შოთასთან დაკავშირება და მისი პოზიციის მოსმენა ინფექციური საავადმყოფოს მომავლის შესახებ ვერ მოვახერხეთ, რადგან მან ჩვენს ზარებს და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს არ უპასუხა.

**უახლოეს დღეებში ინფექციური საავადმყოფოს ექიმები აპირებენ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი გაუგზავნონ და პრობლემის მოგვარება სთხოვონ. იმედია, სახელმწიფო გულისხმიერებას გამოიჩენს და ქვეყანას ერთადერთი ინფექციური საავადმყოფოს გარეშე არ დატოვებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო გვარწმუნებს, ინფექციურ საავადმყოფოს გაუქმება არ ემუქრებაო, ფაქტია, რომ სახელმწიფომ ეს პრობლემა დღემდე ვერ მოაგვარა.**

მოამზადა **შორენა ციჭქარაშვილმა**

## გია ხუხაშვილი: «ნაციონალური მოძრაობის» რეანიმირება «ქართული ოცნების» დამსახურებაა, რომელიც მთავრობის არაკვალიფიციურობითაა გამოწვეული

**პრემიერმინისტრის ყოფილმა მრჩეველმა გია ხუხაშვილმა 15 ივნისს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები შეაფასა.** „სხვადასხვა ქალაქში მეორე ტურის დანიშვნას აქვს ორი მხარე. ეს პოზიტიურია იმ კუთხით, რომ, რაც უფრო მაღალი იქნება პოლიტიკური კონკურენცია, მით უკეთესი. ამასთანავე, ხელისუფლებამ სხვა ალტერნატივა არ დაუტოვა ხალხს, აქ იყო არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმირება „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეს შედეგი დამდგარიყო, რომელიც აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო, ეს კი მთავრობის არაკვალიფიციურობითაა გამოწვეული. ნათელია, რომ მოსახლეობამ პოლიტიკოსებს უნდობლობა გამოუცხადა. ხალხის 50% პოლიტიკურ სისტემას არას ეუბნება. ეს კი ძალიან შემაშფოთებელია, რადგან ჩვენ წინ დიდი ამოცანები გვაქვს, საერთაშორისო ასპარეზზე,“ — განაცხადა ხუხაშვილმა.



„დაავადებათა კონტროლის ცენტრში მითხრეს, რომ ლუგარის ლაბორატორიას ისევ შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი მართავს. გარდა ამისა, ქობულეთის მახლობლად არსებობს ლაბორატორია, რომელიც სამხედრო დანიშნულებით მუშაობს და მას დიდი ბრიტანეთის თავდაცვის დეპარტამენტი მართავს“.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი:

# ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში შავი ჭირის საიდუმლო შტამს ინახავს



**„საქართველო და მსოფლიოს“ მიმდინარე წლის 28 მაისი-3 ივნისის ნომერში (№19) გამოქვეყნდა მასალა სათაურით „რამ გამოიწვია ვირუსების უეცარი გავრცელება საქართველოში და უქმნის თუ არა საფრთხეს ქვეყანას ლუგარის ლაბორატორია“, რომელშიც აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე და პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი პოლიტიკურ შეფასებებს აძლევდნენ თბილისის აეროპორტთან ახლოს ლუგარის ლაბორატორიის ამოქმედებას და იმ საფრთხეებზე საუბრობდნენ, რომლებიც ამ დაწესებულებამ შეიძლება საქართველოს შეუქმნას. ამ წერილს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე, რომელმაც ქართველი ექსპერტების შეფასებებში ეჭვი შეიტანა, — ჯაველიძე და ჭიპაშვილი აკადემიკოსები არ არიან ვირუსოლოგიაშიო.**
**ამიტომ დღეს ამ საკითხზე გთავაზობთ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩევლის, ამერიკელი ჟურნალისტისა და მკვლევარის — ჯეფრი სილვერმანის თვალსაზრისს.**




**— უკვე დიდი ხანია, იკვლევთ ბიოლაბორატორიების საკითხებს, პირველად როგორ და როდის შეიტყვეთ მათ შესახებ?**

— 2004 წელს კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოს ვასრულებდი საფრანგეთის საელჩოსა და საერთაშორისო საკრიზისო ჯგუფისთვის. მე შემიკვეთეს იმ პერსონების სიის შედგენა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ტექნოლოგიების მართვის კომპანია TMC-ში, რომელიც მდებარეობდა თბილისში, თავისუფლების მოედანზე. ეს იყო წამყვანი კომპანია, რომელსაც თბილისის აეროპორტთან ლუგარის ლაბორატორია უნდა აეშენებინა. დამავალეს, შემეჯამებინა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო პროექტსა და შეერთებული შტატების შეიარაღების პროგრამებთან, აგრეთვე, იმ ამერიკულ და ბრიტანულ უნივერსიტეტებთან, რომლებიც ასოცირდებოდნენ ამ პროგრამებთან. ასევე, უნდა გამერკვია კავშირები თურქ კონტრაქტორ Bechtel National-სა და საიდუმლო შეიარაღების პროგრამებთან.

მე, აგრეთვე, ვიძიებდი იმას, თუ როგორ დამახინჯდა ამერიკის ბიოლოგიური შეიარაღების კანონმდებლობა შეერთებული შტატების პატრიოტის აქტის 817 მუხლით და როგორ გამოიყენა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ციმბირული წყლულის ინციდენტი 2001 წელს სამხედრო ექსპანსიის დასაწყებად. ამჟამად **დროდადრო ვიღებთ ინფორმაციას იმის თაობაზე, როგორ ცდიან ბიოლოგიურ იარაღს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობაზე, მათ შორის არის საქართველოს და შუა აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყნის მოსახლეობაც.**

საქართველოში წლების განმავლობაში არ არსებობდა ცხოველთა აცრის პროგრამა, მთავრობა დაავადებებისგან პირუტყვის დაცვის საშუალებების არარსებობას უსახსრობას აბრალებდა, მაგრამ ბევრი თვლის, რომ საქმე სხვა რაღაცაში იყო. **ამერიკის მთავრობამ, კერძოდ, თავდაცვის დეპარტამენტმა, გადაწყვიტა, შეესწავლა ბაქტერიების ახალი შტამები, მაგალითად, ციმბირის წყლულის და ამა თუ იმ შტამის ზემოქმედების შედეგები პირუტყვზე საქართველოს ბუნების პირობებში.**

**— რა მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა ამ ლაბორატორიებში?**

**«რატომ მოხდა ისე, რომ ლაბორატორია, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 40 მილიონს, საბოლოოდ 300 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა? რატომ ჩართეს პროექტში საზღვაო ჯარები? რატომ დაინიშნა ლაბორატორიათა ქსელზე პასუხისმგებელ პირად გენერალი, რომელსაც მეცნიერებასთან შეხება არ აქვს? »**

— ეს არის დაავადებები: კურდღლის ცხელება, შავი ჭირი, მაგრამ მუშაობენ არა ლაბორატორიებში, არამედ საველე პირობებში ცხოველთა პოპულაციაში. გარდა ამისა, **ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში შავი ჭირის საიდუმლო შტამს ინახავს მისი შემდგომი შესწავლის მიზნით.** ლაბორატორიამ გახსნა ბიოაგენტების შენახვის საიტი, მაგრამ მისი აქტიურობა გაფართოვდა ლაბორატორიების ქსელების მეშვეობით და რიგი ვაქცინების დამკვიდრებით საქართველოსა და უკრაინაში სამხედრო აპლიკანტების მიერ.

თავდაპირველად ამ ლაბორატორიების დანიშნულება შეერთებული შტატების ბიოლოგიური იარაღის შენახვა იყო, ამის უზრუნველყოფას აკეთებდნენ დაქირავებული „დემოკრატიისთვის მებრძოლები“.

**დაავადებათა კონტროლის ცენტრში მითხრეს, რომ ლუგარის ლაბორატორიას ისევ შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი მართავს. გარდა ამისა, ქობულეთის მახლობლად არსებობს ლაბორატორია, რომელიც სამხედრო დანიშნულებით მუშაობს და მას დიდი ბრიტანეთის თავდაცვის დეპარტამენტი მართავს.**

**— ვინ დგას ამის უკან?**

— ამერიკის მთავრობა, თავდაცვის დეპარტამენტი, რომელიც USAMRID-ის (შეერთებული შტატების ინფექციურ დაავადებათა სამხედრო სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი) სახელით მერილენდის შტატში ფორტ დეტრიკსში მოღვაწეობს. ეს ის ბაზაა, რომელიც პასუხისმგებელი იყო ბიოიარაღზე კვლევების ჩატარებაზე და რომელიც დაიხურა საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით. ამის გამო კვლევები გაგრძელდა ქვეყნის გარეთ, ე. წ. ნაცრისფერ ზონაში. **არსებობს მჭიდრო კავშირი ქართველ ბიზნესმენებსა და ლიბანისა და საუდის არაბეთის მკვიდრთა შორის. ისინი ერთად მუშაობენ და ახლო კავშირში არიან ამერიკულ სადაზვერვო სამსახურებთან.**

რამდენიმე წლის განმავლობაში ვიკვლევდი ამ კავშირებს და ამ ქსელის თაობაზე ამერიკის მთავრობისთვისაც არის ცნობილი. აღნიშნულ ქსელში ჩართულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი თაღლითი პირი.

**— როგორ დაიზღვიოს თავი მოსახლეობამ?**

— იმ შემთხვევაში, თუ დაავადება გავრცელდა, სასურველია, გაემგზავროთ ქალაქგარეთ, თბილისიდან მოშორებით და მოარიდოთ თავი კონტაქტებს. მოიმარაგეთ საკვები და წყალი. ვაქცინაცია და პროფილაქტიკური მკურნალობა უფრო სასარგებლო იქნება ინფექციის გავრცელების მეორე სტადიაზე და არა პირველად გამოცხადების შემთხვევაში. წინასწარი ვაქცინაცია დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ვაქცინა ფართოდ ხელმისაწვდომია (მაგალითად, შავი ჭირის ან ციმბირული წყლულის შემთხვევებში).

დღეს კი ხელისუფლებას უნდა დაუსვათ შემდეგი კითხვები: მაგალითად, **რატომ მოხდა ისე, რომ ლაბორატორია, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 40 მილიონს, საბოლოოდ 300 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა? რატომ ჩართეს პროექტში საზღვაო ჯარები? რატომ დაინიშნა ლაბორატორიათა ქსელზე პასუხისმგებელ პირად გენერალი, რომელსაც მეცნიერებასთან შეხება არ აქვს?**

მოითხოვეთ არამხოლოდ ლაბორატორიის, არამედ ლაბორატორიათა ქსელის გამჭვირვალე დოკუმენტაცია. მედიის მიერ გაშუქებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოში არსებობს ბიოიარაღის ლაბორატორია, კერძოდ, რიჩარდ ლუგარის სახელობის თბილისის საჯარო ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი, მოჰყვა ის, რომ 2013 წლის მაისში ამ დაწესებულებას ეწვია საქართველოს პრემიერმინისტრი ჯანდაცვის მინისტრისა და ამერიკის ელჩის თანხლებით. რამდენიმე საათის შემდეგ კი, ყველანაირი ახსნაგანმარტების გარეშე, მთავრობამ ცენტრის ლიკვიდაციის შესახებ გამოაცხადა. სამთავრობო მოლაპარაკების თანახმად, 2013 წლის 7 მაისს ცენტრის ქონება გადასცეს დაავადებათა კონტროლის საქართველოს ეროვნულ ცენტრს. **გასათვალისწინებელია, რომ ამ ლაბორატორიებს არც სამოქალაქო ჯანდაცვის ფასეულობა აქვთ და არც კომერციული. ისინი საფრთხეს კი არ ებრძვიან, თვითონ ქმნიან.**

**საკითხავია, რატომ აფუძნებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ ლაბორატორიებს, რატომ ახორციელებს საშიშ პროგრამებს და აწარმოებს ტოქსინებს?**

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

---

მსოფლიო

## ნახევარი მილიარდი დოლარი — ერაყელი «ბოევიკების» ნადავლი

**სააგენტო „ფრანსპრესის“ (AFP) მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაჯგუფება „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოში ერთ-ერთ მდიდარ ტერორისტულ გაერთიანებად იქცა მას შემდეგ, რაც ხელში ჩაიგდო ქალაქ მოსულის (ერაყი) რამდენიმე ბანკის აქტივები — 429 მლნ დოლარი და ოქროს ზოდები.**

წევრებმა დაჯგუფებისა „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფო“ ერაყის პროვინცია ნაინავასა და მის ადმინისტრაციულ ცენტრზე, ქალაქ მოსულზე კონტროლი 10 ივნისს დაამყარეს. ტერორისტთა თავდასხმის გამო პროვინცია 500 ათასმა კაცმა დატოვა. „ბოევიკებმა“ ხელში ჩაიგდეს სამხედრო ბაზა, აეროპორტი და ციხე, საიდანაც 2 ათასამდე პატიმარი გამოუშვეს. 11 ივნისს კი თურქეთის საკონსულოს შენობაში შეიჭრნენ და კონსულთან ერთად მისი 24 თანამშრომელიც გაიტაცეს. ექსპერტების მონაცემებით, ლიბანის შიიტური დაჯგუფება „ჰესბოლაჰის“ აქტივები შეფასებულია 500 მილიონ დოლარად, ავღანური მოძრაობა „თალიბანის“ — 400 მლნ დოლარად, ხოლო კოლუმბიური რევოლუციური შეიარაღებული ძალებისა — 350 მლნ დოლარად.



ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა, მას პრეზიდენტობის კანდიდატადაც არ წამოაყენებდნენ. ეს კი ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის იქნება აშშ-ის პოლიტიკის გამტარებელი, ისეთივე (თუ უფრო მეტად არა) ერთგული ამერიკელი პატრონების, როგორიც იყო პრეზიდენტი იუშჩენკო, როგორიც იყო მიხეილ სააკაშვილი.**

# პეტრე პოროშენკო — გავლენის აგენტი თუ ინფორმატორი?


პეტრე პოროშენკო

**გასული კვირის პარასკევს საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს wikileaks-ის მიერ მიწოდებული ცნობა, რომ უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ 2006 წლის გაზაფხულზე, უმაღლესი რადის დეპუტატად ყოფნის პერიოდში საქმის კურსში ჩააყენა აშშ-ის ელჩი ჯონ ჰერბსტი, თუ როგორ მიმდინარეობდა კონსულტაციები კოალიციური მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით. wikileaks-მა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები გამოაქვეყნა. ამერიკელ დიპლომატებს ეჭვი ეპარებოდათ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეში. მათი აზრით, პოროშენკო ინტრიგებს ხლართავდა იმ მიზნით, რათა დაეპატიმრებინათ იულია ტიმოშენკოს თანამებრძოლი ალექსანდრ ტურჩინოვი, რომელიც ამჟამად უმაღლესი რადას სპიკერია. „...პოროშენკოს განცხადებები მისი დაუძინებელი მტრის — (იულია) ტიმოშენკოს შესახებ და მისი (პოროშენკოს) პროტესტი, რომ იგი უდანაშაულოა ტიმოშენკოს მოადგილის — ტურჩინოვის წინააღმდეგ გენპროკურატურის მიერ გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით, უნდა აღვიქვათ დიდი სკეპტიციზმით, უფრო მეტითაც კი, ვიდრე სხვა შემთხვევებში“, — უპატაკებდა ელჩი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს. ამ თემაზე ვსაუბრობ სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძესთან.**


ანზორ მაისურაძე

**— ამ ინფორმაციას თქვენ იცნობთ.**

— დიახ, რასაკვირველია.

**— ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ აშშ-ის საელჩო უკრაინაში მაინცდამაინც სარწმუნოდ არ მიიჩნევს პეტრე პოროშენკოს მიწოდებულ ინფორმაციას. ამ დასკვნამდე მიდის არა ერთჯერადი ფაქტის გამო. მისი (საელჩოს) სკეპტიციზმი „უფრო მეტიცაა, ვიდრე სხვა შემთხვევებში“, ე. ი. პოროშენკოს მიერ მიწოდებული ცნობები იყო სხვაც, არაერთი, და ყველას მხოლოდ „დიდი სკეპტიციზმით“ აღიქვამდნენ.**

**როგორ უნდა გავიგოთ პოროშენკოსა და აშშ-ის საელჩოს ასეთი ურთიერთობა?**

— თუ „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებულ დოკუმენტებს სარწმუნო წყაროდ მივიჩნევთ, ჩვენ კი საფუძველი არ გვაქვს, მათ ნამდვილობაში დავეჭვდეთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2006 წელს უკრაინის რადას დეპუტატი პეტრე პოროშენკო აშშ-ის საელჩოს ინფორმატორი იყო.

**— ეს ნიშნავს, რომ იგი სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული აგენტი იყო?**

— მოდით, ვიმსჯელოთ იმ პუბლიკაციით, რომელიც პრესაში გავრცელდა, რადგან რომელიმე ქვეყნის აგენტობას ვერავინ ვერავის დასწამებს, სანამ გადამბირებელი სპეცსამსახური ამას თვითონ არ გაასაჯაროებს.

მაგრამ მსგავსი შემთხვევა ჯერ არსად დაფიქსირებულა.

აგენტებს, როგორც წესი, გადაიბირებენ იმ სახელმწიფო სტრუქტურებიდან, რომლებიც დაინტერესებული სპეცსამსახურისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს — მთავრობიდან, პარლამენტიდან, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და ა. შ.

რადა ასეთია. მაშასადამე, მისი დეპუტატი საინტერესო ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს.

ე.ი. გადაბირების წინაპირობა არსებობს.

პოროშენკო ამჟამად მილიარდერი ბიზნესმენია, მაგრამ იგი ყოველთვის არ ყოფილა დიდი ფულის პატრონი, თუმცა მისწრაფება ჰქონდა. ამ მისწრაფებაში მხარდაჭერა, ხელშეწყობა, ბიზნესწრეებთან, გავლენიან ადამიანებთან ურთიერთობაში დახმარების გაწევა გადამბირებლისთვის ასევე შეიძლება ეფექტიანი გამოდგეს, მით უფრო, „ველური კაპიტალიზმის“ პირობებში, რომელიც დამახასიათებელი იყო (და ჯერ კიდევ არის) პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის.

ესეც — მეორე წინაპირობა.

არის — მესამეც, რომელიც რწმენის საკითხებთან არის დაკავშირებული.

ბევრი სხვა პირობაც არსებობს — ვერცხლისმოყვარეობა, საყოფაცხოვრებო პრობლემები და ა. შ. ბოლოს და ბოლოს — ადამიანის ხასიათი, გარკვეული მიზნისკენ უკანმოუხედავი სიარული — „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

**— ასეთი რამ შეამჩნიეთ პოროშენკოს? სად, როდის?**

— ადამიანის ხასიათი უმნიშვნელო დეტალებშიც ვლინდება.

პრეზიდენტად კურთხევის ზეიმზე პეტრე პოროშენკო სმენაზე გაჭიმული საპატიო ყარაულის რიგთა შორის დაფენილ წითელ ხალიჩაზე მიდის. ბოლო ჯარისკაცს რომ მიუახლოვდება, ეს უკანასკნელი გონებას კარგავს (შემდეგ დაადგენენ, რომ მზის დარტყმა მიიღო), ხელიდან უვარდება კარაბინი, მუხლებში ძალა ეცლება, ყანყალებს, ცოტაც და დაეცემა.

ამის მოწმე და დამნახავი პრეზიდენტი ისე ჩაუვლის გონებადაკარგულ ჯარისკაცს, რომ წარბიც არ შეერხევა: განაგრძობს მტკიცე ნაბიჯებით სვლას ძალაუფლების კვერთხის ხელში ასაღებად.

ხელისუფლების მწვერვალს მიზიდულობის დიდი ძალა აქვს, მაგრამ არა ადამიანის ნებაზე უძლიერესი.

**— თუ არ დაგამონებს.**

— პოროშენკოს ეს ნება არ აღმოაჩნდა ან ვერ გამოავლინა „მეფის ტახტისკენ“ მიმავალმა.

— **შეეძლო კი?**

— გონებადაკარგული ბიჭისთვის ხელი რომ შეეშველებინა, მსოფლიო ამას ადამიანური თანაგრძნობის სანიმუშო მაგალითად ჩაუთვლიდა.

რა იყო აქ არაჩვეულებრივი?

**იუშჩენკომ ინაუგურაციის დროს მტრედი რომ ვერ ააფრინა (იქვე დაჯდა ეს ღვთის ფრინველი), იკადრა, დაიხარა, ხელში აიყვანა და ცისკენ გაუშვა თეთრი მტრედი.**

**იანუკოვიჩს, თავის ინაუგურაციაზე დარბაზში რომ შედიოდა, ზედ ცხვირწინ საზეიმო შესასვლელის კარი მიეხურა. ხელი შეაშველა და კარის ფრთა შეაჩერა. ადამიანური რეაქცია იყო, ნორმალური ფსიქიკის მქონე ადამიანის.**

**პოროშენკოს კი გვერდზეც არ გაუხედავს.**

აი, ხასიათის — მიზანსწრაფული ეგოიზმის — ეს თვისებაც გადაბირებისთვის „ნოყიერი ნიადაგი“ შეიძლება იყოს.

**— პირდაპირ მითხარით, ბატონო ანზორ, პრეზიდენტი პოროშენკო შეიძლება ყოფილიყო აშშ-ის რომელიმე სპეცსამსახურის აგენტი?**

— *(ეღიმება)* მეგონა, დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ.

— **აგენტი ძალიან ბანალურია.**

— შეიძლება ასეცაა. უმჯობესია, ვთქვათ — გავლენის აგენტი, ეს უფრო ტაქტიანი იქნება უცხო ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ, ან — ინფორმატორი, ინფორმაციის მიმწოდებელი, დაახლოებული პირი.

— **მაგრამ ყველა შემთხვევაში — გადაბირებული?**

— დიახ! გასაკვირი არაფერია. ვისაც გნებავთ, ჰკითხეთ — ჟურნალისტს, ანალიტიკოსს, ჩემი პროფესიის კაცს, რომელსაც ესმის პოლიტიკის რაობა და არსი, ყველა გიპასუხებთ, რომ **ის, რაც უკრაინაში მოხდა და ხდება, არის „აქტიური ღონისძიება“, რომელიც განახორციელეს ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა.** აქედან გამომდინარე, ნუ გაგიკვირდებათ ისეთი დოკუმენტების გასაჯაროება, რომლებიც დაადასტურებს, რომ პოროშენკოს ჰქონდა ურთიერთობა აშშ-ის ელჩთან უკრაინაში, აწვდიდა მას ისეთ ინფორმაციას, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევდა, იყო ინფორმატორი. დიახ, გადაბირებული.

აშშ სპეცსამსახურებმა ძალიან კარგად და გააზრებულად გამოიყენეს უკრაინაში შექმნილი ვითარება, კორუფციის არნახული მოძალება, ის უარყოფითი მოვლენები, რომლებიც განუკურნებელი სენის მეტასტაზებად მოედო ქვეყნის პოლიტიკას, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს; ააგორეს მაიდანი დედაქალაქის ცენტრში თავიანთი ხალხის ხელისუფლებაში მოსაყვანად, უწინარეს ყოვლისა, პოროშენკოსნაირი პერსონების.

ეს დღესავით ნათელია. დარწმუნებული ვარ.

**— რატომ ხართ დარწმუნებული?**

— იმ 44-მა წელიწადმა, რომლებიც სპეცსამსახურებში გავატარე, ტყუილად ხომ არ ჩაიარა?! მეც მიმიღია ასეთ საქმეებში მონაწილეობა. ეს არის სპეცსამსახურების ჩვეულებრივი, რუტინული სამუშაო პროცესი, რომელსაც ეწოდება „აქტიური ღონისძიება“ და განახორციელებს როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები, ასევე სხვა დიდი ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურები.

სხვანაირად პოლიტიკა არ კეთდება. დავაზუსტებ: ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურმა საფუძველი შეუქმნა უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალებას, მოამზადა იგი.

— **ოლიგარქების წინააღმდეგ დარაზმა ხალხი?!**

— ხალხის განწყობილება გამოიყენა, ააგორა ეს ლოზუნგი, რომელსაც ამომრჩევლების ხმების მოსაპოვებლად იყენებენ ხოლო წინასაარჩევნო დაპირებები, ყველას მოეხსენება, არასოდეს სრულდება.

— **და ოლიგარქების წინააღმდეგ აგორებულ ტალღაზე ისევ ოლიგარქი დასვეს ქვეყნის სათავეში?! ეს რა პოლიტიკაა?**

— როგორც ერთ ანეკდოტშია, — იქაური პოლიტიკაა, რაც ფრიად სამწუხაროა.

— **ოლიგარქი შეებრძოლება ოლიგარქიას, კორუფციას?**

— ხომ გახსოვთ ოჰენრის ნოველა „ბოლივერი ორს ვერ ზიდავს“? აქაც მსგავსი სიტუაციაა. პოროშენკოს ძალიან გაუჭირდება. შეიძლება მოინდომოს კიდეც, მაგრამ, ვფიქრობ, თავის ცხენზე თვითონ შეჯდება, სხვას „ბოლივერი ვერ ზიდავს“.

— **ინფორმატორობა ხელს შეუშლის?**

— კიდევ ერთხელ განვმარტავ: იგი შტატების საელჩოს ინფორმატორი იყო იმისთვის, რომ თვითონ მოსულიყო ხელისუფლებაში.

**გახდა კიდეც პრეზიდენტი. აშშ-ის მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა, მას პრეზიდენტობის კანდიდატადაც არ წამოაყენებდნენ. ეს კი ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის იქნება აშშ-ის პოლიტიკის გამტარებელი, ისეთივე (თუ უფრო მეტად არა) ერთგული ამერიკელი პატრონების, როგორიც იყო პრეზიდენტი იუშჩენკო, როგორიც იყო მიხეილ სააკაშვილი.** აუცილებლად შეეცდება, აშშ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკა განახორციელოს უკრაინაში. ამას თუ არ გააკეთებს, უმოკლეს ხანში გადმოაგდებენ თანამდებობიდან.

— **შეძლებს პოროშენკო უკრაინაში მშვიდობის დამყარებას? შეწყვეტს სადამსჯელო ოპერაციას სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში?**

— რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, ჩემო ბატონო, ვინ ჰკითხავს მაგას დაწყებას ან შეწყვეტას? რასაც ეტყვიან, იმას გააკეთებს. ამერიკელებმა მოიყვანეს ხელისუფლებაში, არ დაუჯერებს, აღარ იქნება პრეზიდენტი.

— **რად უნდა ასეთი პრეზიდენტი უკრაინელ ხალხს?**

— ხომ აირჩიეს?

— **აირჩიეს.**

— ჰოდა, ფიქრობს ხალხი: მილიარდერი კაცია, თავის გამდიდრებაზე არ იზრუნებს, ჩვენ მოგვხედავს, მოსპობს კორუფციას და ა. შ. შეიძლება, ასეც მოიქცეს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რადგან ამის სამწუხარო გამოცდილება გვაქვს, რომ ეს იმედები ფუჭია; ვიცით, რას ნიშნავს ელიტური კორუფცია, რომელმაც გააღატაკა ხალხი საქართველოში და სასოწარკვეთამდე მიიყვანა. უკრაინის საგარეო პოლიტიკას პოროშენკო, რა თქმა უნდა, ამერიკელების კარნახით წარმართავს.

— **შეძლებს კი რუსეთთან ურთიერთობის იმ კრიზისის გადალახვას, რომელიც დღეს არსებობს?**

— მე ამის მსურველი ვარ, მაგრამ ძალიან მეეჭვება.

— **რახან არჩევნებზე ჩამოვარდა სიტყვა, შეგეკითხებით: როგორ აფასებთ საქართველოში მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შედეგებს?**

— მოკლედ გიპასუხებთ. კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ექვსი თვის მოსული იყო, როცა თქვენ მკითხეთ, როგორს ვხედავდი ახალი ხელისუფლების პერსპექტივას? **იმხანად გიპასუხეთ: თუ ესენი ასე გააგრძელებენ, ერთი წლის-წლინახევრის შემდეგ დაიწყება საერთო სახალხო იმედგაცრუება, რომელიც ყველა ჩვენგანისთვის ძალიან ცუდი, ქვეყნისთვის კი ტრაგიკული იქნება.**

პირადად მე ასეთ შედეგს ველოდი. **სიტუაციაში, რომელიც ჩამოყალიბდა, მეორე ტური გარდაუვალი უნდა ყოფილიყო.** ასეც მოხდა.

— **ასეც მოხდა, მაგრამ რატომ?**

— იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ახალმა ხელისუფლებამ, რომელსაც ქვეყნის მართვის გამოცდილება არ ჰქონდა, ზედმეტი თავდაჯერება გამოიჩინა და ხალხისგან იზოლაციის პოლიტიკა განახორციელა. ჩამოსცილდა ხალხს, აღარ დაუგდო ყური, ჩაიკეტა საკუთარ თავდაჯერებულობაში. ვფიქრობ, რომ სწორედ ამან გამოიწვია ხალხის ერთგვარი იმედგაცრუება.

აქვე ვიტყვი: თუ გაითვალისწინებს ამ შეცდომას, გამოსწორების შანსი ექნება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**„დათა ახალაიამ თქვას, ვინ დაუკვეთა ჩემი შვილის მკვლელობა. თბილისის სპეცრაზმმა თქვას, ვინ დაუკვეთა ჩემი შვილის აყვანა. სატყეო დეპარტამენტის უფროსებმა თქვან, ვინ დაავალათ თათბირის ჩატარება!“**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ დაუკვეთა დათა ახალაიას დავით ცინდელიანის მკვლელობა და რატომ არ აკავებენ რომან შამათავას თანამზრახველებს?



დავით ცინდელიანი

**შსს-მ „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულ ადამიანთა საქმეების ძიება დაიწყო და რამდენიმე დღის წინათ ორი საქმე გახსნა: 2008 წლის აგვისტოში გაუჩინარებული თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ოფიცრის — პაატა ქარდავასა და 2008 წლის 16 აგვისტოს გაუჩინარებული მეტყევე-რეინჯერის — დავით ცინდელიანის. ორივე საქმეში აფხაზეთის კუდის ყოფილი უფროსის — რომან შამათავას ბრალი იკვეთება. შსს-ს ინფორმაციით, პაატა ქარდავა კუდის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა და ხურჩის ტერაქტში ბრალდებულმა რომან შამათავამ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა და ცხედარი ზღვაში გადააგდო. 2008 წლის 16 აგვისტოს კი რომან შამათავამ მოკლა დავით ცინდელიანი და ცხედარი შავ ზღვაში გადააგდო. რომან შამათავა ცინდელიანსაც, ქარდავას მსგავსად, აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა. „საქართველო და მსოფლიოს“ წინა, 21-ე ნომერში დაიბეჭდა პაატა ქარდავას შვილთან — ქრისტინე ქარდავასთან ინტერვიუ სათაურით „ვინ დაუკვეთა რომან შამათავას თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ოფიცრის — პაატა ქარდავას მკვლელობა?“. წერილში ქრისტინე ქარდავა რომან შამათავასთან ერთად თენგიზ გუნავას, ნარსიასა და გოროზიას დასჯას მოითხოვს, რადგან თვლის, რომ ამ ადამიანებმა მკვლელს ხელი დააფარეს. რამდენიმე დღის წინათ კი თბილისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატმა, არჩევნებში დამარცხებულმა გიორგი გაბედავამ პაატა ქარდავას საქმეში მონაწილე სხვა პირების დასჯაც მოითხოვა. მისი მტკიცებით, პირები, რომლებმაც აღიარეს, რომ ქარდავა იარაღის მუქარით მიიყვანეს შამათავასთან მოსაკლავად, დღესაც თანამდებობებზე არიან. „საქართველო და მსოფლიოს“ გიორგი გაბედავა ესაუბრება:**



თამარ არღვლიანი

**«მოვითხოვ, ყველა დამკვეთისა და შემსრულებლის კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას ცუდი ამბავი მოჰყვება. მთელი სვანეთი ფეხზე დგას!»**

— ადამიანები, რომლებმაც რომან შამათავას ხელი დაადეს, ამბობენ: ჩვენ დაგვირეკა შამათავამ, მოგვთხოვა პაატა ქარდავას მიყვანა. მივიყვანეთ, რის შემდეგაც შამათავამ ქარდავას თავზე ჩამოაფარა შავი ნაჭერი, წაიყვანა, მოკლა და ზღვაში გადააგდოო. ამ საქმის თანამონაწილეები პირდაპირ აღიარებენ ამას. სწორედ მათი ჩვენებების საფუძველზე დააკავეს შამათავა და წარმოიდგინეთ, ეს ადამიანები დღესაც მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ.

**— ვინ არიან ეს ადამიანები, სად მუშაობენ და რა თანამდებობები ეკავათ 2008 წელს?**

— **გია ფაჩულია,** რომელიც ამჟამად სამეგრელო-ზემო სვანეთის განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილეა, **2008 წელსაც იქ მუშაობდა.** ვიმეორებ: ეს ადამიანი შამათავას თანამზრახველია! მისი ჩვენების საფუძველზე დააკავეს შამათავა. ასევე შსს-ს ყოფილი თანამშრომელი და ამჟამად თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი **ბახვა ჩიქობავა** ადრე იმ დეპარტამენტის უფროსი იყო, რომლის მოადგილეც ახლა ფაჩულიაა, და **აფხაზეთის კუდის ყოფილი უფროსი გია ბარამია.** აი, ეს სამი ადამიანი. ორი კი, ვინც ამ საქმეში ფიგურირებდა, გარდაცვლილია. **ამ ადამიანებმა მისცეს ჩვენება, ითანამშრომლეს გამოძიებასთან და იმის მაგივრად, რომ დაეკავებინათ, დღემდე თანამდებობებზე არიან.** წარმოიდგინეთ, **ადამიანები, რომლებსაც ავალებდნენ ადამიანის მოსაკლავად მიყვანას, კვლავ ძალოვან უწყებებში მუშაობენ.** ის ფაქტი, რომ ეს ადამიანები ხელშეუხებლები არიან და დღესაც მუშაობენ სახელმწიფო სტრუქტურებში, სამართლიანობის აღდგენას ხელს არ შეუწყობს, პირიქით — დაუსჯელობის სინდრომს გაზრდის საქართველოში. სხვა რა მოგახსენოთ ამ საქმესთან დაკავშირებით, არ ვიცი. მე უდანაშაულობის პრეზუმციას ვერ დავარღვევ, რადგან თვითონ შამათავა არ აღიარებს ამ დანაშაულს. და ვინც ეს აღიარა, დაკავებული უნდა იყოს. რა თქმა უნდა, 15 წელი არ უნდა მისცეს, რადგან ითანამშრომლა, გამოძიებას დაეხმარა სიმართლის დადგენაში, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც გითხარით, მათ წინააღმდეგ არანაირი სანქცია არ არის გატარებული. ვფიქრობ, ამ ადამიანებს საერთოდ უნდა აეკრძალოთ სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა. არჩევნების შემდეგ, ალბათ, გამოუშვებენ შამათავას და მისი თანამზრახველებიც იმავე თანამდებობებზე დარჩებიან.

**— როგორ გამოუშვებენ, კაცს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი?! გავრცელებული ინფორმაციით, ცინდელიანის მკვლელობაც მის კისერზეა... ამ საქმეზე თუ იცით რამე?..**

— სამწუხაროდ, გარდაცვლილის ცხედარიც კი არ არის ნაპოვნი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ ამ სამი კაცის ჩვენების საფუძველზე, ვფიქრობ, ვერ მიუსჯიან შამათავას — ნივთმტკიცება არ აქვთ, მხოლოდ სამი ადამიანის ჩვენებაა, რომელიც საკმარისი მტკიცებულება არ არის. ვფიქრობ, შამათავას მოეხსნება ბრალდება ამ საქმეში და გაათავისუფლებენ. აი, ნახავთ, ასე იქნება! ცინდელიანის საქმეზე კი ვერაფერს ვიტყვი, რადგან არაფერი ვიცი. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ ეს ფაქტი წინასაარჩევნოდ გამოიყენა, ყოველ შემთხვევაში, სიმართლის დასადგენად არ კეთდება ეს.

**თამარ არღვლიანი, დავით ცინდელიანის დედა:**

— სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა — ლაშა ჭკადუამ და ბადრი მამინაშვილმა დაურეკეს ადგილობრივ სატყეოს და დაავალეს ყველა რეინჯერის ქუთაისში ჩაყვანა, მიზეზად თათბირი დაასახელეს. დღეს კი გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს თათბირი ჩემი შვილის იქ ჩაყვანის გულისთვის იყო მოწყობილი, ე. ი. ეს ფორმალური თათბირი იყო. ლაშა ჭკადუასა და ბადრი მამინაშვილთან პირველად რომ ჩავედი და ვკითხე, ვინ დაგავალათ ამ თათბირის მოწვევამეთქი, ბადრი მამინაშვილმა განმიცხადა, ჩემი სურვილით მოვიწვიეო. მუხლმოდრეკილი ვევედრებოდი ამ კაცს, რომ სიმართლე ეთქვა. ის კი უტიფრად მიმტკიცებდა, თათბირი ჩემი მოწვეული იყოო. ვერაფრით ვათქმევინე სიმართლე. **დღეს კი, ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, მოუწია სიმართლის თქმა. ჩვენება მისცა გამოძიებას და აღიარა, რომ თათბირი დაკვეთილი იყო. ვის მიერ იყო დაკვეთილი? დათა ახალაიას მიერ.** ეს გამოძიებამ გვითხრა. ახლა გეტყვით, როგორ განვითარდა მოვლენები იმ საბედისწერო დღეს: ჩემს შვილს ქუთაისში შესვლამდე დახვდნენ და წაიყვანეს სამმართველოში, — იქ გავარკვევთ ყველაფერსო, მაგრამ გაუგებარია, რა იყო გასარკვევი. შემდეგ თბილისის სპეცრაზმს უნდა წაეყვანა თბილისში, მოდულის შენობაში, სადაც უნდა გაერკვიათ საქმის ვითარება. შემოვლითი გზებით მიჰყავდათ თურმე და, აბასთუმანში რომ ჩავიდნენ, ისევ დათა ახალაის დაურეკავს სპეცრაზმელებისთვის, — თბილისში აღარ ჩამოიყვანოთ, აფხაზეთის კუდის უფროსს — რომან შამათავას ჩააბარეთო. და ასეც მოიქცნენ. როგორც გამოძიებამ გაარკვია, ჩემი შვილი თბილისის სპეცრაზმს კუდის თანამშრომლებმა — დათო ქორქიამ, ვალერი აბსანძემ, სერგო უბილავამ და გია ბარამიამ — გადააბარეს. ჩემს შვილს ცოტა წინააღმდეგობა გაუწევია, — რატომ მიგყავართ, რაში მდებთ ბრალსო. მაინც გადაუბარებიათ სპეცრაზმისთვის, რომელმაც ახალაიას ზარის შემდეგ ბათუმისკენ წაიყვანა ჩემი შვილი. ბათუმში ჩასვლამდე რომან შამათავას გადმოუყვანია დათო მანქანიდან, უთქვამს, — სალაპარაკო გვაქვსო და შამათავა ორი საათის შემდეგ მარტო დაბრუნებულა. აი, მის ხელში გაქრა ჩემი დათოს კვალი, ჩემი უბედური, უდანაშაულო შვილი, უმიზეზოდ დასჯილი! მადლობა ღმერთს, რომ ხელისუფლება შეიცვალა, **„ნაციონალების“ პერიოდში ამ საქმეში ექვსი გამომძიებელი გამოიცვალა და ექვსივე გვეუბნებოდა, ნუ ღელავთ, თქვენი შვილი ადრე თუ გვიან შინ მშვიდობით დაბრუნდებაო, მაგრამ... ორჯერ შევხვდი საააკაშვილს, ორჯერ განცხადებით მივმართე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ვის არ მივმართეთ, მაგრამ პასუხს არავინ გვაძლევდა.**

**— რა იყო მკვლელობის მოტივი, რატომ გაწირეს თქვენი შვილი, რას ამბობს გამოძიება?**

— არ ვიცი, ამაზე არაფერს მეუბნებიან... **ჩემს შვილს გული შესტკიოდა იმაზე, რასაც „ნაციონალები“ სჩადიოდნენ და დაუფარავად ლაპარაკობდა. მაგალითად, კოდორი რომ აიღეს, მაღალჩინოსნებმა რომ დატოვეს იქაურობა, დათოს საყვედური უთქვამს. წუხდა, თოფის გაუსროლელად რომ დატოვეს კოდორი, მოხუცები, ქალები, ბავშვები უპატრონოდ რომ მიატოვეს და იქიდან გამოსვლის შემდეგაც რომ არ ზრუნავდნენ მათზე.** შესაძლოა, ეს იყო ჩემი შვილის მკვლელობის მიზეზი. ამ საქმეზე უკამათია მაღალჩინოსნებთან, კონკრეტულად ვისთან, არ ვიცი. სხვა რა გითხრათ, მე კარგის მეტი არაფერი მსმენია ჩემს შვილზე. **მთელი სვანეთი დამემოწმება, რომ ჩემი შვილი პატრიოტი იყო.** ვიმეორებ, ალბათ, იმიტომ მოიშორეს, რომ „ნაციონალების“ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა და არ იწონებდა. ხომ გახსოვთ, მაშინ ასეთი პრინციპით მოქმედებდნენ: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია!“. სძულდათ ასეთი ადამიანები და იშორებდნენ თავიდან. დღემდე ვერ გამირკვევია, რა ბრალი დასდეს. **ვითხოვ, კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებიც ამ საქმეში მონაწილეობდნენ. უკლებლივ ყველა — დამკვეთებით დაწყებული, რიგითებით დამთავრებული. დათა ახალაიამ თქვას, ვინ დაუკვეთა ჩემი შვილის მკვლელობა; თბილისის სპეცრაზმმა თქვას, ვინ დაუკვეთა ჩემი შვილის აყვანა; სატყეო დეპარტამენტის უფროსებმა თქვან, ვინ დაავალათ თათბირის ჩატარება. პრინციპში, თქვეს უკვე, მაგრამ მაინც დეტალურად გაიხსენონ ყველაფერი.** ვიმეორებ: მოვითხოვ, **ყველა დამკვეთისა და შემსრულებლის უმკაცრესად დასჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას ცუდი ამბავი მოჰყვება. მთელი სვანეთი ფეხზე დგას!** თქვენ არ იცით, რა შვილი დავკარგე. **გამორიცხულია, რომ შამათავას ეს სასტიკი დანაშაული მხოლოდ საკუთარი ნებით ჩაედინოს. თუმცა დათა ახალაიას როგორ დაკითხავენ, საქართველოში ვერ ჩამოუყვანიათ.**

შამათავამ უნდა აღიაროს, ვინ დაუკვეთა ჩემი შვილის მკვლელობა, რატომ და რისი გულისთვის. და ამის შემდეგ თუ არ დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით, პირდაპირ გეუბნებით, რომ ენით აუწერელი ამბავი მოჰყვება ამას!

მოამზადა
**ქეთი ხომერიკმა**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრანგეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკის — პატრიკ ბარიოს აზრით, MPRI-მ, პენტაგონის დაკვეთით, მოამზადა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის „ბოევიკები“, აგრეთვე, ქართული სპეცდანიშნულების რაზმ „ვაშლიჯვრის“ წევრებიც — 80 კაცი.**

# 6 კერძო სამხედრო კომპანია, რომლებსაც აშშ-ის ხელისუფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად იყენებს

**დღეს მსოფლიოს ბევრი მედიასაშუალება წერს, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე სპეცოპერაციაში, რომელსაც ბევრი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა, უცხოეთში დაქირავებული სამხედრო პირები მონაწილეობენ. ასეა — დღეს ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებს იცავენ არა ნაციონალური არმიები, არამედ დაქირავებული კერძო სამხედრო ქვედანაყოფები, რომლებიც მზად არიან, იმსახურონ იქ, სადაც უბრძანებენ...
წარმოგიდგენთ მსოფლიოში 6 ყველაზე ცნობილ კერძო სამხედრო კომპანიას.**




## 1. ACADEMI (ყოფილი BLACKWATER)

**2010 წლის იანვრამდე ეწოდებოდა Xe Service LLC, 2009 წლის თებერვლამდე BLACKWATER. ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი კერძო სამხედრო კომპანიაა. დააარსა აშშ-ის ყოფილმა სამხედრო-საზღვაო ქვეითმა ერიკ პრინსმა 1996 წელს. უცხოური მედიასაშუალებები ვარაუდობენ, რომ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები უკრაინაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობენ.**

ACADEMI აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მთავარი პარტნიორია იარაღის მიწოდებასა და კადრების სწავლების საკითხებში. მის რიგებში 3 ათასზე მეტი დაქირავებული პროფესიონალია, რეზერვში კი 25 ათასი ჯარისკაცი ჰყავს. ეს კომპანია ჯავშნიან მანქანებს აწარმოებს, ჰყავს საკუთარი ავიაცია. მონაწილეობდა ავღანეთისა და ერაყის სამხედრო კონფლიქტებში. ამ კომპანიის სახელთან დაკავშირებულია სკანდალები: 2007 წლის BLACKWATER-ის წარმომადგენლებმა ერაყში 14 მშვიდობიანი მოქალაქე დახოცეს, 18 — დაჭრეს, რომლებიც თითქოს ამერიკელი დიპლომატების კორტეჟს ემუქრებოდნენ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ BLACKWATER-ის წარმომადგენლები 2005 წლიდან დღემდე 200-ზე მეტ სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ და დაუფიქრებლად ხსნიდნენ ცეცხლს, მიუხედავად იმისა, რომ მათ იარაღის გამოყენების უფლება მხოლოდ თავდაცვის მიზნით აქვთ.




## 2. MPRI

თუ არის მოთხოვნა, არის შეთავაზებაც. საბაზრო ეკონომიკის კანონები მაშინაც მოქმედებენ, როდესაც საქმე საერთაშორისო მილიტარიზმს ეხება. ფულის (უზარმაზარი თანხების) ხელიდან ხელში გადაცემა გაცილებით მოსახერხებელია, ვიდრე მისი გატარება სახელმწიფო აპარატის საცერში. ალბათ, ამ ლოგიკით ხელმძღვანელობდნენ აშშ-ის არმიის ოფიცრები, როდესაც კერძო სამხედრო კომპანიას MPRI-ს (Military Professional Resources Inc.) აარსებდნენ (1987 წ.).

MPRI-ში დღეს გაერთიანებულია ამერიკის არმიის 340 ყოფილი გენერალი. MPRI-ის წარმომადგენლები პენტაგონის დაკვეთით მონაწილეობდნენ ხორვატიის არმიისა და ბოსნია ჰერცოგოვინას არმიის მეხუთე კორპუსის მომზადებაში ოპერაცია „ქარიშხლის“ წინ. ამ ოპერაციის შედეგად განადგურდა რესპუბლიკა სბრსკა კრაინა და რესპუბლიკა დასავლეთი ბოსნია, 200 ათასი სერბი კი ლტოლვილად იქცა.

**საფრანგეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკის — პატრიკ ბარიოს აზრით, MPRI-მ, პენტაგონის დაკვეთით, მოამზადა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის „ბოევიკები“, აგრეთვე, ქართული სპეცდანიშნულების რაზმის — „ვაშლიჯვრის“ წევრებიც — 80 კაცი.**

ამ კომპანიის წარმომადგენლები მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ომებში (ერაყში, ავღანეთში და სხვ.) მონაწილეობდნენ. საგულისხმოა, რომ ვიდრე აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსთან ითანამშრომლებდა, სხვა სახელმწიფოების დაკვეთებს ასრულებდა. **დღეს MPRI-ის მოგება დაახლოებით 150 მლრდ დოლარს შეადგენს. ამ კერძო სამხედრო კომპანიაში 3000 კაცი მსახურობს.**



## 3. FDG Corp. (Fort Defence Group Corporation)

**ეს კერძო ამერიკული სამხედრო კომპანია 1996 წელს დააარსა საზღვაო ქვეითმა, პოლკოვნიკმა ანდრე როდრიგესმა. რამდენიმე წლის შემდეგ მას შეუერთდა რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი დიმიტრი სმირნოვი.** კომპანია მოღვაწეობს მსოფლიოს „ცხელ წერტილებში“: ადენის ყურეში, სომალიში, გვინეა-ბისაუში, ერაყსა და ავღანეთში. კომპანია დამქირავებელს სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს: გემების დაცვას, სამხედრო კონსულტაციებს, სპეცდანაყოფების მომზადებას და სხვ. FDG Corp-ში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვედანაყოფი, რომელიც მცურავი-მცველებისგან შედგება, მათ ხმელეთზეც შეუძლიათ ბრძოლა და წყალქვეშაც.



## 4. AEGIS DEFENSE SERVICE

**ეს არის ბრიტანული კერძო სამხედრო კომპანია, რომელიც შეიარაღებული პერსონალის მომსახურებას სთავაზობს კლიენტებს, მაგალითად, გაეროსა და აშშ-ის ხელისუფლების მისიებს. 2002 წელს დააარსა ბრიტანელმა ოფიცერმა, ფოლკლენდის ომის ვეტერანმა ტიმ სპაისერმა.** კომპანია მოღვაწეობს ერაყში, ავღანეთში, ბაჰრეინში, კენიასა და ნეპალში, სადაც ისინი აფასებენ რისკებს, იცავენ მისიებსა და სანავთობე ინტერესებს. კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა, ექსპერტთა შეფასებით, 5 ათასია.

2005 წელს AEGIS DEFENSE SERVICE-მ მედიის ყურადღება მიიპყრო: ბრიტანული არხის — Channel4-ის — ეთერში აჩვენეს ვიდეოჩანაწერი, რომელზეც კომპანიის თანამშრომლები ერაყის მშვიდობიან მოსახლეობას ესროდნენ, უფრო ზუსტად მათ მანქანებს, რომლებმაც გადაუსწრეს. კომპანიამ ბრალდება უარყო, თუმცა წყლიდან მშრალი ვერ ამოვიდა — პენტაგონმა თანამშრომლობის გაგრძელებაზე უარი უთხრა.

## 5. ERINYS INTERNATIONAL

**კერძო სამხედრო კომპანია, რომელიც 2002 წელს დააარსა ბრიტანელმა ოფიცერმა ჯონათან გერეტმა, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული, აქვს მრავალი ფილიალი დიდ ბრიტანეთში, სამხრეთ აფრიკასა და რესპუბლიკა კონგოში.**

კომპანიის მომსახურების ნუსხაშია დაცვის ყველა სახეობა, განსაკუთრებით რთული ბუნებრივი პირობების მქონე ადგილებში, მაგალითად, ცენტრალურ აფრიკაში. მონაწილეობდა ერაყის კონფლიქტში, სადაც მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად 6,5 ათასი ჯარისკაცი გაგზავნა. ERINYS INTERNATIONAL-მა მედიის ყურადღება მიიპყრო 2004 წელს, როდესაც გახმაურდა პატიმრების მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტები. ბრიტანული გაზეთი The Observer-ი წერდა, რომ კომპანიის თანამშრომლებმა დაარღვიეს ადამიანის უფლებათა კონვენცია, როდესაც 16 წლის ერაყელი სასტიკად აწამეს.



## 6. NORTHBRIDGE SERVICES GROUP

**ეს არის ამერიკულ-ბრიტანული კერძო სამხედრო კომპანია, რომელსაც ბაზა აქვს დომინიკის რესპუბლიკაში, ფილიალები — დიდ ბრიტანეთსა და უკრაინაში.** მისი პრეზიდენტია აშშ-ის არმიის ოფიცერი, ვიეტნამის ომის ვეტერანი რობერტ კოვაჩი. NORTHBRIDGE მონაწილეობდა რამდენიმე საეჭვო ოპერაციაში. 2003 წელს ლიბერიაში გაჩაღებულ სამოქალაქო ომში ამბოხებულთა მხარეს იბრძოდა, შედეგად ოფიციალური ხელისუფლება დაემხო და ქვეყანაში გაეროს სამშვიდობო ძალები შევიდნენ. კომპანია შეეცადა ლიბერიის პრეზიდენტის — ჩარლზ ტეილორის მოტაცებას და მის გადაცემას საერთაშორისო ტრიბუნალისთვის, გარდა ამისა, NORTHBRIDGE SERVICES GROUP-ს თურქმენეთის პრეზიდენტის, აწ გარდაცვლილი საფარმურატ ნიაზოვის დასამხობად შეთქმულების მოწყობაშიც ადანაშაულებენ.

კომპანიის მოგებამ 2012 წელს 50,5 მლნ დოლარი შეადგინა.

Northbridge Services Group Ltd.



**მომზადებულია ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**



## ამერიკული ქათმის ხორცი დარიშხანს შეიცავს

**პროდუქტების რეგლამენტირების ფედერალურმა სააგენტომ (FDA) საკითხის მიჩქმალვის მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, აღიარა, რომ აშშ-ის სავაჭრო ქსელში შეტანილი ქათმის ხორცი დიდი დოზით შეიცავს ტოქსიკურ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც კიბოს იწვევს.**

FDA-ს განცხადებით, დარიშხანი, რომელსაც ქათმის საკვებს უმატებენ, ფრინველის ხორცში აკუმულირდება. ამრიგად, ამერიკელები ბოლო 60 წლის განმავლობაში ქათმის ხორცთან ერთად მიირთმევდნენ დარიშხანს, რომელიც ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს, — წერს ამერიკული ინტერნეტგამოცემა Wtfkly.com.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# BLACKWATER-ის ყოფილ თანამშრომლებს 30-წლიანი პატიმრობა ელით

**კერძო სამხედრო კომპანია Blackwater-ის (ახლა მას Academi ჰქვია) 4 ყოფილი თანამშრომელი მასობრივი მკვლელობის ბრალდებით სასამართლოს წინაშე წარდგება. 7 წლის წინათ მათ ბაღდადში ამერიკელი დიპლომატების კორტეჟის დაცვის ოპერაციის მიმდინარეობისას მომხდარ შეტაკებაში 14 ერაყელი მოკლეს.**



აშშ-ის ხელისუფლება კარგა ხნის განმავლობაში აფარებდა ხელს დაცვის კერძო კომპანია Blackwater-ის ყოფილ თანამშრომლებს და მათ იმუნიტეტს ანიჭებდა.

2011 წელს აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმის გამოძიება უნდა გაგრძელებულიყო და აი, ახლახან საქმის განსახილველად ნაფიც მსაჯულთა შერჩევა დაიწყო. მასმედიამ კი ამერიკელ საზოგადოებას შეახსენა ერაყის ომის რამდენიმე საშინელი ეპიზოდი, რომლებშიც Blackwater-ის თანამშრომლები მონაწილეობდნენ. 2007 წლის სექტემბერში დაქირავებულთა რაზმმა მიიღო დავალება, გზა გაეწმინდა დიპლომატთა კორტეჟისთვის, რომელიც ერაყის დედაქალაქ ბაღდადის დასავლეთ ნაწილში გადაადგილდებოდა. Blackwater-ის თანამშრომლები ამბობენ, რომ კორტეჟს თავს დაესხნენ და ამიტომ იძულებული შეიქნენ, საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ. მაგრამ ერაყის მთავრობამ და სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ ეს ინციდენტი მოსახლეობის მიერ პროვოცირებული არ ყოფილა. კერძო სამხედრო კომპანიის წევრებმა 14 ერაყელი დახოცეს, 18 — დაჭრეს. დაღუპულთა ოჯახების წევრები და უფლებადამცველები დამნაშავეების გასამართლებასა და დასჯას ითხოვენ. ამ ეპიზოდმა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის რეპუტაცია ძალიან შელახა და სამხედრო ოპერაციებში დაქირავებულთა ჩართვის საწინააღმდეგო პროტესტი გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ კერძო სამხედრო კომპანიები ვალდებულნი არ არიან, დაემორჩილონ იმავე კანონებსა და წესებს, რომლებსაც ამერიკელი ჯარისკაცები ემორჩილებიან.

იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდება დაუმტკიცდებათ, Blackwater-ის ყოფილ თანამშრომლებს 30-წლიანი პატიმრობა ელით.


Department of Defense
DIRECTIVE

NUMBER 3025.18
December 29, 2010
Incorporating Change 1, September 21, 2012

USD(P)

SUBJECT: Defense Support of Civil Authorities (DSCA)

References: See Enclosure 1

1. PURPOSE. This Directive:

a. Establishes policy and assigns responsibilities for DSCA, also referred to as civil support.

b. Incorporates and cancels DoD Directive (DoDD) 3025.1 and DoDD 3025.15 (References (a) and (b)).

c. Supplements the regulations (in DoDD 5525.5 (Reference (c))) required by section 375 of title 10, United States Code (U.S.C.), (Reference (d)) regarding military support for civilian law enforcement.

d. Provides guidance for the execution and oversight of DSCA when requested by civil authorities or by qualifying entities and approved by the appropriate DoD official, or as directed by the President, within the United States, including the District of Columbia, the Commonwealth of Puerto Rico, the U.S. Virgin Islands, Guam, American Samoa, the Commonwealth of the Northern Mariana Islands, and any territory or possession of the United States or any political subdivision thereof.

e. Authorizes immediate response authority for providing DSCA, when requested.

f. Authorizes emergency authority for the use of military force, under dire situations, as described in paragraph 4.i. above the signature of this Directive.

# ობამამ ამერიკელი მოქალაქეების წინააღმდეგ არმიის გამოყენების ნებართვა გასცა

**გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2010 წლის 29 დეკემბრის დირექტივა №3025.28 (Defense Support of Civil Authorities) აშშ-ის ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ამერიკელი მოქალაქეების მიმართ სამხედრო ძალის გამოყენების უფლებას აძლევს, თუკი პრეზიდენტის თანხმობა ექნება.**

„სამოქალაქო არეულობების ჩასახშობად ფედერალური სამხედრო ძალები არ უნდა იქნას გამოყენებული, თუკი ისინი აშშ-ის პრეზიდენტისგან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის სპეციალურ უფლებამოსილებას არ მიიღებენ. იმ პირობებში, როცა პრეზიდენტის მხრიდან ავტორიზაცია შეუძლებელია და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ სიტუაციის გაკონტროლება, ფედერალურ სამხედრო ხელმძღვანელობას აქვს უფლება, დროებით მონაწილეობდეს მოქმედებებში, რომლებიც აუცილებელია ფართომასშტაბიანი სამოქალაქო არეულობების ჩასახშობად.

ძალის გამოყენება საჭიროა მრავალრიცხოვანი მსხვერპლის ან ქონების განადგურების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე, სახელმწიფოს სახელისუფლო ორგანოების მუშაობისა და წესრიგის აღსადგენად. თუკი შტატსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლებებს არ ძალუძთ ფედერალური ქონების ფედერალური ხელისუფლების ფუნქციონირების დაცვა ან უარს ამბობენ დაცვაზე, ფედერალურ სამხედრო სარდლობას შეუძლია იმოქმედოს".

**ეს საიდუმლო დირექტივა მიღებულია ბარაკ ობამას პირველი საპრეზიდენტო ვადის პერიოდში, მისთვის მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის გადაცემიდან ერთი წლის თავზე. ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, ზემოაღნიშნული დირექტივა აშშ-ში სამხედრო მდგომარეობის შემოღების საფუძველს ქმნის, თუკი ასეთი მდგომარეობის შემოღება აუცილებელი იქნება.**

www.vestifinance.ru



## საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მოლაპარაკებების მიმდინარეობისას ჩაეძინა

**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორან ფაბიუსს მოლაპარაკებების მიმდინარეობისას ჩაეძინა. ალჟირის ტელეარხ „ენაჰარ-TV"-ის მიერ გავრცელებულ კადრებზე აღბეჭდილია მომენტი, როცა ალჟირელ მაღალჩინოსნებთან შეხვედრისას ფაბიუსი ჯერ ძილს ებრძვის, შემდეგ კი იძინებს... სკამზე. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ილვიძებს და შეხვედრის მონაწილეებს ულიმის.**

ფრანგული ჟურნალი L'Express-ი იხსენებს, რომ ასეთი შემთხვევა პირველი არ არის 67 წლის ლორან ფაბიუსისთვის. შარშან მას საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ დევიდ კემერონის ერთობლივ პრესკონფერენციაზე ჩაეძინა, 2012 წლის დეკემბერში კი პრეზიდენტ ოლანდთან გამართულ პოლიტიკურ თათბირზე ჩასთვლიმა. სწორედ ამიტომ მას თანაპარტიელებმა „მძინარე ფაბიუსი" შეარქვეს.

## ბრიტანეთში მდიდრები უფრო ნაკლებ გადასახადებს იხდიან, ვიდრე ღარიბები

**დიდი ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი მოქალაქეები თავიანთი შემოსავლებიდან იმაზე გაცილებით ნაკლებ პროცენტს უხდიან სახელმწიფო ხაზინას, ვიდრე ღარიბი ფენის წარმომადგენლები. ასეთ დასკვნას შეიცავს სამეცნიერო ცენტრ THE EGUALUTY TRUST-ისა და მარკეტინგული კვლევების კომპანია IPSOS MORI-ის სპეციალისტთა მიერ მომზადებული მოხსენება სახელწოდებით: „უპატიოსნო და გაუგებარი; როგორ გავიგოთ გადასახადების ბრიტანული სისტემა".**

სოციოლოგებმა გამოჰკითხეს 16-დან 75 წლამდე ასაკის 1200 ადამიანი. რესპონდენტების 68% დარწმუნებულია, რომ ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანები თავიანთი შემოსავლების უფრო მეტ პროცენტს უხდიან ხაზინას, ვიდრე ღარიბები.

არადა, ყველაფერი პირიქითაა, — ამტკიცებენ ექსპერტები, — ყველაზე მდიდარი ადამიანები, გადასახადების სახით მხოლოდ 38%-ს იხდიან თავიანთი მოგებიდან, ღარიბები კი — 43%. ასე იმიტომ ხდება, რომ ღარიბები იხდიან ე. წ. მოხმარების გადასახადებს, აგრეთვე, მუნიციპალურ გადასახადებს, რაზეც ისინი ოთხჯერ მეტ თანხას ხარჯავენ, ვიდრე მილიონერები.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინი უღალატო მეგობარი იყო, თვითონ არ უღალატებდა, მაგრამ ღალატს არც სხვას აპატიებდა. ის არასოდეს გაუშინაურდებოდა ვინმეს და არც ახლოს მოუშვებდა. ძალზე უყვარდა იუმორი და მეგობრებთან გახუმრება.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

**სტალინის ცხოვრების წვრილმანებს როცა ეცნობი და სწავლობ, რწმუნდები, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანი იყო. მასაც ისევე სციოდა და ცხელოდა, ისევე სწყინდა და უხაროდა, ისევე სწამდა და ეჭვი ეპარებოდა, როგორც ყველა მოკვდავს.**

უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, კურსკთან გერმანელების დამარცხებისთვის მოსკოვს ჯარისკაცებისთვის სალუტით უნდა ეპასუხა. ლეგენდარულ დიქტორ იური ლევიტანს ბრძანება ზუსტად რვა საათზე უნდა წაეკითხა და დამთავრებისთანავე ზალპიც უნდა ყოფილიყო მიცემული. სტალინის სამუშაო კაბინეტში ფრონტის რომელიღაც სტრატეგიულ გეგმას იხილავდნენ, როცა ოთახში პოსკრებიშევი შემოვიდა და სტალინს მოახსენა: — სამ წუთში ლევიტანი იწყებს მთავარსარდლის ბრძანების ეთერში წაკითხვას. სტალინი სწრაფად წამოდგა მაგიდიდან და სხვებსაც მოუწოდა, გასულიყვნენ პოსკრებიშევის მისაღებში (რადგან სტალინის კაბინეტში არავითარი რადიომიმღები თუ ელექტროტექნიკა არ იყო), რათა მოესმინათ ლევიტანისთვის.

**მოსკოვიდან მთელი ქვეყანა პირველად ისმენდა მტერზე გამარჯვების გრანდიოზულ მოვლენას და ლევიტანიც ზეციური ხმით, რომელიც ჟრუანტელს გვრიდა არა მარტო მსოფლიოს, არამედ თვით ამ ბრძანების შემოქმედსაც კი, რომელიც იმჟამად იქ მომცრო რეპროდუქტორთან იდგა და თავაწეული, მხრებგაშლილი მაღლიდან დაჰყურებდა თავის მარშლებს, რომლებიც არანაკლები „სიხარულით შევხაროდით და შევცქეროდით ერთ ციცქნა ყუთს, საიდანაც უდიდესი ძალა და იმედი იფრქვეოდა", — შენიშნავს მარშალი კონევი. ესე იგი იმ მომენტში სტალინს თავისი თავი მოსწონდა. ბუნებრივიცაა.**

საღამოს რიწის ტბაზე ბაღში სეირნობის შემდეგ სტალინი და აკაკი მგელაძე დასასვენებლად შენობისკენ გაემართნენ. ა. მგელაძე თავის ოთახში განმარტოვდა. სტალინმა კი თავის სამუშაო ოთახს მიაშურა. ცოტა ხანში აკაკი მგელაძეს კარზე ჩუმი დაკაკუნების ხმა შემოესმა, მანაც მიაძახა — შემოდითო. კარი ძალიან მოკრძალებულად შემოიღო და ოთახში სტალინი შემოვიდა. აკაკი ივანეს ძევ, დღეს ამ ოთახში ფანჯარა გამოვაღე შენობის გასანიავებლად, ახლა უნდა დავკეტო, არ გამიცივდე, აქ ღამე სულ სხვა კლიმატია. ფანჯარა მიკეტა, ძალიან ფრთხილად ისევ ჩემ საწოლის წინ გაიარა და კარი ისევ და ისევ ძალზე ფრთხილად მიხურა.

**რა არის ეს — შიში, ფარისევლობა, პატივისცემა თუ ყურადღება? — ვფიქრობ, ეს ყურადღებაა, რომელიც ყველა ადამიანში მეტ-ნაკლებად არის ჩადებული. თუ პირველ შემთხვევაში სტალინს თავი იმით მოსწონდა და ამაყობდა, რომ ჰიტლერი კურსკთან დაამარცხა და ქვეყანა იხსნა განსაცდელისგან, ამ შემთხვევაში თავი იმით მოსწონს, რომ მას შეუძლია თავის უმცროს მეგობარს მოემსახუროს და პატივი სცეს.**

**1946 წელს შავი ზღვისპირა აგარაკზე სტალინთან ჩასული ქართველი მსახიობების სტუმრობა ქართული სტუმართმოყვარეობის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.** ამ სტუმრობის მთლიან სურათს ვერ აღვიდგენთ ფორმატის გამო, მაგრამ გაგაცნობთ ერთ ფრაგმენტს:

აკაკი ვასაძეს სტალინის სამუშაო კაბინეტის გვერდით ოთახში აქვს მიჩენილი საწოლი. სტალინი სწორედ ამ ოთახის გავლით ან გამოვლით უნდა შევიდეს თავის ოთახში. დაიძინოს იმ ჭერქვეშ, სადაც სტალინი ფხიზლობს, ა. ვასაძისთვის წარმოუდგენელია. სტალინი თავაუღებლად მუშაობს. ა. ვასაძე კი თავზე საბანგადაფარებული (თითქოს ამით ნაკლებად დაურღვევს კომფორტს მასპინძელს) სტალინზე ფიქრობს და ძილი არ ეკარება. თითქოს ფეხის ხმა მოესმა, შეეშინდა, არ იცის რატომ, მაგრამ ეშინია. თანაც ეს უცნაური ჩუმი ფეხის ხმა თითქოს მას უახლოვდება. შიში კულმინაციას აღწევს. ფეხის ხმა მის საწოლთან შეწყდა. უკვე ადამიანის სუნთქვაც ესმის. ეტყობა, შიშმა ყველაფერი იცის. „გავითიშე. გონს მაშინ მოვედი, როდესაც ვიღაცის კეთილი ხელი კედლის მხრიდან გვერდებში საბანს მიტენიდა, უცბად სიზმარი მეგონა, ალბათ, დედაჩემი მითბუნებს გვერდებს საბნის ნაპირებით. საბნის გადახდა ვერ გავბედე, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ფეხის ნელი ხმა რომ დამშორდა, საბნის ქვეშიდან ფრთხილად გამოვიჭყიტე და დავინახე ოთახში თეთრ ნიფხავ-პერანგით თავის ოთახისკენ მიმავალი ღმერთად აღიარებული სტალინი.

ნიფხავ-პერანგიანი ღმერთი გინახავს, მკითხველო? მასპინძელი ხომ ნახევრადღმერთკაცი გახლდათ, თუმცა ნახევრად მე არ მომწონს არაფერი. მე არც ბოლოკი მიყვარს, შიგნიდან რომ თეთრია და გარედან წითელი". **ვინ დაავალა ქვეყნის მთავარსარდალს, მეურვეობა გაეწია მსახიობისთვის? ა. ვასაძე მისი მეგობარი არ იყო, ამას ქვეყნის საილუსტრაციოდ არ აკეთებდა. რა ამოძრავებდა მას, როდესაც კალამი თუ წიგნი გვერდით გადადო, მაგიდიდან ადგა და სტუმარს დახედა, საბანი შემოუკეცა და ისივ თავისი საქმე გააგრძელა. ვფიქრობ ეს სისხლის ყივილი იყო.**

თავის მეგობრებს კი, აი, როგორ ექცეოდა: სოხუმში სტალინის აგარაკზე მყოფი მ. ტიტვინიძე და ი. ცერაძე ხშირად ახალგაზრდობის წლებს ახსენებდნენ სტალინს. ისინი არც დიდი რევოლუციონერები და არც დიდი პარტიელები არ იყვნენ, მაგრამ იყვნენ სოსოს სიყრმის მეგობრები, ეს კი სასიამოვნო მოგონებებს აღუძრავდა სტალინს. სადილზე ხალისობდნენ, ძველ ამბებს ყვებოდნენ და მღეროდნენ ხოლმე. ერთხელ მოკრძალებულმა და თავმდაბალმა ი. ცერაძემ სიმღერა წამოიწყო, აჰყვნენ ტიტვინიძე და სტალინიც. სიმღერა კარგად შესრულდა, მაგრამ მასპინძელმა ვერ გაარჩია სიტყვები, რომელზედაც სიმღერა იყო აწყობილი, რისი გამეორებაც სთხოვა მეგობარს. ი. ცერაძემაც არ დააყოვნა და გარკვევით ჩაუმღერა მასპინძელს:

**„გეომ უთხრა აკოფასა,**
**შინ წასვლა სჯობს**
**აქ ყოფნასაო".**

„აა, მოგეწყინათ, არა? გასაგებია, — თქვა სტალინმა, — ოჯახი, შვილიშვილები მოგენატრათ". „არა, სოსო, შენთან რა მოგვაწყენს, მაგრამ ბევრ დროს გართმევთ, სინდიდიც კარგი საქონელია. მთელი კვირა სტუმრობა ვის გაუგონია", — გამოასწორა შექმნილი უხერხულობა მ. ტიტვინიძემ.



**პეტრე კაპანაძის ცოლის გარდაცვალების გამო შეწუხებული სტალინი წერილს უგზავნის თავის მეგობარს: *(იხ. ხელნაწერი).***

სტალინი ახალ ათონში ისვენებდა. კანდიტ ჩარკვიანმა და ზაქარია ჩხუბიანაშვილმა სტუმრად მისვლა გადაწყვიტეს სტალინთან და სოხუმში გაემგზავრნენ. სპეციალურ ვაგონს სოხუმში თბომავალი გამოაბეს და ახალ ათონში ჩაიყვანეს. იმ საღამოს საქმიანი საუბრის შემდეგ დაისვენეს და მეორე დილით სასეირნოდ აგარაკის მიმდებარე ბაღში გამოვიდნენ. სეირნობის დროს სტალინმა რკინიგზის სადგურისკენ მიაპყრო ყურადღება, რაღაცას აკვირდებოდა. მეც იქეთ გავიხედე, სადაც ჩვენი ვაგონი იდგა თბომავალთან ერთად, მაგრამ ეს რკინიგზელთა რეგულირების საქმედ ჩავთვალე. საღამოს, როდესაც ვახშმად დავჯექით ცოტა ხნის შემდეგ სტალინმა პოსკრებიშევს დაავალა: **„გადი, ნახე, ისევ იქ დგას თუ არა". პოსკრებიშევმა სწრაფად შეასრულა დავალება და მოახსენა, რომ ის კვლავ იქ იდგა.**

მეორე დილით ამიერკავკასიის გზის უფროსი გ. კიკნაძე სასწრაფო მიღებას ითხოვს ცკ-ის პირველ მდივან კ. ჩარკვიანთან, რომელიც უკვე ჩამოსული იყო აფხაზეთიდან. „ძალიან ცუდი ამბავი მოხდა, — მოახსენებს კიკნაძე ჩარკვიანს, — დღეს, გამთენიისას საკავშირო გზის უფროსმა ბეშევმა დამირეკა და საყვედურით ამავსო, რატომ არის რომ ახალი ათონის სადგურზე მთელი დღე ორთქლმავალი დგასო". ჩარკვიანს მეხის გავარდნასავით გაახსენდა სტალინის დაინტერესება სადგურზე ორთქლმავლის არსებობის შესახებ, რომელიც დიდი მცდელობის შემდეგ გამოუყო შავ ზღვისპირეთს პირადად სტალინმა და მის მოცდენას არავის აპატიებდა. „მერე რაო ბეშევმა? — იკითხა კ. ჩარკვიანმა. — სამ დღეში წევა ორთქმავალზე გადაიყვანეთო ბრძანება არ შეიცვლებაო, — მოახსენა გ. კიკნაძემ.

სტალინის განკარგულება შესრულდა. ასეთი იყო სტალინის ფორმულა: „დრუჟბა — დრუჟბა, ა სლუჟბა — სლუჟბა".

**სტალინი დიდ სახელმწიფოებრივ საქმიანობას კეთილშობილებით უთავსებდა მეგობრობას და ურთიერთპატივისცემას, მეგობრობას ცოტაოდენი ჩრდილიც კი არ უნდა მიეყენებინა საერთო საქმისთვის. აი, რას გვიყვება სტალინი თავის რევოლუციურ მეგობარზე, უკრაინელ სკრიპნიკზე, რომელიც 1919 წელს დამოუკიდებელი უკრაინის ელჩად დაუნიშნავს რუსეთის ფედერაციაში.**

„ნაციონალურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა უმთავრესად ეროვნებათა სახალხო კომისარიატის მეშვეობით ხორციელდებოდა, ამიტომ მიხდებოდა მათი წარმომადგენლების მიღება. ერთხელ მდივანმა მომახსენა, რომ უკრაინის მთავრობის წარმომადგენელი ნ. სკრიპნიკი აუდიენციას ითხოვდა. სიტყვა „აუდენცია" არ მომეწონა, მაგრამ რა გაეწყობოდა.

— დავურეკეთ ამხანაგ სკრიპნიკს, რომ ველოდები, — დავავალე მდივანს. არ გასულა დიდი დრო და კაბინეტში შემოვიდა სკრიპნიკი, თავი ამაყად ეჭირა, ნაბიჯს მძიმედ დგამდა. მისი ზედმეტი დარბაისლური ქცევის გამო სიცილს ძლივს ვიკავებდი. შევატყვე, რომ პირველი ფრაზის წარმოთქმა უძნელდებოდა და ისევ მე დავასწარი: — გამარჯობა მიკოლა, როგორა ხარ, როგორ ცხოვრობ? დიდი ხანია, არ შევხვედრივართ ერთმანეთს.

**— გამარჯობა, ამხანაგო სახალხო კომისარო! ჩემმა მთავრობამ დამავალა, გადმოგცეთ რომ... — დაიწყო სტუმარმა.**

— რად გინდა ეს ოფიციალური ფრაზები, მითხარი, უბრალოდ, რისთვის გარჯილხარ, — შევაწყვეტინე მე.

**— ჩემი მთავრობის დავალებით, პატივი მაქვს გადმოგცეთ, რომ... არ იშლის აუდენციაზე მოსული წარმომადგენელი.**

— მაშ, ასეა საქმე? — ვთქვი მის გასაგონად და განვაგრძე: გისმენთ, ამხანაგო ელჩო.

**— ჩემმა მთავრობამ დამავალა, გადმოგცეთ... და სკრიპნიკმა მაცნობა სიტყვიერად და წერილობითაც უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს რამდენიმე თხოვნა.**

ყურადღებით მოვუსმინე და შევპირდი, რომ თხოვნებს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭო განიხილავდა და ზოგ მათგანს, ალბათ, დააკმაყოფილებდა.

ამის შემდეგ სკრიპნიკი, როგორც დიპლომატიური ეტიკეტი მოითხოვს, ზრდილობიანად, მაგრამ ცივად დამემშვიდობა და კაბინეტიდან იმავ დარბაისლური მძიმე ნაბიჯებით გავიდა.

მარტო დავრჩი თუ არა, ტელეფონის ყურმილი ავიღე და კრემლის სამეურნეო ნაწილში დავრეკე: — ხვალიდან სასურსათო მომარაგებიდან მოხსენით უკრაინის სსრ წარმომადგენელი ამხ. სკრიპნიკი.

ეს 1919 წლის ზაფხულში მოხდა. გახურებული სამოქალაქო ომია, მოსკოვში თუ სასურსათო მომარა-



იალტის კონფერენცია. 1945 წელი. უინსტონ ჩერჩილი, ფრანკლინ რუზველტი და იოსებ სტალინი

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ღიად და მიკერძოებით დაიჭირა პროდასავლური ძალების მხარე უკრაინაში, კონფლიქტის ტემპერატურა კი თითქმის ცივი ომის დონემდე ასწია, რის გამოც დაპირებები ნამდვილი დემოკრატიის შესახებ, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება ძალადაკარგულად ჩაითვალოს.**

ვერსია

◀ გებაზე არ ხარ აყვანილი, დიდხანს ვერ გაძლებ.

გავიდა რვა თუ ათი დღე და უეცრად ჩემთან კაბინეტში შემოდის სკრიპნიკი. არავითარი ფორმალობა, მდივნის საშუალებითაც არ გავუფრთხილებივარ.

**— გამარჯობა კობა, ჩემო ძვირფასო, დამეხმარე, თორემ არ ვიცი, რა ვქნა.**

— რაშია საქმე, ამხანაგო ელჩო, რა მოხდა, რით შემიძლია გემსახუროთ თქვენ და თვენს მთავრობას?

**— რად გინდა ეს ოფიციალური ტონი, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ, ერთი პარტიის წევრები. ერთმანეთს ასე უნდა მივმართოთ?**

— რასაკვირველია, არა, მაგრამ ნუთუ თქვენც ასეთი აზრისა ხართ?

**— მაშ, სხვანაირად როგორ იქნება?!**

— იცი, რა მოხდა? სამეურნეო მუშაკებმა მომარაგებიდან მომხსნეს, მიშუამდგომლე, რომ აღმადგინონ.

**— ახლა კი მომწონხარ, მიკოლა, არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ, პირველ ყოვლისა, ბოლშევიკები ვართ, რა პოსტზეც უნდა ვიყოთ და ვისაც არ უნდა წარმოვადგენდეთ.**

ავიღე ყურმილი და გავეცი განკარგულება, სკრიპნიკი მომარაგებაზე აღედგინათ".

**სტალინი ულალატო მეგობარი იყო, თვითონ არ ულალატებდა, მაგრამ ღალატს არც სხვას აპატიებდა. ის არასოდეს გაუშინაურდებოდა ვინმეს და არც ახლოს მოუშვებდა. ძალზე უყვარდა იუმორი და მეგობრებთან გახუმრება. აი, ამის ერთი მაგალითი.**

სტალინი მოგვითხრობს:

„1926 წელს თბილისში ყოფნისას ოფიციალურ ვითარებაში ამიერკავკასიისა და საქართველოს ყველა თვალსაჩინო მუშაკს შევხვდი. მიხაც, რასაკვირველია, მათ შორის იყო და საკითხების განხილვაში მონაწილეობდა, მაგრამ მინდოდა, ის ცალკე მენახა, მეგობრულად გვესაუბრა, ზოგი რამ წარსულიდანაც გაგვეხსენებინა. მიხა ამიერკავკასიის ცაკის თავმჯდომარე იყო. ავდექი და ორჯონიკიძესა და მიქოიანთან ერთად სამსახურში გაუფრთხილებლად ვეწვიე. გადავწყვიტეთ, მოხუცს გავხუმრებოდით, ამიტომ მისაღებში ჩვეულებრივი მიმსვლელებივით დავსხედით და შემდეგ მდივანს ვთხოვეთ, თავმჯდომარისთვის მოეხსენებინა, რომ სტალინი, ორჯონიკიძე და მიქოიანი მიღებას ითხოვდნენ. მდივანმა, რასაკვირველია, ყველაფერი მოახსენა, მიხა ხუმრობას მიგვიხვდა, მდივნის პირით გადმოგვცა: ცოტა დამელოდეთ, საქმეს მოვრჩები და თქვენი ჯერიც მოვაო. რამდენიმე წუთში მდივანს ისევ გამოუძახა, კაბინეტის კარი მოღებული დაატოვებინა და ჩვენს გასაგონად ჰკითხა: „ეს რომელი სტალინია, ჩვენი კომსომოლა? სთხოვეთ, შემოვიდესო".

მიხასთან სტალინის „ვიზიტის" ამბავი თბილისში იმ დღესვე გავრცელდა, მაგრამ მე მაშინ ეს ანეკდოტი მეგონა, არ მჯეროდა, მაგრამ ოცდაორი წლის შემდეგ იგივე ისტორია მოვისმინე თვით ი. სტალინისგან. საეჭვო თურმე არაფერი ყოფილა", — იგონებს კ. ჩარკვიანი.

# როგორ ძარცვავს მდიდარი ელიტა დემოკრატიას მსოფლიოში



სონალი კოლჰატკარი

**მცირე შემოკლებით გთავაზობთ ლოს ანჯელესის რადიო KPEK-ის ყოველდღიური გადაცემა „ამბოხების რადიოს" წამყვანის — სონალი კოლჰატკარის საინტერესო წერილს, რომელიც მან ინტერნეტგამოცემა AlterNet-ის გვერდზე გამოაქვეყნა.**



პეტრე პოროშენკო და ბარაკ ობამა



ჯონ კერი და აბდულ ფათახ ას-სისი

ქუჩის მასობრივი საპროტესტო აქციები, ჩვეულებრივ, დემოკრატიული მისწრაფებების დამახასიათებელ ნიშნად ითვლება, არჩევნები კი — ამ მისწრაფებების კულმინაციად, რომელიც ადამიანებს თავიანთი ლიდერებისა და სახელმწიფო მმართველობის არჩევის შესაძლებლობას აძლევს. მაგრამ **დღეს გავლენიანი ელიტა არაფრად აგდებს დემოკრატიისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და მის მიღწევებს სათავისოდ იყენებს.**

დღეს ჩნდება კითხვა: **ვაცნობიერებთ კი იმას, რაც ჩვენს ცხვირწინ ხდება?** ამ ტენდენციის ინდიკატორად გვევლინება სამი ქვეყანა და იქ განვითარებული მოვლენები. ეს ქვეყნებია: ტაილანდი, უკრაინა და ეგვიპტე.

ტაილანდში ახლახან კვლავ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება — ბოლო 82 წლის განმავლობაში მე-19. გადატრიალების ლიდერი, გენერალი პრაიუტ ჩან-ოჩა მოსახლეობას „ნამდვილ დემოკრატიას" დაჰპირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, როდის, რა ვადაში გაუქმდება ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა. **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი თავდაპირველად უარს ამბობდა, ხელისუფლების მიტაცებისთვის სამხედრო გადატრიალება ეწოდებინა, დაჩემებული ჰქონდა, — სამხედრო მდგომარეობა სრულიად შეესაბამება ტაილანდის კონსტიტუციასო, თუმცა შემდეგ სამხედროების მოქმედება დაგმო.**

უკრაინაში მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმით, ქვეყანა დატოვა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა, მის ნაცვლად კი პროდასავლელი პეტრე პოროშენკო აირჩიეს, რომელიც ხალხს დემოკრატიას ჰპირდება. **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ღიად და მიკერძოებით დაიჭირა პროდასავლური ძალების მხარე უკრაინაში, კონფლიქტის ტემპერატურა კი თითქმის ცივი ომის დონემდე ასწია, რის გამოც დაპირებები ნამდვილი დემოკრატიის შესახებ, საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება ძალადაკარგულად ჩაითვალოს.**

ეგვიპტეში სამხედროების სასტიკი მმართველობის შემდეგ, რომელსაც წინ უსწრებდა რევოლუცია და ქვეყნის მმართველის არჩევა „ძმები მუსლიმანების" რიგებიდან, რეზიდენტად სამხედრო გენერალი აირჩიეს. **ამერიკის შეერთებული შტატები ჩუმად ქომაგობდა „ძმები მუსლიმანების" ხელისუფლების დამხობას და იშვიათად აკრიტიკებდა გენერალ აბდულ ფათახ ას-სისის (სხვათა შორის, ას-სისი წოდებით ფელდმარშალია) განკარგულებით დაწყებულ სასტიკ რეპრესიებს.**

**აშშ-მა, რომელიც უყურებდა, როგორ აღმოჩნდა საფრთხის ქვეშ ეგვიპტელთა სიცოცხლე, ლოდინის სახიფათო პოზიცია დაიკავა.** აშშ-ის ხელისუფლება სისის, ალბათ, დემოკრატიულად არჩეულ ხელმძღვანელად ჩათვლის.

**ტაილანდის, უკრაინისა და ეგვიპტის შეძლებული ელიტები სახალხო მოძრაობასა და არჩევნებს მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად იყენებენ.**

კინორეჟისორმა, ჟურნალისტმა და ბევრი ჟურნალისტური გამოძიების ავტორმა ანდრე ვლტჩეკმა, რომელიც ზემოაღნიშნულ სამ ქვეყანაში ცოტა ხნის წინათ იმყოფებოდა, თავის ფილმ „აჯანყებაზე" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ტაილანდში პრემიერმინისტრის პოსტი დაიკავა 2006 წელს ხელისუფლებიდან დათხოვნილმა მაგნატმა ტაქსინ ჩინავატიმ, რომელიც „ქვეყანაში თანამედროვე კაპიტალიზმის აშენებას" ცდილობდა. მან შექმნა სამედიცინო დახმარების სისტემა, რომელიც გაცილებით უკეთესია აშშ-ის სამხედრო სისტემაზე, და რომელშიც „წამლებზე უზარმაზარი სუბსიდიები მოქმედებს". გარდა ამისა, ტაილანდში, უკვე 15 წელიწადია, არსებობს უფასო განათლება დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის. ტაქსინ ჩინავატიმ მოქალაქეობა მისცა ქვეყნის ჩრდილოეთში მცხოვრებ მილიონობით მოქალაქეს, რომლებიც აქამდე უუფლებონი იყვნენ. ტაქსინის მომხრეებმა, რომელთა ძირითადი ნაწილი გლეხებისა და მემარცხენე აქტივისტებისგან შედგება, თავიანთ თავს „წითელხალათიანები" უწოდეს. ელიტას კი, მონარქიისა და სამხედროების სახით, სძულდა ტაქსინის პროგრესული სოციალური პროგრამები იმიტომ, რომ ტაილანდში მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ფულს, არამედ უფსკრულს ამ ელიტასა და მოსახლეობის უმრავლესობას შორის".

**ის, რაც ჩვენ გვეჩვენებოდა სახალხო რევოლუციად, რომლის მონაწილეებიც (ყვითელ ხალათებში გამოწყობილნი) კორუმპირებული ლიდერის დასამხობად სამთავრობო შენობებში იჭრებოდნენ, სინამდვილეში ტაილანდის სამეფო ოჯახსა და სამხედროებთან დაკავშირებული ძალების მოქმედება იყო.**

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ამ მოძრაობას ჰქვია „სახალხო ალიანსი დემოკრატიისთვის". არადა, მას დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. უფრო ზუსტად, ამ მოძრაობის წარმომადგენლები დემოკრატიის მოწინააღმდეგენი არიან.

ანდრე ვლტჩეკი ამბობს, რომ დასავლეთი ჩუმად ეხმარებოდა როიალისტებს (მონარქიის მომხრეებს), მიუხედავად იმისა, რომ, ოპოზიციის თქმით, ტაქსინს დასავლეთი უჭერდა მხარს. არ დაგავიწყდეთ, რომ **ტაილანდში ათწლეულების განმავლობაში მასობრივად ანადგურებდნენ მემარცხენე ოპოზიციას. კომუნისტებს ნავთით სავსე კასრებში ცოცხლად წვავდნენ და მემარცხენე ოპოზიციის განადგურებით დასავლეთის საიმედო მოკავშირის რეპუტაცია შეიძინეს.**

უკრაინაში ჩატარებულ არჩევნებსაც ასდის დემოკრატიის მოპარვის სუნი. უკრაინელებმა პრეზიდენტად საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი მდიდარი ადამიანი აირჩიეს, თუმცა ეს მაშინ გააკეთეს, როცა მათმა უკრაინის მემარჯვენე-ცენტრისტულმა პრეზიდენტმა გაბედა და უარი განაცხადა ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერაზე. ეს საკმაოდ უცნაური გარიგებაა, რომლის არსიც შემდეგშია: **ევროპისთვის ხელმისაწვდომი იქნება უკრაინის მეტალურგიული და სამთომომპოვებელი საწარმოები, ამის სანაცვლოდ უკრაინელები ვერაფერს მიიღებენ. მათ ევროკავშირში თავისუფლად გადაადგილების უფლებაც კი არ ექნებათ, რომ აღარაფერი ვთქვათ იქ მუშაობასა და ცხოვრებაზე.**

ვლტჩეკი ამბობს, რომ იანუკოვიჩის დამხობილი მთავრობა სინამდვილეში არც პრორუსული იყო, არც სოციალისტური და არც კომუნისტური. მან მოიყვანა მონაცემები, რომლებიდანაც ჩანს, რომ **იანუკოვიჩის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების მხარდასაჭერად ევროკავშირმა მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა და რომ ე. წ. ევრომაიდნის მონაწილეებს დაუფარავად უხდიდნენ ფულს.**

ვლტჩეკმა უკრაინაში ათასობით კილომეტრი გაიარა და ბევრ ქალაქში იყო. ხარკოვში, რომელიც უკრაინის მეორე დედაქალაქად ითვლება, შეხვდა ადამიანებს, რომლებმაც განუცხადეს: **„ჩვენ არ ვაპირებთ, დავემორჩილოთ დასავლეთის დიქტატორულ ხელისუფლებას, რომელიც სავსეა ფაშისტებითა და მემარჯვენე ელემენტებით... ჩვენ არ დავემორჩილებით ანტირუსულ პროპაგანდას. რუსეთი ჩვენი ერთადერთი მეგობარი და მოკავშირეა".**

ეგვიპტეშიც ანალოგიური რამ მოხდა. მოძრაობა, რომელიც ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლების დასამხობად მოქმედებდა და რომელსაც მხარს აშშ უჭერდა, ნამდვილად სახალხო იყო. მისი წარმომადგენლები დემოკრატიული ცვლილებების განხორციელებას ცდილობდნენ. მაგრამ, თუკი ყველაფერს კარგად გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ **ეგვიპტური რევოლუციის ნაყოფი მოიპარეს ჯერ „ძმებმა მუსლიმანებმა", რომლებმაც დემოკრატიის ინსტრუმენტები არჩევნებში გასამარჯვებლად გამოიყენეს, შემდეგ — არმიამ, რომელმაც დაამხო „ძმები მუსლიმანების" რეჟიმი და საკუთარი არჩევნები ჩაატარა.**

**დასავლეთი არ აპროტესტებს, როცა პრეზიდენტად „ირჩევენ" ისეთ ადამიანს, როგორიც არის ას-სისი. მისი ბრძანებით, სამხედროებმა 600 ადამიანი („ძმები მუსლიმანები") სიკვდილით დასაჯეს. ამ ადამიანების დასაცავად ხმა არავის აუმაღლებია.**

**გავლენიანმა ელიტამ კიდევ ერთხელ მოისროლა სანაგვეზე დემოკრატიული გარდაქმნების შედეგები, რომლებიც მას ხელს არ აძლევდა, შემდეგ კი დემოკრატიის ინსტრუმენტები თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენა.**

ასეთი მაგალითი ბევრია, თუნდაც ცოტა ხნის წინათ ვენესუელაში მომხდარი აჯანყება. ინგლისურენოვანი პრესის დიდმა ნაწილმა ამ მოვლენას უწოდა სახალხო აჯანყება ნიკოლას მადუროს სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს პროტესტი სოციალისტური სახელმწიფოს დანგრევისკენ იყო მიმართული და მას იდეოლოგიურად (არ არის გამორიცხული — პრაქტიკულადაც) მხარს აშშ უჭერდა.

ახლა, ციფრული კომუნიკაციების საუკუნეში, როდესაც გაჩნდა მასობრივი მოძრაობები ისეთი კანონიერი დემოკრატიული მიზნებით, როგორიც არის „უოლ სტრიტის ოკუპაცია" ან ჰოსნი მუბარაქის დამხობა, ჩვენ სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და დავაკვირდეთ ელიტის მოქმედებას, რომელიც ყველა საშუალებით — საპროტესტო აქციები იქნება ეს თუ არჩევნები — ცდილობს თავისი მიზნების რეალიზებას დემოკრატიის ტერმინოლოგიისა და სიმბოლოების გამოყენებით. დასავლეთი ბოლო ნაბიჯებს დგამს ნახევრადდამოუკიდებელი და სხვაგვარად მოაზროვნე ძალების გასანადგურებლად, რომლებიც მას გზაზე ელობებიან.

**AlterNet.org (აშშ)**

ახალი ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა მოვლენები განსაკუთრებით კარგად ვითარდებოდა, ხასიათი უფუჭდებოდა, უაღრესად მომთხოვნი და მკაცრი ხდებოდა. ხოლო თუ ჰორიზონტზე შავი ღრუბელი გამოჩნდებოდა, როცა ჩვენი არმია უკან იხევდა, საბჭოთა ქალაქებს ერთი მეორის მიყოლებით მტერი იპყრობდა, სტალინი თავშეკავებული იყო...**

# რატომ არ დატოვა სტალინმა მოსკოვი

**საყოველთაოდ ცნობილია, რა ძალა ჰქონდა სტალინის სიტყვას, რომელსაც ელოდებოდნენ, ისმენდნენ, რომელიც რწმენად უყალიბდებოდა ათეულ მილიონობით ადამიანს. ეს ისტორიული ფაქტია, რომელსაც მისი თანამედროვენი ადასტურებენ. მწერალი და პოეტი სერგეი მიხალკოვი წერს: „გვინდა თუ არა დღეს, ვაღიაროთ, მაგრამ სწორედ მისმა გამოსვლამ, ორმოცდაერთში, რომელიც იწყებოდა სიტყვებით „ძმებო და დებო!“ გამოიწვია სრულიად განსხვავებული ასაკის ადამიანების არნახული ენთუზიაზმი. ისინი მოხალისეებად წავიდნენ გამწვევ პუნქტებზე.**
**სიტყვის რწმენა უზარმაზარი რწმენაა მაშინ, როცა მას ავტორიტეტული ადამიანი წარმოთქვამს, ხოლო იმის უარყოფა, რომ სტალინი მილიონებისთვის ავტორიტეტული პიროვნება იყო, შეიძლება ან ჭკუანაკლებობით, ან ბოროტი ჩანაფიქრით აიხსნას“.**
**სტალინის სჯეროდა არა მხოლოდ „მშრომელთა მასებს“, არამედ ცნობილ მხედართმთავრებსაც. ფელიქს ჩუევი იხსენებს:**
**„ყოფილი მხედართმთავრები მიყვებოდნენ, რომ, როცა 1941 წელს ფრონტებიდან მოსკოვში ჩამოდიოდნენ, რეკავდნენ კრემლში, ძირითადად, იმიტომ, რათა გაეგოთ, გაემგზავრა სტალინი თუ არა. როგორც კი გაიგებდნენ, რომ მოსკოვში იყო, უმალვე უჩნდებოდათ გამარჯვების რწმენა“.**
**უკიდურესად კრიტიკულ სიტუაციაში, როცა ფაშისტები მოსკოვის შემოგარენს მიადგნენ, სტალინი დედაქალაქში დარჩა და იქედან ხელმძღვანელობდა ფრონტებზე მიმდინარე ოპერაციებს.**
**პირადი მაგალითის ძალა მოსკოვისთვის ბრძოლაში კიდევ ერთხელ დადასტურდა.**
**ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია ამაზეა.**



**სტალინი რეალობის გრძნობას არასოდეს კარგავდა, მისი გადაწყვეტილებებიც ყოველთვის რეალურ ვითარებას ეფუძნებოდა, პერსპექტივას ამ რეალობის ლოგიკიდან გამომდინარე ხედავდა**

## პირადი მაგალითის ძალა

მოსკოვისთვის ბრძოლას (1941 წლის დეკემბერი-1942 წლის აპრილი) უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ცნობილია, რომ აქ და შემდეგ სტალინგრადში გადაწყდა ომის ბედი, დასამარდა ჰიტლერის გეგმა ბლიცკრიგის.

ფაშისტი დამპყრობლების მოსკოვზე შეტევის მეორე ეტაპზე გერმანელებმა უბრძოლველად დაიპყრეს ორიოლი და ბრიანსკი, ალყაში მოაქციეს საბჭოთა ჯარების ორი დაჯგუფება (ორი არმია ბრიანსკთან და ოთხი — ვიაზმასთან). ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ ეს საბჭოთა კავშირის დასასრულის უტყუარი ნიშანი იყო. გამარჯვებას წინ არაფერი ედგა. გერმანიის პრესა და რადიო იუწყებოდა, რომ მოწინააღმდეგე განადგურდა.

მესამე რაიხი მოსკოვში საზეიმო აღლუმის გასამართავად ემზადებოდა.

12 ოქტომბერს გერმანელებმა ხელთ იგდეს კაშირი, 14-ში — კალინინი, მიუახლოვდნენ ტულას. კიდევ ერთი ნახტომი და მოსკოვის დაცემა გარდაუვალი ჩანდა.

ბერიამ და ალექსანდრე შჩერბაკოვმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო და მოსკოვის საოლქო კომიტეტების მდივანმა, შინსახკომში შეკრიბეს მოსკოვის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები. ბერიამ მათ რეალური სურათი დაუხატა:

— გერმანელების ტანკები უკვე ოდინცოვოშია. ფრონტთან კავშირი გაწყვეტილია. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, უნდა დაინაღმოს ყველა დიდი ქარხანა და მნიშვნელოვანი ობიექტი. თითოეული რაიონიდან 500-500 კაცი დატოვეთ მოსკოვის დასაცავად. ბავშვები და მოხუცები ღამით გაიყვანეთ მოსკოვიდან. მათი სრულად ევაკუირება აუცილებელია. პროდუქტები, რაც კი გაქვთ, დაურიგეთ მოსახლეობას. მტერს არც ერთი გრამი არ უნდა დარჩეს.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატში აირია ყველაფერი. სრული ქაოსია — ყველა კაბინეტის კარი ღიაა, დაბნეული თანამშრომლები დოკუმენტების შეკვრებს ეზიდებიან, არ იციან, გაანადგურონ თუ ევაკუაციაში თან წაიღონ, პანიკა აშკარაა.

სახალხო კომისარი ლაზარ კაგანოვიჩი არნახულად აღგზნებულია, ბრძანებებს არიგებს მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ ვინაა შემსრულებელი ან შემმოწმებელი ვინაა? და სწორედ იმ კაცისგან, რომლის სახელიც მინიჭებული ჰქონდა მოსკოვის მეტროპოლიტენს, თანამშრომლები იღებენ დავალებას:

— მეტროპოლიტენი დახურეთ. სამ საათში მოამზადეთ წინადადებები მისი განადგურების შესახებ, ობიექტები ნებისმიერი საშუალებით უნდა გაანადგუროთ!

**გაიცა ბრძანება ადამიანების ანდიჟანში ევაკუირების თაობაზე.**

— რისი ევაკუირებაც შეუძლებელია, განადგურდეს! ყველაფერი მწყობრიდან გამოიყვანეთ!

საკალხო კავშირი აცხადებს, რომ მტერმა მოსკოვი მოულოდნელად შეიძლება დაიპყროს.

ქალაქში პანიკაა.

პარტიის მოსკოვის საქალაქო და მოსკოვის საოლქო კომიტეტების პირველი მდივანი შჩერბაკოვი იძულებულია, გამოვიდეს რადიოთი და დაამშვიდოს მოსახლეობა:

**— სტალინი მოსკოვშია და ჩვენ ყველანი მოსკოვისთვის გააფთრებით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ.**

მრავალი წლის შემდეგ ვიაჩესლავ მოლოტოვს შეეკითხებიან:

— ამბობენ, რომ 1941 წელს პოლიტბიუროში კენჭი უყარეს საკითხს, დაეტოვებინათ თუ არა მოსკოვი, მტრისთვის ჩაებარებინათ თუ არა. მართალია?

— არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გვემსჯელა ამაზე! — აღშფოთებულა უკვე ხანში შესული ვიაჩესლავ მიხაილოვიჩი, — სისულელეა. აბსოლუტური სისულელე! გაფიქრებაც არ შეიძლებოდა. იმ მომენტში ამ საკითხზე კენჭისყრა ღალატს ნიშნავდა... **უმრავლესობა-უმცირესობა რომ ყოფილიყო, ამ უმცირესობას გაანადგურებდა უმრავლესობა, რადგან ჩაბარებაზე ლაპარაკიც კი ღალატი იქნებოდა.**

**მოსკოვის ჩაბარებაზე ჭორი იმიტომაც გავრცელდა, რომ იყო მომენტები, როცა ჟუკოვი, რომელსაც მოსკოვის დაცვა ჰქონდა დავალებული, სწორედ ასეთ წინადადებას აყენებდა.**

**მოსკოვის ჩაბარებაზე ჭორი იმიტომაც გავრცელდა, რომ იყო მომენტები, როცა ჟუკოვი, რომელსაც მოსკოვის დაცვა ჰქონდა დავალებული, სწორედ ასეთ წინადადებას აყენებდა.**



ავიაციის მთავარი მარშალი გოლოვანოვი თავის წიგნში „შორეული ბომბდამშენი“ ადასტურებს ჟუკოვის კაპიტულანტურ პოზიციას...

ალბათ, დროა, შევეხოთ სტალინის ხასიათის ერთ განსაკუთრებულ თვისებას, რომელსაც იშვიათად შევხვდებით ადამიანებში: თუ საქმე კარგად მიდის, ისინი გულჩათხრობილნი ხდებიან; თუ რაღაც არ გამოდის, მათი სიმშვიდე და ოპტიმიზმი გასაოცარია.

— სტალინიც ასე იყო, — იხსენებს იაკობ ჩადაევი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, — მაშინ, როცა მოვლენები განსაკუთრებით კარგად ვითარდებოდა, ხასიათი უფუჭდებოდა, უაღრესად მომთხოვნი და მკაცრი ხდებოდა. ხოლო თუ ჰორიზონტზე შავი ღრუბელი გამოჩნდებოდა, როცა ჩვენი არმია უკან იხევდა, საბჭოთა ქალაქებს ერთი მეორის მიყოლებით მტერი იპყრობდა, სტალინი თავშეკავებული იყო, დიდად მომთმენი, თითქოს მოვლენები მშვიდად და უღრუბლოდ ვითარდებოდა. რით შეიძლება ამის ახსნა? როგორც ჩანს, იმით, რომ სტალინს პესიმიზმი ან გულგატეხილობა რომ გამოემჟღავნებინა, მისი ასეთი განწყობილება დამთრგუნველად იმოქმედებდა სხვებზე, დააბნევდა მათ.

ხოლო წარმატებათა შემთხვევაში სიმკაცრისა და მომთხოვნელობის გამოჩენა მოდუნების საშუალებას არ აძლევდა საქმეზე პასუხისმგებელ ამხანაგებს.

აქედან კი პანიკურ განწყობილებამდე, „ჰორაჟენცობამდე“ — დამარცხებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

ჟუკოვის მაგალითი, რომელიც ზემოდ დავასახელეთ, თუნდაც ეს ერთი, ამის დამადასტურებელია.

სტალინი რეალობის გრძნობას არასოდეს კარგავდა, მისი გადაწყვეტილებებიც ყოველთვის რეალურ ვითარებას ეფუძნებოდა, პერსპექტივას ამ რეალობის ლოგიკიდან გამომდინარე ხედავდა.

## კატასტროფა კარს იყო მომდგარი

1941 წლის 16 ოქტომბრის დილას განსაკუთრებით საგანგაშო და უკიდურესად არასასურველმა ნიშნებმა იჩინა თავი: დედაქალაქის საგარეუბნო ადგილებიდან 25-30 კილომეტრში გერმანელი მოტოციკლისტები გამოჩნდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოსკოვზე შეტევა შეიძლებოდა დღე-დღეზე დაწყებულიყო.

დილის 9 საათზე სტალინმა თავის კაბინეტში გამოიძახა პოლიტბიუროს წევრები: მოლოტოვი, მალენკოვი, ვოზნესენსკი, შჩერბაკოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი.

განსაკუთრებული მღელვარება არ ეტყობოდა. მოკლედ აუხსნა შეკრებილებს, რა მდგომარეობა ჩამოყალიბდა, უთხრა, რომ ჩვენი ჯარების ახალი ნაწილების მოსვლამდე გერმანელებს შეეძლოთ სწრაფად გადმოესროლათ თავიანთი რეზერვები და გაერღვიათ მოსკოვის ფრონტი. აქედან გამომდინარე, დაავალა თათბირის მონაწილეებს, სასწრაფოდ გაეყვანათ ქალაქიდან მთავრობა, გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც მოსკოვში იყვნენ დარჩენილები, გაემზადებინათ ქალაქი გერმანელების შესაძლო შემოჭრის შემთხვევისთვის. ჩამოთვალა ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც მტერს საშუალებას არ მისცემდა, ესარგებლა დედაქალაქში არსებული სამრეწველო პოტენციალით საბრძოლო მასალის საწარმოებლად.

**მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალს დაევალა, სასწრაფოდ შეემუშავებინა ისეთი გეგმა, რომელიც მთლიანად მოსკოვს თუ არა, მის ცალკეულ ნაწილებს მაინც დაიცავდა ძირითადი რეზერვების მოსვლამდე. როგორც კი ჩამოვიდოდა რეზერვი ციმბირიდან, ორგანიზებული იქნებოდა გარღვევა და გერმანელებს მოსკოვიდან განდევნიდნენ.**

„— სტალინმა თქვა, — იხსენებს ანასტას მიქოიანი, — რომ მთავრობა და უცხოეთის საელჩოები ევაკუირებული უნდა იყოს კუიბიშევში, სახალხო კომისარიატები — სხვა ქალაქებში. მოლოტოვს და მე დაგვავალა, დაუყოვნებლივ გამოგვეძახებინა ყველა სახალხო კომისარი, განგვემარტა მათთვის, რომ სასწრაფოდ, ერთ დღე-ღამეში მოეხდინათ ყველა სახალხო კომისარიატის ევაკუაცია“.

ევაკუაცია ნიშნავდა უკანდახევას, უკანდახევა — მტრისთვის მოსკოვის ჩაბარებას.

ასე იქნებოდა.

მაგრამ ასე არ მოხდა — მოსკოვის მტრისთვის ჩაბარებაზე ვამბობ.

16 ოქტომბრის თათ- ▶

# „ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აეროდრომზე, იქ, სადაც ახლა აეროვოგზლის შენობაა, ოთხი გამზადებული „დუგლასი“ იდგა. პოლკოვნიკი გრაჩოვი სტალინის პირადი თვითმფრინავის კაბინაში იჯდა, მაგრამ ბერიამ და მალენკოვმა ვერა და ვერ შეძლეს ბელადის დედაქალაქიდან გატყუება“.

უბელადო ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბირზე სტალინმა პოლიტბიუროსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყველა წევრს მოსკოვიდან იმ დღესვე გამგზავრება შესთავაზა.

— მე ხვალ დილით გავემგზავრები, — დასძინა მან.

„მე ვერ მოვითმინე, ამბობს ანასტას ივანოვიჩი, და ვკითხე: „თუ შეიძლება, რომ შენ ხვალ გაემგზავრო, ჩვენ დღესვე რატომ უნდა გავემგზავროთ? ჩვენც ხვალ შევძლებთ გამგზავრებას“... და მტკიცედ დავუმატე: „მე ვრჩები და ხვალ შენთან ერთად გავემგზავრები“.

ძნელია იმის თქმა, რა უფრო მეტია მოგონების ამ ფრაგმენტში — ფარისევლობა თუ თავის გამოჩენის სურვილი...

ან, იქნებ, მართლა გულწრფელად იყო ნათქვამი.

ახლა ამის გარჩევის დრო არ არის. მთავარია გავარკვიოთ, აპირებდა თუ არა სტალინი მოსკოვის დატოვებას.

## „იმ ნიჩბებით გაითხარონ საფლავები“

აპირებდა თუ არა, თორემ რომ არ დატოვა, ისტორიული ფაქტია.

ამ შეკითხვას თავის დროზე ამომწურავად უპასუხა ავიაციის მთავარმა მარშალმა ალექსანდრ გოლოვანოვმა „კომსომოლსკაია პრავდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

„1941 წლის ოქტომბერში, როცა მტერი დედაქალაქის კედლებთან იდგა, ჩვენი მდგომარეობა სამხედრო თვალსაზრისით უკიდურესად დაძაბული იყო...

**იმ თვის ერთ-ერთ დღეს უმაღლესი მთავარსარდლის მთავარბანაკმა პერხუშკოვოში, დასავლეთის ფრონტის შტაბში გაგზავნა არმიის კომისარი სტეპანოვი ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესასწავლად.** ამ დროს მე ვიყავი სტალინთან, უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკში. არმიის კომისარმა სტეპანოვმა შეისწავლა საქმის ვითარება და დარეკა ბანაკში. უმაღლეს მთავარსარდალს გაძლიერებული ტელეფონები ედგა და მას ყურმილი ყურთან ახლოს არ მიჰქონდა, საკმარისად დაცილებით ეჭირა. საუბარი ყველას ესმოდა.

სტეპანოვი უპატაკებს სტალინს, რომ იგი მოეთათბირა ადგილობრივ ხელმძღვანელობას, რომელიც მიიჩნევს, რომ ფრონტის შტაბი უნდა გადაიტანონ მოსკოვს იქით, აღმოსავლეთით, სავარაუდოდ, — არზამაზში, ხოლო საკომანდო პუნქტი — მოსკოვის აღმოსავლეთ შემოგარენში. სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა მოსახლეობის და სამრეწველო ობიექტების მოსკოვიდან ევაკუაცია.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა... სტალინი ეკითხება სტეპანოვს: „ამხანაგო სტეპანოვ, შეეკითხეთ ამხანაგებს, აქვთ თუ არა ნიჩბები?“ კვლავ — რაღაცნაირი უხერხული სიჩუმე...

— რა ვკითხო, ამხანაგო სტალინ?

— ნიჩბები აქვთ ამხანაგებს?

ისმის, რომ სტეპანოვი ვიღაცას მიმართავს. ამხანაგები ეკითხებიან: როგორი ნიჩბები — მესანგრეების თუ ჩვეულებრივი? სტეპანოვი კვლავ ეკითხება სტალინს:

— ამხანაგო სტალინ, როგორი ნიჩბები: მესანგრეების თუ რომელიმე სხვა?

სტალინი ეუბნება:

— სულერთია როგორი.

ყურმილში მხნე და მხიარული ხმები ისმის: „გვაქვს, გვაქვს!“

და სტეპანოვი ლამის აღფრთოვანებული უპატაკებს:

— ამხანაგო სტალინ, ნიჩბები არის! რა უნდა გააკეთონ ამ ნიჩბებით?

და სტალინი ძალიან მშვიდად უპასუხებს:

— ამხანაგო სტეპანოვ, გადაეცით თქვენს ამხანაგებს, აიღონ ნიჩბები და საფლავები გაითხარონ. ჩვენ მოსკოვიდან არ წავალთ. მთავარბანაკი მოსკოვში რჩება. ისინი კი პერხუშკოვოდან არსად წავლენ“.

მარშალი ჟუკოვი კი, რომელიც დღეს ძალიან უნდათ ფაშიზმზე გამარჯვების მთავარ შემოქმედად შერაცხონ, მოსკოვის მტრისთვის ჩაბარებაზე ფიქრობდა.

ასეც იქნებოდაო, მიიჩნევს გოლოვანოვი, სტალინი რომ არ ყოფილიყო.

მაგრამ ამას დოკუმენტურად სჭირდება დამტკიცება, ისე ცარიელი ლაპარაკი შეიძლება გამოვიდეს.

„როგორ დაამტკიცებ? — განაგრძობს ალექსანდრ ევგენის ძე, — დოკუმენტების უმრავლესობა, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ომში სტალინის ჭეშმარიტი როლი, დაწვეს ხრუშჩოვის დროს. ასე განადგურდა ჩემი სტალინთან მიმოწერის სამი ტომი. მოკვდება ვასილევსკი, მოკვდება გოლოვანოვი, მოკვდება შტემენკო და ვერავინ გაიგებს, სინამდვილეში რა და როგორ იყო“.

დოკუმენტები არ არსებობს, მაგრამ იყვნენ მოღვაწენი, რომელთა სიტყვა ნებისმიერ დოკუმენტზე უფრო ჭრის.

**კრემლის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი ვლასიკი ადასტურებს, რომ ამ თემაზე (მოსკოვიდან წასვლაზე) საუბარი სტალინსა და ანდრეი ჟდანოვს შორის (ჟდანოვი ცკ-ის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი იყო) მართლაც შედგა. „პატრონმა“ („ხოზიაინმა“) მტკიცედ და გადაჭრით განუცხადა, რომ ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს: იგი მოსკოვში თავის ადგილზე რჩება.**

ვოზნესენსკი, კალინინი, პოსკრებიშევი არაორაზროვნად აცხადებდნენ, რომ სტალინს არც უფიქრია მოსკოვიდან სადმე გამგზავრებაზე.

ალექსეი რიბინი, სტალინის პირადი მცველი:

„ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აეროდრომზე, იქ, სადაც ახლა აეროვოგზლის შენობაა, ოთხი გამზადებული „დუგლასი“ იდგა. პოლკოვნიკი გრაჩოვი სტალინის პირადი თვითმფრინავის კაბინაში იჯდა, მაგრამ ბერიამ და მალენკოვმა ვერა და ვერ შეძლეს ბელადის დედაქალაქიდან გატყუება“.

მარშალ ალექსანდრე ვასილევსკის თქმით, ის, რომ „თვითმფრინავები ასაფრენად გამზადებული იდგა, აბსოლუტურად გამართლებული ღონისძიება იყო იმ მომენტში, როცა გერმანულ ტანკებს სულ რამდენიმე საათი დასჭირდებოდათ მოსკოვის ცენტრში აღმოსაჩენად.

კიდევ ერთი ასაფრენი ზოლი იყო მზად სტალინის მოსკოვიდან გასაყვანად „უშუალოდ წითელი მოედნიდან. გენერალი სბიტოვი ყვებოდა, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა ასეთ შეთავაზებაზე კატეგორიული უარი განაცხადა:

— ჟიგარიოვი (იგი ამ დროს მოსკოვის ოლქის ავიაციის სარდალი იყო) გაფრინდეს, საითაც უნდა, ნებისმიერ მხარეს! მე აქ ბოლომდე ვრჩები...“



**მოსკოვის დატოვებაზე სტალინთან ლაპარაკს ვერავინ ბედავდა, ამიტომ შემოვლით, მინიშნებით ჰკითხეს ერთხელ:**
**— ამხანაგო სტალინ, როდის გავაგზავნოთ მოსკოვიდან დაცვის პოლკი?**
**— თუ საჭირო გახდება, ამ პოლკს შეტევაზე მე თვითონ წარვუძღვები, — უპასუხა სტალინმა.**

**ალექსანდრე იაკოვლევი, ავიაკონსტრუქტორი, აკადემიკოსი, ომის წლებში ავიამრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე:**

„ძალიან მინდოდა, მეკითხა მისთვის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ, რომელიც ძალიან მაწუხებდა, მაგრამ ვერ ვბედავდი. გამომშვიდობებისას ვერ მოვითმინე და ვკითხე:

— ამხანაგო სტალინ, შევძლებთ მოსკოვის შენარჩუნებას?

მან უცებ არ მიპასუხა, გაიარ-გამოიარა, გაჩერდა მაგიდასთან, დატენა ჩიბუხი ახალი თამბაქოთი:

— ვფიქრობ, რომ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარია რეზერვების სასწრაფოდ დაგროვება. ამათთან ცოტას კიდევ წავიფართხალებთ და უკან გავრეკავთ...

ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანია დიდხანს ვერ გაუძლებდა. მიუხედავად იმისა, რომ ომში იგი გამოიყენებს მთელი ევროპის რესურსებს. ნედლეულის მარაგი ჰიტლერს დიდხანს არ ეყოფა. სხვაგვარადაა საქმე ჩვენთან.

სტალინმა რამდენიმეჯერ გაიმეორა:

— სახელმწიფოს რეზერვების გარეშე ვერ იცოცხლებს“.

მკითხველები უთუოდ მიაქცევდნენ ყურადღებას ამ პასაუხის დედააზრს: ის, რომ სტალინი უმძიმეს პერიოდში მოსკოვიდან არ წავიდა, არამარტო პირადი რწმენისა და გამბედაობის შედეგი იყო, არამედ ანალიტიკური გათვლისა და შეფასების.

ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწის უპირველესი მახასიათებელი სწორედ ეს არის.

## „ამ პოლკს შეტევაზე მე თვითონ წარვუძღვები...“

მოსკოვის დატოვებაზე სტალინთან ლაპარაკს ვერავინ ბედავდა, ამიტომ შემოვლით, მინიშნებით ჰკითხეს ერთხელ:

— ამხანაგო სტალინ, როდის გავაგზავნოთ მოსკოვიდან დაცვის პოლკი?

— თუ საჭირო გახდება, ამ პოლკს შეტევაზე მე თვითონ წარვუძღვები, — უპასუხა სტალინმა.

იგი მხოლოდ ასეთ შეკითხვებს კი არ უპასუხებდა კატეგორიულად, არამედ არაფრად ჩააგდო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება მოსკოვიდან მისი ევაკუაციის შესახებ, რომელშიც შავით თეთრზე ეწერა: „ამხ. სტალინი ევაკუირებული იქნება ხვალ ან მოგვიანებით, მდგომარეობიდან გამომდინარე“.

მოსკოვიდან გამგზავრება კი არა, გერმანელთა ავიაციის დაბომბვის შემდეგ იგი რეგულარულად გადიოდა მოსკოვის ქუჩებში, რათა საკუთარი თვალით ენახა, რაც მოხდა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ხალხს დაენახა იგი, სცოდნოდათ ადამიანებს, რომ ბელადი მათ გვერდითაა, დედაქალაქშია და მის დაცვას ხელმძღვანელობს. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის იგი ამოწმებდა საგუშაგოებს გორკის ქუჩაზე, სმოლენსკის მოედანზე, სხვაგან და სხვაგან. მორიგე ჯარისკაცებზე ეს უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა.

ერთხელ, დილის 4 საათზე სტალინი კალუგის მოედანზე გავიდა. ფეხქვეშ ხრაშუნობდა შუშის ნამსხვრევები. გარშემო ცეცხლი ეკიდა ხის სახლებს. სასწრაფო დახმარების მანქანებს დაჭრილები გაჰყავდათ, ცხედრები გაჰქონდათ. სტალინს წამსვე შემოეხვივნენ მოსკოველები. ხალხი თავზარდაცემული იყო. ქალებს შეშინებული, ატირებული ბავშვები აეტატებინათ. სტალინმა ვლასიკს უთხრა:

— ბავშვები დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანონ აქედან შორს, ქვეყნის სიღრმეში.

შემოეხვივნენ სტალინს და ეკითხებიან, როდის შეაჩერებს მტერს წითელი არმია და განდევნის ჩვენი მიწიდან? სტალინი ამშვიდებს და ეუბნება:

— იქნება, ჩვენს ქუჩაზეც იქნება ზეიმი!

მისი სჯეროდათ!

ელისეევის მაღაზიისკენ ჩაუყვა სტალინი გორკის ქუჩას. შეკრებილი ხალხის თავს ზემოთ ალიმართა ქალი, რომელმაც რაღაც ტუმბაზე მოახერხა ასვლა და იქიდან საყვედურით აავსო სტალინი:

— განა შეიძლება, ამხანაგო სტალინ, ამ მძიმე დროს ქუჩაში ასე სიარული? მტერს ნებისმიერ წუთში შეუძლია ბომბის ჩამოგდება!

სტალინმა მხოლოდ გაშალა ხელები, რა უნდა გითხრათო...

არადა, იგი მართლაც რისკავდა...

წერ ამას და ხელი გაგირბის შეადარო სტალინი იმ ჭიაღუა ხელმძღვანელებს, რომლებიც თვითმფრინავის ხმაზე გორში ცხვირით მიწის თხრას იწყებდნენ და ღამით, ხალხისგან ფარულად სტალინის ძეგლს ანგრევდნენ, მისი მშობლიური ქალაქის გულიდან ქურდულად ამოგლეჯას ცდილობდნენ. „დემონტაჟი“ მოახდინეს...

მაგრამ ღირს კი შედარება?!

## ეკლესიაში ნათქვამი სიტყვა

გვიან საღამოს კვლავ დიდი თოვლი მოვიდა. მოჟაისკის გზატკეცილი უკანდახეული წითელარმიელებითა და ლტოლვილებით გაიჭედა. ადამიანებს შორის ძალაგამოლეული ძროხები მოდიოდნენ. არავინ ერეკებოდა, არავინ იყო პატრონი.

სტალინის მანქანის წინ გამოჩნდა ქალი, რომელიც ძლივს მიათრევდა ციგას, რომელზეც ოჯახის ბარგი-ბარხანა ეწყო და ორი ბავშვი იჯდა.

ბავშვები ტიროდნენ.

სტალინი დიდხანს უყურებდა ამ მძიმე სურათს გაჩერებული ავტომობილიდან. დათრგუნული იყო... ვინ იცის, რას ფიქრობდა... შუაღამეს, როცა აგარაკზე პოლიტბიუროს წევრები შეიკრიბნენ, სტალინმა მათ ყველგან რკინისებური დისციპლინის დამყარება მოსთხოვა და მოულოდნელად იხმო მომვლელი დიასახლისი ისტომინა.

— ვალენტინა ვასილიევნა, — მიმართა სტალინმა, — აპირებთ მოსკოვიდან წასვლას?

— ამხანაგო სტალინ, მოსკოვი ჩვენი მშობლიური სახლია, მას დაცვა სჭირდება, — უპასუხა ისტომინამ.

— გესმით, რას ფიქრობენ, მოსკოველები? — განსაკუთრებული ტონით უთხრა ბელადმა პოლიტბიუროს წევრებს.

**1941 წლის 4 ნოემბერს, ელოხოვის ტაძარში ყაზანის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულის დღეს ლიტურგია აღევლინა. პროტოდიაკონმა, მამა იაკობ აბაკუმოვმა პირველად წარმოთქვა სტალინის მრავალჟამიერი: „ღვთივკურთხეულ ქვეყანას რუსეთისას, ხელისუფლებას და მხედრობას მისას... და უმაღლეს ბელადს...“** და მლოცველების მრავალათასიანმა ხმამ დააქუხა: „მრავალჟამიერ!“, ხოლო პროტოდიაკონმა აღავლინა „სამარადისო დიდება“ ბრძოლის ველზე დაცემული მეომრების.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ მომენტიდან დაიწყო ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლების დაახლოება.

ეს ლიტურგია წინ უძღოდა 1941 წლის 7 ნოემბრის აღლუმზე სტალინის მიერ წარმოთქმულ სიტყვას: „ძმებო და დებო!“, რომლითაც მან მიმართა მეომრებსა და ერისკაცებს, მხარი დაუჭირა მიტროპოლიტმა სერგიმ თავისი მიმართვით ერისადმი. ხოლო 1941 წლის დეკემბერში ამოქმედდა ტაძარი ელნაში, წინა ხაზის ახლოს, სადაც საბჭოთა ჯარისკაცების წინაშე სრულდებოდა ღვთისმსახურება, მეომრებს უსურვებდნენ გამარჯვებას და აღავლენდნენ დღეგრძელობას ბელადისას.

ხოლო ეკლესიის თაღებქვეშ წარმოთქმული „სამარადისო დიდება“ ტრანსფორმირდა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებების დასკვნით წინადადებაში: „სამარადისო დიდება გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას!“

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბატონი ობამას მხრიდან ძალზე არაშორსმჭვრეტელური (მოდით, ნუ გამოვიყენებთ სიტყვას „სულელური“) საქციელი იყო 2011 წლის აგვისტოში იმის გამოცხადება, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი უნდა გადადგეს, თუკი მისი დამხობისთვის, უკიდურეს შემთხვევაში, ზუსტი გეგმა მაინც არ არსებობდა.



# ობამას ულიმღამო საგარეო პოლიტიკა

**„საკმარისია სისულელეების კეთება!“ — ასეთია მოკლედ პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკა, რომელიც თეთრი სახლის ექსპერტებმა შეიმუშავეს და თავად პრეზიდენტმა ობამამ გაახმოვანა ჟურნალისტებთან ბოლოდროინდელი ოფიციალური შეხვედრისას, რომელიც აზიისაკენ მფრინავი საპრეზიდენტო თვითმფრინავის ბორტზე გაიმართა. ამბობენ, რომ ობამამ რეპორტიორებს მასთან დაკავშირებით ამ ფრაზის სკანდირებაც კი სთხოვა.**

უხეში და უაზრო ფრაზა არ შეიძლება სახელმწიფოს მართვის ხელოვნების შემცვლელად იქცეს და ადმინისტრაციის ქმედებები — უფრო სწორად კი ხშირი უმოქმედობა — ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

ბატონი ობამას მხრიდან ძალზე არაშორსმჭვრეტელური (მოდით, ნუ გამოვიყენებთ სიტყვას „სულელური“) საქციელი იყო 2011 წლის აგვისტოში იმის გამოცხადება, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი უნდა გადადგეს, თუკი მისი დამხობისთვის, უკიდურეს შემთხვევაში, ზუსტი გეგმა მაინც არ არსებობდა. ერთი წლის შემდეგ, ისევ აგვისტოში, ობამამ განაცხადა, რომ ბაშარ ასადი გადაკვეთდა „წითელ ზოლს“, თუკი ქიმიურ იარაღს გამოიყენებდა. და როდესაც ასადმა სწორედ ის გააკეთა, რის შესახებაც აფრთხილებდა ამერიკის პრეზიდენტი, ობამას ამაზე არანაირი ქმედითი რეაგირება არ მოუხდენია. დღეს ბაშარ ასადს გაცილებით მყარი პოზიციები აქვს, ვიდრე ადრე ჰქონდა.

ანალოგიურად არაშორსმჭვრეტელური იყო, როდესაც ობამამ უარი განაცხადა ზომიერი სირიული ოპოზიციისთვის იარაღის მიწოდებაზე 2011 წელს. ახლა, როდესაც ეს ოპოზიცია დასუსტდა და რადიკალური გახდა, ობამამ უეცრად შეიცვალა მიდგომა და გამოაცხადა, რომ განიხილავს მისი შეიარაღების შესაძლებლობას.

2009-2010 წლების ირანის მწვანე რევოლუციისას ბატონი ობამა დადგა მოლებისა და არა იმ ადამიანების მხარეს, რომლებიც ცდილობდნენ, თავისუფლება მოეპოვებინათ. ასევე შეცდომა აღმოჩნდა გადაწყვეტილება, ირანული ბირთვული პროგრამის შეჩერების ბურუსით მოცული დაპირების სანაცვლოდ ამ ქვეყნის წინააღმდეგ სანქციების შესუსტება.

არაშორსმჭვრეტელური გადაწყვეტილება იყო, როდესაც ობამამ დაადგინა ავღანეთის საქმეებში აშშ-ის მონაწილეობის ვადები, მით უფრო, რომ ეს ვადები დიდწილად ნაკარნახევი იყო ამერიკის არჩევნების კალენდრით და არა თავად ავღანეთში არსებული მდგომარეობით. შეცდომა იყო ისიც, რომ ობამამ ერაყიდან ძირითადი ძალების გასვლის შემდეგ იქ ამერიკელი სამხედროების განლაგების შესახებ საკუთარი გეგმის საბოტაჟი მოაწყო და დაიჟინა, რომ ერაყის პარლამენტმა მოიწონა ეს შეთანხმება. ამ გადაწყვეტილებამ შედეგად მოიტანა აშშ-ის პოზიციების შესუსტება და ირანის გავლენის ზრდა. ახლა „ალ ქაიდა“ იმარჯვებს.

შეცდომა იყო ისრაელის პრემიერის შეურაცხყოფა და ვარაუდი, რომ ისრაელზე ზეწოლა გაზრდიდა პალესტინელებთან მშვიდობიანი შეთანხმების გაფორმების შანსს.

**ეგვიპტეში 2011 წლის რევოლუციის დროს ობამამ მოახერხა, ხელი ეკრა და მოეშორებინა კონფლიქტის ყველა მხარე — ჰოსნი მუბარაქიდან დაწყებული, მათით დამთავრებული, ვინც ჩამოაგდო კიდეც იგი. ობამამ მხარი დაუჭირა მუამარ კადაფის ჩამოსაგდებად მიმართულ სამხედრო კამპანიას, შემდეგ კი განზე გადგა და ლიბიას ქაოსში ჩაძირვის საშუალება მისცა.**

პრეზიდენტმა პასუხისმგებლობა არ დააკისრა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის არც ერთ წარმომადგენელს იმის გამო, რომ მათ ვერ მოახერხეს, 2012 წელს ბენღაზში ამერიკული დიპლომატიური სამსახურებისთვის სათანადო უსაფრთხოება უზრუნველეყოთ. შეცდომა იყო ყველაფერში ტერორისტული აქტების ორგანიზატორთა დადანაშაულება იმ ვიდეორგოლში, რომელიც ცოტა ვინმეს თუ უნახავს.

ობამამ რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვა“ ისე დაიწყო, რომ არ გააჩნდა არანაირი ნათელი სტრატეგიული კონცეფცია და ეგონა, რომ რუსეთის კეთილგანწყობას მოიპოვებდა. მან 2009 წელს ცალმხრივ რეჟიმში გააუქმა გადაწყვეტილება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსების ჩეხეთსა და პოლონეთში განთავსების შესახებ, რითაც ხელი ჰკრა საკუთარ მოკავშირეებს და სანაცვლოდაც ვერაფერი მიიღო.

განცხადება აზიისკენ შემობრუნების შესახებ იმის დასტურის გარეშე, რომ ამერიკა ნამდვილად ფლობდა ამ შემობრუნებისთვის საჭირო სიმძლავრეებს, ასევე შეცდომად იქცა. აშშ-მა ასევე შეურაცხყოფა მიაყენა კანადას, როდესაც გაზსადენ „Keystone XL“-ის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება გადადო, იგნორირება გაუკეთა საკუთარ ნახევარსფეროს და ამით კასტროსა და ჩავესის მსგავს მოწინააღმდეგეებს ვაკუუმის შევსების საშუალება მისცა.

ძალზე სადავოა თალიბანის ხუთი მაღალი რანგის მეთაურის ერთ ამერიკელ ჯარისკაცზე გადაცვლის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა იმის მიუხედავად, რომ წინათ საპრეზიდენტო კომისიამ უამრავჯერ განაცხადა — თალიბანის წევრების გაშვება დაუშვებელია. დიდი შეცდომა იყო ეს გაცვლითი ტრაბახი როუზ-გარდენში გამართულ ცერემონიაზე — აშშ-ს გააჩნდა სათანადო მტკიცებულებები ეჭვისთვის, რომ ჯარისკაცი, უბრალოდ, დეზერტირი იყო.

ყველაზე ირონიული ისაა, რომ პრეზიდენტსა და მის თანაშემწეებს, როგორც ჩანს, არ ესმით, რომ საკუთარი საგარეო პოლიტიკის აღწერისთვის მათ მიერვე შერჩეული ფრაზა ამ საგარეო პოლიტიკის საბრალდებო დასკვნად იქცა. როგორც ერთხელ დიდმა ფილოსოფოსმა ფორესტ გამპმა აღნიშნა, „სულელია ის, ვინც სულელურად იქცევა“.

**კარლ როუვი,**
**ყოფილი უფროსი მრჩეველი და ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილე უმცროსი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში**
The Wall Street Journal

**ეგვიპტეში 2011 წლის რევოლუციის დროს ობამამ მოახერხა, ხელი ეკრა და მოეშორებინა კონფლიქტის ყველა მხარე — ჰოსნი მუბარაქიდან დაწყებული, მათით დამთავრებული, ვინც ჩამოაგდო კიდეც იგი. ობამამ მხარი დაუჭირა მუამარ კადაფის ჩამოსაგდებად მიმართულ სამხედრო კამპანიას, შემდეგ კი განზე გადგა და ლიბიას ქაოსში ჩაძირვის საშუალება მისცა.**

# კრევეტები და თანამედროვე მონობა



**ამჟამად დაახლოებით 21 მილიონ ქალს, კაცსა და ბავშვს ნამდვილი მონობის უღელში ხდიან სულს. „Guardian“-ის ახალ გამოძიებაში საუბარია იმაზე, რომ ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ჩადენილი ეს მძიმე დანაშაული გახდა ევროპისა და აშშ-ის უმსხვილეს საცალო ქსელებში კრევეტების მიწოდების გლობალური ქსელის განუყოფელი ნაწილი.**



სამხრეთ აზიის კრევეტული ინდუსტრიის მიმართ სერიოზული ბრალდებები ადრეც ისმოდა, მაგრამ „Guardian“-ის რეპორტიორები ირწმუნებიან, რომ ექვსთვიანი გამოძიების პერიოდში მათ წარმოების მთელი ჯაჭვი გაიარეს. ის იწყება თევზსაჭერ გემებსა და მსოფლიოში კრევეტების უმსხვილეს მიმწოდებელ ტაილანდურ კომპანია „Charoen Pokphand (CP) Foods“-ს შორის შეთანხმებით. ამ გემებზე მონების შრომას იყენებენ. თევზის ფქვილის ნაწილი, რომლითაც ეს კომპანია კრევეტებს კვებავს, ზემოხსენებული გემებიდან მოდის და კომპანიის წარმომადგენლებმა ეს დაადასტურეს. შემდეგ ეს კრევეტები იყიდება საკვები პროდუქტების ისეთ მწარმოებლებსა და საცალო ქსელებზე, როგორებიც არის „Wal-Mart“, „Carrefour“, „Costco“ და „Tesco“. „Anti-Slavery International“-ის დირექტორმა ეიდენ მაკკუეიდმა ეს ჯაჭვი ისე გაამარტივა, რომ გამოვიდა ფორმულირება: „თუ თქვენ ტაილანდურ კრევეტებს ყიდულობთ, თქვენ მონური შრომის პროდუქციის მყიდველი ხართ“.

„Guardian“-ის ანგარიშში აღწერილი დეტალები შემაძრწუნებელია. ადამიანები, რომელთაც „Charoen Pokphand (CP) Foods“-ის ან სხვა მსგავსი კომპანიებისთვის პროდუქციის მიმწოდებელი გემებიდან გაქცევა მოახერხეს, ყვებიან 20-საათიანი სამუშაო გრაფიკის, მუდმივი ცემა-ტყეპის, წამებისა და მკვლელობების შესახებ. ზოგიერთებმა ამ გემებზე რამდენიმე წელი გაატარეს. იმისათვის, რომ მონების შრომისუნარიანობა შენარჩუნებულ იქნეს, მათ მეტამფიტამინს აძლევდნენ. ზოგიერთი მონა სხვათა მკვლელობების მოწმე გახდა.

**«ჯაჭვები მეკეთა, არავინ ზრუნავდა იმაზე, რომ თუნდაც რაიმე გვეჭამა. ისინი ცხოველებივით გვყიდდნენ»**

**„ვფიქრობდი, რომ მალე მოვკვდებოდი,** — ყვება კამბოჯელი ყოფილი ბერი, სახელად ვუტი, რომელიც კაპიტნებს შორის არაერთხელ გაიყიდა. — **ჯაჭვები მეკეთა, არავინ ზრუნავდა იმაზე, რომ თუნდაც რაიმე საკვები მოეცა... ისინი ცხოველებივით გვყიდდნენ, მაგრამ ჩვენ ცხოველები არ ვართ, ჩვენ ადამიანები ვართ“.**

**«ყველა გემზე ყველა მონა ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი იყო. ჩვენ იმდენად ბევრნი ვიყავით, რომ დათვლა, უბრალოდ, შეუძლებელია»**

კიდევ ერთ ადამიანი, რომელიც ადამიანებით ვაჭრობის მოწმე გახდა, ირწმუნება, რომ საკუთარი თვალით ნახა 20 ადამიანის მკვლელობა. ერთ-ერთი მათგანი ხელებითა და ფეხებით ოთხი გემის ცხვირებზე გამოაბეს და ზღვაში ნაწილებად გაგლიჯეს.

**„გვცემდნენ მაშინაც კი, როდესაც გულმოდგინედ ვშრომობდით,** — ამბობს კიდევ ერთი გამოქცეული. — **ყველა გემზე ყველა მონა ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი იყო. ჩვენ იმდენად ბევრნი ვიყავით, რომ დათვლა, უბრალოდ, შეუძლებელია“...**

ამ ბიზნესთან დაკავშირებული იმ კომპანიების წარმომადგენლები, რომლებთანაც ჟურნალისტებმა მოახერხეს დაკავშირება, განიკითხავდნენ მონური შრომის გამოყენებას. ზოგიერთმა მათგანმა ისიც კი ბრძანა, რომ მათთვის ცნობილია ამ პრობლემის შესახებ. მაგალითად, „Charoen Pokphand (CP) Foods“-ის ბრიტანული ფილიალის მმართველის — **ბობ მილერის** თქმით, მათ იციან, რომ ამგვარი პრობლემები არსებობს, მაგრამ არ იციან პრობლემის მასშტაბების შესახებ.

Salon

დასავლეთსა და აშშ-ს შეუძლიათ სანქციები გამოიყენონ რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ ახერხებენ, ასევე მოექცნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რადგან ჩინეთის ხელშია ამერიკის სახელმწიფო ვალის უდიდესი ნაწილი. ამის აღიარება, მართალია, სასიამოვნო არ არის, მაგრამ რეალობაა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩინური ექსპანსია და დასავლეთის უძლურება

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა განაგრძობს მტრულ ქმედებებს — გზავნის ახალ სამხედრო, სადარაჯო და სატრანსპორტო გემებს, ნავებს რაკეტების გასაშვები დანადგარებით და სამხედრო თვითმფრინავებს. გარდა ამისა, ჩინურმა გემებმა ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში ჩაძირეს მეთევზეთა ნავი ათი მეთევზით და დაცხრილეს ვიეტნამური სადარაჯო გემი**

**გამაოგნებელია ევროპელებისა და ამერიკელების სამარისებური დუმილი წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში ჩინეთის აგრესიის ესკალაციაზე. ევროკავშირის მიმართ, სავარაუდოა, პრობლემის სრული გაუგებრობა. ბოლოს და ბოლოს, საუბარია საკმაოდ დაშორებულ გეოგრაფიულ ოლქზე, რომელიც თითქმის არ ეხება ევროპულ ინტერესებს, თუმცა მთლად ასეც არ არის. სულ სხვა საკითხია აშშ, რომელიც სწორედ ამ ადგილს მიიჩნევდა მუდამ უმნიშვნელოვანესად და მას საკუთარი საგარეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში მოიაზრებდა.**



ჩინეთის ხელმძღვანელობა პრეტენზიებს აცხადებს „საკუთარ ზღვაზე“ და განუწყვეტლივ აწყობს ინციდენტებს მეზობელ ქვეყნებთან (ვიეტნამი და ფილიპინები), რომელმაც უკვე განაპირობა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი.

მედიასაშუალებებს არ გაუხმაურებიათ ცნობა იმის თაობაზე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის მუდმივმა წარმომადგენელმა გენერალური მდივნის — პან გი მუნის შუამდგომლობით მორიგი დიპლომატიური ნოტა გადასცა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ამ ნოტაში გამოხატულია პროტესტი ჩინეთის უკანონო ქმედებების გამო, რომელმაც, როგორც ცნობილია, დააყენა სანავთობე პლატფორმა „Haiyang Shiyou-981“ სამხრეთჩინური ზრვის წყლებში, რომლებზეც ვიეტნამიც აცხადებს პრეტენზიას. ამის შემდგომ ნოტაში ნათქვამია, რომ ჩინეთის მიერ პლატფორმის დაყენება თანმდევი გემებით წარმოადგენს ვიეტნამის სუვერენული უფლებების უხეშ და მუდმივ დარღვევას; არღვევს ვიეტნამის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის იურისდიქციას, რომელიც განსაზღვრული იქნა გაეროს კონვენციით საზღვაო უფლებების შესახებ 1982 წელს. გარდა ამისა, ჩინეთის ქმედებები ეწინააღმდეგება მის მიერ ვიეტნამთან ხელმოწერილ შეთანხმებას ძირითადი პრინციპების შესახებ, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საზღვაო წყლებთან დაკავშირებით დავების წარმოშობისას. ჩინეთის ქმედება სერიოზულად აზარალებს პოლიტიკურ ნდობას ორ ქვეყანას შორის.

ვიეტნამელები ხაზს უსვამენ აუცილებლობას, მიმართონ ყველა საჭირო ზომას ჩინეთთან დიალოგის საწარმოებლად ყველა დონეზე და სხვადასხვა საშუალებით. ვიეტნამი დაჟინებით ითხოვს, რომ ჩინეთმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ქმედებები, რომლებიც მის სუვერენულ უფლებებს არღვევს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა განაგრძობს მტრულ ქმედებებს — გზავნის ახალ სამხედრო, სადარაჯო და სატრანსპორტო გემებს, ნავებს რაკეტების გასაშვები დანადგარებით და სამხედრო თვითმფრინავებს. გარდა ამისა, ჩინურმა გემებმა ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში ჩაძირეს მეთევზეთა ნავი ათი მეთევზით და დაცხრილეს ვიეტნამური სადარაჯო გემი.**

ანალოგიური მდგომარეობაა ჩრდილოეთითაც. სანკაკუს კუნძულებთან დაკავშირებით იაპონიის პროტესტს საერთაშორისო ორგანიზაციებში გამოძახილი არ მოჰყოლია. მხოლოდ აშშ-ის ადმინისტრაციის ნოტაში აღინიშნა, რომ ჩინეთი აჭარბებს თავის უფლებამოსილებას. პრაქტიკაში კი პეკინი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე განაგრძობს გამოუცხადებელ ექსპანსიას. იაპონიის პრემიერმინისტრი სინდზო აბე ცდილობს, მხარდაჭერა ევროპაში ჰპოვოს. ახლახან იგი რომში იმყოფებოდა და ამ ვიზიტის შემდეგ გავრცელდა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია რეგიონული მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნება, წამოჭრილი დავების მშვიდობიანი გზით გადაჭრა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

ეს ძალიან ცოტაა. ორ ევროპულ დედაქალაქში აბემ მეტს ვერაფერს მიაღწია. იაპონია, ჩრდილოეთ კორეა, ტაივანი და ფილიპინები ამერიკული „ფარის“ ქვეშ არიან, მაგრამ ბევრს ამ მფარველობის ეფექტურობაში უკვე ეჭვი ეპარება.

**დასავლეთსა და აშშ-ს შეუძლიათ სანქციები გამოიყენონ რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ ახერხებენ, ასევე მოექცნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რადგან ჩინეთის ხელშია ამერიკის სახელმწიფო ვალის უდიდესი ნაწილი. ამის აღიარება, მართალია, სასიამოვნო არ არის, მაგრამ რეალობაა.**

ეს კი იმას ნიშნავს, რომ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები უნდა შეეგუონ ჩინური სამხედრო თვითმფრინავებისა და გემების უზოდიშო და მოურიდებელ ნავარდს მათ ცასა თუ წყლებში. იაპონია ამას ჯერ ვერ შეეგუა, მაგრამ უცნობია, როდემდე განაგრძობს წინააღმდეგობას, რადგან პაციფისტური კონსტიტუცია, რომელიც 1945 წელს მოახვიეს თავს, მხოლოდ „თავდაცვის“ მოკრძალებული ძალების ყოლის შესაძლებლობას აძლევს. ამ ყველაფრის პარალელურად ჩინეთის თავხედობა დღითიდღე მატულობს, დასავლეთი კი უბრალო დამკვირვებლის როლს არ თმობს.

**LSBlog**

# სირიელი ქრისტიანები იარაღს იღებენ



**მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ქვეყნის სამხედრო აკადემიაში განაცხადა, რომ აშშ-ს უარი არ უთქვამს ბაშარ ასადის ჩამოგდების განზრახვაზე და მზად არის, შეუდგეს სირიის „ზომიერი“ ამბოხებულების მომზადებას, გაჩნდა ახალი ცნობა, რომელიც კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ახლო აღმოსავლეთში ამერიკის პოლიტიკას.**



ამ დრომდე სირიაში არ არსებობდა შეიარაღებული ქრისტიანული მილიცია. ახლა, როგორც ჩანს, ის უკვე გაჩნდა და ძლიერდება კიდეც. შესაძლოა, ვინმეს ახსოვს მაალულუში გამართული ბრძოლა. ეს არის პატარა ქალაქი დამასკოდან 56 კილომეტრის დაშორებით და გაშენებულია კილომეტრ-ნახევარი სიმაღლის მთის ძირში. იქ მხოლოდ ქრისტიანები ცხოვრობენ და იესო ქრისტეს ენაზე მეტყველებენ.

ქალაქში მდებარეობს ორი მონასტერი — მარ სარქისი და მარ ტაკლა. მარ ტაკლაში ინახება ან უმჯობესია ითქვას, რომ ინახებოდა ქრისტიანი წმინდანის — ფეკლას რელიქვიები. სირიის რეჟიმი არასდროს უქმნიდა პრობლემებს ადგილობრივ ქრისტიანულ თემებს და მათ აღმსარებლობისა და მომლოცველობის თავისუფლების გარანტიებს უქმნიდა.

2013 წლის სექტემბერში „ალ ქაიდას“ სირიული ქვეგანყოფილების — ან-ნუსრას ბრიგადებმა მოახერხეს ქალაქის აღება და მისი პრაქტიკულად განადგურება. ეკლესია-მონასტრები შებილწეს, ხატები დაწვეს, მონაზვნები გაიტაცეს, მრავალი ღვთისმსახური კი მოკლეს. წმიდა რელიქვიები განადგურდა.

რეგულარულმა ჯარებმა მაალულუ ოქტომბრის ბოლოს აიღეს, შემდეგ კი კვლავ მიატოვეს ფუნდამენტალისტების სამხედრო ზეწოლის გამო. რამდენიმე თვის წინათ ასადის ჯარისკაცებმა კვლავ აიღეს დასახლება. ამჟამად ფრონტი დასტაბილურებულია.

**ამასობაში ქრისტიანებმა, რომელთაც ადრე არასდროს დასჭირვებიათ იარაღის გამოყენება, რეგულარული არმიის დასახმარებლად მილიციის რაზმები ჩამოაყალიბეს. მათ კალაშნიკოვის ავტომატები აიღეს ხელში და დაიფიცეს, რომ იბრძოლებენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, მაგრამ არ დაუშვებენ, რომ „ალ ქაიდას“ ბოევიკებმა კვლავ გაანადგურონ სახლები და შეურაცხყონ ქრისტიანული სიწმინდეები.**

უნდა აღინიშნოს, რომ გატაცებული მონაზვნები, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში ჰყავდათ დატყვევებული, მოგვიანებით დამასკოს ციხეში მყოფ რამდენიმე ქალზე გადაცვალეს. გასაოცარი არ არის ის ფაქტი, რომ გაცვლა განხორციელდა ყატარის შუამდგომლობით, ყატარისა, რომელიც საუდის არაბეთთან ერთად აფინანსებს სირიის ისლამისტ ფუნდამენტალისტებს.

პრობლემა ის არის, რომ ყატარი და საუდის არაბეთი ამერიკელების მოკავშირეები არიან და ეს ხსნის აშშ-ის პოლიტიკის არათანმიმდევრულობას ახლო აღმოსავლეთში. როგორც ჩანს, ობამას სურს, მეგობრებს შეუწყოს ხელი და საუბრობს გამოგონილ ზომიერ ამბოხებულებზე, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ამბოხის დასაწყისში ასეთები მართლაც არსებობდნენ, მაგრამ შემდგომ ისინი განდევნეს ძალებმა, რომლებიც, ერთი მხრივ, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ისლამისტ ექსტრემისტებთან; მეორე მხრივ კი, აშშ-ის მხრიდან უხვი დაფინანსების იმედი აქვთ, რადგან ოფიციალურად პროდასავლურ, ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სტატუსს ინარჩუნებენ.

მათთვის, ვინც იცის, თუ სად, როგორ და ვისი ეკონომიკური თუ სამხედრო დახმარებით ჩამოყალიბდა „ალ ქაიდა“, ამგვარი ფაქტები სიახლეს არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, გამაოგნებელია ამერიკელთა სიბრმავე შექმნილი სიტუაციის მიმართ. ბუნებაში არ არსებობენ „ზომიერი“ ამბოხებულები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდა ვინმე. ასადის დამარცხების შემდეგ ფუნდამენტალიზმი გაიმარჯვებს ყველა მისგან გამომდინარე შედეგით.

ხშირად ამბობენ, რომ აშშ სირიასთან დაკავშირებით თავის საგარეო პოლიტიკის სისწორეში, ისევე, როგორც სხვაგან, არ არის დარწმუნებული. მაგრამ ეს ძალიან მსუბუქადაა ნათქვამი, სინამდვილეში ობამას სახით მსოფლიოს წინაშე დგას პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია, რომელმაც არ იცის, რა სურს და იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც იცის, ხშირად არასწორ გადაწყვეტილებას იღებს.

**LSBlog**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მიხაელ შუმახერი კომიდან გამოვიდა

**„ფორმულა -1“-ის შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი კომიდან გამოვიდა და საფრანგეთის ქალაქ გრენბოლის საავადმყოფო დატოვა.** „მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომლებიც მიხაელს ამ ხნის განმავლობაში კეთილი სურვილებით სავსე წერილებს უგზავნიდა. ეს მას ძალიან დაეხმარა. მისი მომავალი რეაბილიტაცია საზოგადოების მონაწილეობის გარეშე წარიმართება“, — ნათქვამია მიხაელ შუმახერის ოჯახის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. გერმანელმა პილოტმა უმძიმესი ტრავმა საფრანგეთის ალპებში თხილამურებით სრიალისას გასული წლის 29 დეკემბერს მიიღო. მიხაელ შუმახერმა 19-წლიანი კარიერა 2012 წელს დაასრულა.



# კაპიტალის სიდიდით ჩინეთი მსოფლიოში მეორეა

**რამდენიმე დღის წინათ კომპანიამ „The Boston Consulting Group“ (BCG, ბოსტონის კონსალტინგური ჯგუფი) გამოაქვეყნა „ანგარიში მსოფლიო სიმდიდრის შესახებ 2014“. მასში აღნიშნულია, რომ 2013 წელს ჩინეთმა პირადი დანაზოგების მოცულობით პირველობა მხოლოდ აშშ-ს დაუთმო.**

როგორც ანგარიშში იუწყებიან, 2013 წელს მსოფლიო კერძო კაპიტალი 14,6%-ით გაიზარდა და 152 ამერიკული დოლარი შეადგინა. ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე 2012 წლის 8,7%-იანი ზრდა. აზია-წყნარი ოკეანის მასშტაბით (გარდა იაპონიისა), კერძო კაპიტალი 31%-ით გაიზარდა და 37 ტრილიონ დოლარს მიაღწია.

აზია-წყნარი ოკეანისა და ჩინეთის სიმდიდრის ზრდა ერთმანეთისგან განუყოფელია. შარშან ჩინეთში კერძო კაპიტალის ზრდის მასშტაბებმა 49,2% შეადგინა და 22 ტრილიონ ამერიკულ დოლარს მიაღწია, ეს კი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ ამერიკის მაჩვენებელს ჩამოუვარდება. მომდევნო ადგილებზე არიან იაპონია, დიდი ბრიტანეთი და გერმანია.

მოცემულ ანგარიშში მოყვანილია კერძო სიმდიდრის სტატისტიკა, მათ შორის იგულისხმება ფულადი სახსრები, დეპოზიტები, აქციები და სხვა აქტივები, მასში არ შედის უძრავი ქონება, ფუფუნების საგნები და საწარმოთა აქციები.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, მათ შორის აშშ-ისგანაც, სადაც კერძო კაპიტალის ზრდის ძირითადი მიზეზი საფონდო ბაზრის აღმასვლაა, ჩინეთში მდიდარი ადამიანების შენატანი საფონდო ბაზრებზე 6,8%-ით შემცირდა.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ჩინეთში ადამიანების სიმდიდრის ზრდის მიზეზია სხვადასხვა სპეციალიზებული ფინანსური პროდუქტი, 2013 წელს მიზნობრივ პროდუქციაში ინვესტირების მასშტაბები 82%-ით გაიზარდა.

**ბოსტონის კონსალტინგური ჯგუფის პროგნოზების თანახმად, 2018 წლისთვის ჩინეთში კერძო კაპიტალი 22 ტრილიონი დოლარიდან 40 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება და ნამატი 80%-ს შეადგენს.**

ზოგადად, მსოფლიოში შარშან ეკონომიკური უთანასწორობა იმდენად გაიზარდა, რომ პლანეტის 85 უმდიდრესი ადამიანის ქონება 3,5 მილიარდი ჩვეულებრივი ადამიანის ქონებას გაუტოლდა.

**უთანასწორობის ზრდა გახდა ეკონომიკური ელიტის მხრიდან ხელისუფლების მითვისების შედეგი, ვინაიდან ამ ელიტას შესაძლებლობა აქვს, ხელისუფლებებზე ზეწოლა მოახდინოს მისთვის მომგებიანი პოლიტიკის გატარების მისაღწევად.**

fbii.org

# «თქვენ, ქალბატონო მერკელ, გაყიდეთ უკრაინელი ხალხი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ოლიგარქების ძალაუფლებისა და კორუფციის წინააღმდეგ გამოდიოდა! დღეს კი მხარს უჭერთ მთავრობას, რომლის 4 მინისტრი ნაციონალისტური პარტიის წევრია!»




გერმანიის პარლამენტის დეპუტატი მრისხანე სიტყვით გამოვიდა ანგელა მერკელის მთავრობის მცდარი და დანაშაულებრივი უკრაინული პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ ევროპული ოპოზიცია მხარს არ უჭერს რუსეთის იზოლაციას, უფრთხის აშშ-ს და გმობს კიევის ამჟამინდელ რეჟიმს ოლიგარქ პოროშენკოთი სათავეში.

ბუნდესტაგის დეპუტატმა მიმართა ყველა გერმანელ პოლიტიკოსს.

**„უკრაინაში ევროპამ უკვე განიცადა მარცხი. ქვეყანა სამოქალაქო ომის სისხლიან მორევში იხრჩობა“,** — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა პოლიტიკოსმა.

**„როგორ საამურად ჟღერდა ლამაზი დაპირებები, რომლებიც თქვენ, ქალბატონო მერკელ, უკრაინას რამდენიმე თვის წინ მიეცით. დღეს კი მხარს უჭერთ მთავრობას, რომლის 4 მინისტრი ნაციონალისტურ პარტიას მიეკუთვნება. ეს პარტია კი ებრაელებისა და რუსების წინააღმდეგ გამოდის. თქვენ მხარს უჭერთ მთავრობას, რომელმაც გააღვივა ეს კონფლიქტი და ომს აწარმოებს თავისი ხალხის წინააღმდეგ. თქვენ მხარს უჭერთ პრეზიდენტს, რომელმაც საარჩევნო კამპანია ნაქურდალი ფულებით წარმართა. ოლიგარქს, რომელიც არაფრით ჯობია იანუკოვიჩს.**

**რომ არ შეგრცხვეთ, საზოგადოებას ატყუებთ იმის თაობაზე, რაც სინამდვილეშ ხდება უკრაინაში. ჩქმალავთ, რომ მდიდარი უკრაინელი ოლიგარქები, თალიბების მეთაურთა მსგავსად, ქმნიან კერძო არმიებს და ქვეყანას ძარცვავენ. მალავთ, რომ მემარჯვენე სექტორის მებრძოლთა შეიარაღებული ჯგუფები დღემდე მაიდანზე არიან და რომ ხელისუფლებამ ნაცისტური დაჯგუფებების ნაცვლად კომუნისტური პარტია აკრძალა.**

**400 მშვიდობიანი მცხოვრების მკვლელობა ოდესაში, რომლებიც ცოცხლად დაწვეს, რუსული პროპაგანდა კი არა, მწარე რეალობაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თქვენ მიერ დახატული ევროპული უკრიანის სურათთან. თქვენ, ქალბატონო მერკელ, უკრაინელ ხალხს უღალატეთ, რომელიც რამდენიმე თვის წინ ოლიგარქების ხელისუფლებისა და კორუფციის წინააღმდეგ გამოდიოდა“,** — განაცხადა დეპუტატმა.

# SUNDAY TIMES-ის რეპორტიორის მონათხრობმა უკრაინელები შოკში ჩააგდო

**უკრაინის ნაციონალური ტელევიზიის ეთერში გამოსვლისას ბრიტანული გამოცემა Sunday Times ჟურნალისტმა მარკ ფრანკეტიმ უკრაინის აღმოსავლეთში (სადაც ის ამჟამად იმყოფება) მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა.**



ფრანკეტიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არავის პოზიციას არ იცავს და რომელიმე მხარეს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი დაკვირვებით, უკრაინის აღმოსავლეთის დამცველთა სახალხო ლაშქარში ჩვეულებრივი ადამიანები არიან გაერთიანებულნი, ძირითადად, უკრაინელები, რომლებსაც არც საბრძოლო გამოცდილება აქვთ და არც თანამედროვე იარაღი.

„მე ვილაპარაკებ მხოლოდ იმაზე, რაც საკუთარი თვალით ვნახე. შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ ისინი ტერორისტები არიან, შეიძლება ითქვას, რომ მათ იარაღს რუსეთი აწვდის, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს ასე არ არის!

თუმცა ბატალიონ „ვოსტოვის“ წევრები კარგად არიან შეიარაღებულნი და მათ შორის არიან რუსებიც. ისინი არიან რიგითი მოქალაქეები, რომლებმაც ხელში იარაღი აიღეს და დარწმუნებულნი არიან, რომ თავიანთ სახლებს ფაშისტებისგან იცავენ. ჩემთვის აბსოლუტურად ნათელია, რომ მოსკოვი მათ დახმარებას არ აპირებს, მხედველობაში მაქვს ფულის ნაკადით, იარაღითა და მოხალისეებით დახმარება“, — განაცხადა პირდაპირ ეთერში მარკ ფრანკეტიმ, რომლის მონათხრობმაც სტუდიაში და მის გარეთ მყოფი მაყურებელი შოკში ჩააგდო.



# კალიფორნიის საწამებელი ციხეები

**კალიფორნიის პენიტენციარული სისტემა სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ 2006-დან 2010 წლამდე პერიოდში შტატის ხელისუფლების აუცილებელი ნებართვის გარეშე სტერილიზება ჩაუტარდა დაახლოებით 150 პატიმარ ქალს.**

ეს ერთადერთი სკანდალი არ არის. ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია კიდევ ერთმა ფაქტმა, რომელიც ციხის ფოსტაზე ცენზურის დაწესების წინადადებას ეხება. ბევრი შიშობს, რომ ეს პატიმრებს წაართმევს შესაძლებლობას, ვინმეს გაუმხილონ იმ სასტიკი მოპყრობის შესახებ, რომლის მსხვერპლნიც ციხეებში ხდებიან.

აშშ-ის ოქროს შტატს ყველაზე დიდი პენიტენციარული სისტემა აქვს. ციხეებში ზოგიერთი პატიმარი სერიოზული დანაშაულებისთვის იხდის სასჯელს და მრავალი მათგანი მკაცრ პირობებშია. ათასობით ადამიანი იზოლაციაშია რამდენიმე წლის ან ათწლეულების მანძილზეც კი საამისოდ განკუთვნილ სპეციალურ შენობებში. თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში პატიმრები გამოკეტილნი არიან 2,5 მეტრი სიგრძისა და 3 მეტრი სიგანის უფანჯრო ბეტონის კამერაში. საკვებს მათ კარში დატანებული ჭრილიდან აწვდიან. მათთვის კუთვნილი ერთსაათიანი გასეირნება, როგორც წესი, შემოიფარგლება ხელბორკილებითა და ჯაჭვებით სხვა ცარიელ კამერაში სიარულით.

როგორც წესი, ამ ადამიანებს ეკრძალებათ სატელეფონო ზარები და პაემნები ტიხრების გარეშე. კალიფორნიის ციხეების ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ისინი არ არიან მარტოობამისჯილი პატიმრები, მაგრამ უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმოადგენლები ამ ციხეებში პატიმართა ყოფას პირდაპირ უთანაბრებენ წამებას.

**„კალიფორნიის ციხეებში არსებული პირობები, პატიმართა მარტო გამოკეტვა ადამიანის უფლებების სფეროში ნორმების უმეტესობას არღვევს. ვინმეს დატოვება სრულ იზოლაციაში 15 დღეზე მეტი დროით სისასტიკეა, ეს ადამიანის წამებაა“,** — ამბობს „Critical Resistance“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი ისააკ ონტივეროსი.

2013 წლის ივლისში ასეთ კამერებში კალიფორნიაში 3,6 ათასი ადამიანი იყო გამოკეტილი, 106-მა ტუსაღმა სრულ იზოლაციაში 15 წელი გაატარა, 23-მა კი — 25 წელი.

2013 წელს დაახლოებით 30 ათასი მსჯავრდებული ორი თვე შიმშილობდა იმ მოთხოვნით, რომ იზოლირებულ კამერებში გამოკეტვის წესები შეცვლილიყო და ამ კამერებიდან გასვლის რაიმე საშუალება მაინც გაჩენილიყო. მართალია, კალიფორნია ამ მიმართულებით რეფორმების საჭიროებაზე საუბრობს, მაგრამ აშშ-ს უკვე დაუმკვიდრდა იმ ქვეყნის რეპუტაცია, რომელიც პატიმრებს სასტიკად ექცევა, როგორც საკუთარი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ისევე მის ფარგლებს გარეთაც.

fbii.org

2010 წელს ობამამ აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის უკვე გააუქმა კანონი „არ იკითხო, არ ილაპარაკო“, რომელიც 1993 წელს მიიღეს. ეს კანონი სამხედრო სამსახურის გავლას უკრძალავდა ჰომოსექსუალებსა და ლესბოსელებს, რომლებიც არ მალავდნენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# რესპუბლიკელებმა სექსუალური უმცირესობების «განკურნება» გადაწყვიტეს

**ამ დროისთვის აშშ-ში არ დარჩა არც ერთი შტატი, რომელშიც არ გაუპროტესტებიათ ერთსქესიანი ქორწინებების აკრძალვა. აშშ-ის კიდევ ერთ შტატში, სადაც აკრძალულია ერთსქესიანი ქორწინებები, სასამართლოში შევიდა სარჩელი, რომელიც ირწმუნება, რომ ეს აკრძალვა ანტიკონსტიტუციურია. შტატების სიას ბოლოს ჩრდილოეთ დაკოტა მიემატა...**

**აშშ-ში რესპუბლიკელებმა პარტიულ ყრილობაზე გამოაცხადეს, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა განკურნებას აპირებენ ფსიქოლოგიური თერაპიის გზით. მედიკები, ცხადია, უარყოფენ ამ წინადადებას და ამგვარი თერაპიის სახიფათო შედეგებზე საუბრობენ.**



ტეხასელი რესპუბლიკელების ამ ინიციატივას, ცხადია, მკაცრი კრიტიკა მოჰყვა. პარტიის დაახლოებით 10 ათასმა წევრმა აღნიშნული პუნქტი ფორტ-ერტეს ყოველწლიური ყრილობის პროგრამაში ჩართო.

პროგრამა „აღდგენითი თერაპია და მკურნალობა“ ხასიათდება, როგორც კანონიერი ქმედება და ყველა იმ პაციენტისათვის ეფექტური საშუალება, რომლებიც „განკურნებისკენ“ მიისწრაფის. არც ერთი კანონი და არც ერთი დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თერაპიის აღნიშნული საშუალებისადმი წვდომას, მაგრამ სამედიცინო საზოგადოებაში თერაპია, რომელიც სექსუალური ორიენტაციის შეცვლისკენაა მიმართული, აღიარებული არ არის.

მიიღეს რა ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რესპუბლიკელებმა, პირველ რიგში, პროტესტი გამოხატეს კალიფორნიისა და ნიუ-ჯერსის შტატებში დადგენილი წესების მიმართ. ამ შტატებში ანალოგიური სადავო სახის თერაპიების არასრულწლოვანების მიმართ გამოყენება შარშან მოითხოვეს.

მედიკოსების მთელი რიგი გაერთიანებებისა უკვე გამოვიდნენ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა „კონვერტაციის“ თერაპიის წინააღმდეგ. აღნიშნული ინიციატივა უარყვეს ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე ორიენტირებული ყველა სფეროს წარმომადგენლებმაც.

**ნიუ-ჯერსის გუბერნატორმა კრის კრისტიმ ასევე მოიშველია აშშ-ის ფსიქიატრთა ასოციაციის მონაცემები. როგორც ამ დარგის სპეციალისტები ირწმუნებიან, სექსუალური ორიენტაციის შეცვლისკენ მიმართული ძალისხმევა, შესაძლოა, დეპრესიების, ნარკოტიკებისადმი მიდრეკილების, სოციალური ქცევის დარღვევის, თვითშეფასების დაქვეითების და სუიციდური აზრების საბაბი გახდეს.**

**მეორე მხრივ, ამ დროისთვის აშშ-ში არ დარჩა არც ერთი შტატი, რომელშიც არ გაუპროტესტებიათ ერთსქესიანი ქორწინებების აკრძალვა.**

**აშშ-ის კიდევ ერთ შტატში, სადაც აკრძალულია ერთსქესიანი ქორწინებები, სასამართლოში შევიდა სარჩელი, რომელიც ირწმუნება, რომ ეს აკრძალვა ანტიკონსტიტუციურია. შტატების სიას ბოლოს ჩრდილოეთ დაკოტა შეუერთდა.** ის ბოლო იყო — ამჟამად ანალოგიური აკრძალვა აშშ-ის უკლებლივ ყველა შტატში გასაჩივრებულია. რამდენიმე შტატში გასაჩივრებამ უკვე მოიტანა შედეგი და ერთსქესიანი ქორწინებების აკრძალვა გაუქმდა.

ისეთ კონსერვატორულ შტატებში, როგორიც ტეხასი, იუტა და ოკლაჰომაა, სასამართლო ვერდიქტებთან დაკავშირებით აპელაციები შეიტანეს.

პარალელურად აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა განაცხადა, რომ მზადაა, გადახედოს კანონს, რომლის თანახმადაც სქესის შეცვლის შემდეგ ადამიანებს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მსახურების უფლება არ აქვთ. პენტაგონის მეთაურმა დასძინა, რომ „ყველა კვალიფიციურ ამერიკელს“ უნდა ჰქონდეს საშუალება, ემსახუროს ქვეყანას.

უკვე არაერთი წელია, ამერიკული საზოგადოება აკრიტიკებს სამხედრო მოსამსახურეებს იმის გამო, რომ მათ არ სურთ არმიაში ტრანსექსუალების — სქესშეცვლილი ადამიანების ხილვა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავის მხრივ განაცხადა, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებები მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

**2010 წელს ობამამ აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის უკვე გააუქმა კანონი „არ იკითხო, არ ილაპარაკო“, რომელიც 1993 წელს მიიღეს. ეს კანონი სამხედრო სამსახურის გავლას უკრძალავდა ჰომოსექსუალებსა და ლესბოსელებს, რომლებიც არ მალავდნენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას.**

ამჟამად, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკის თანახმად, არმიასა და ფლოტში არ აჰყავთ პირები, „რომელთაც აღენიშნებათ მნიშვნელოვანი ანომალიები ან გენიტალიების დეფექტები, მათ შორის ადამიანები, რომლებმაც სქესი შეიცვალეს“.

ტელეარხ „ABC“-ს ეთერით გამოსვლისას ამერიკის თავდაცვის უწყების მეთაურმა ჩაკ ჰეიგელმა განაცხადა, რომ შესაძლოა რაიმე შეიცვალოს ტრანსექსუალებისთვის სამხედრო სამსახურის გავლის აკრძალვასთან დაკავშირებით.

**„ტრანსექსუალების საკითხი იმითაა გართულებული, რომ ჩართულია სამედიცინო ასპექტებიც,** — აღნიშნა პენტაგონის მეთაურმა. — **ამ ადამიანებს სპეციალური სამედიცინო მომსახურება ესაჭიროებათ. იმ მკაცრ პირობებში, რომელშიც ჩვენი ჯარისკაცები მსახურობენ, ყოველთვის არ შეგვიძლია ამ დახმარების აღმოჩენა“.**

**თუმცა ჰეიგელმა ისიც ბრძანა, რომ „ღიაა ამ საკითხის გადაფასებისთვის... რადგან „ყველა კვალიფიციურ ამერიკელს, რომელთაც სურთ, ემსახურონ საკუთარ ქვეყანას, უნდა ჰქონდეთ ამის საშუალება, თუ საამისოდ გამოდგებიან“.**

fbii.org

# დემოკრატიის ღირებულება გადამეტებულია

**მაღალი საიმპორტო ბაჟი და მნიშვნელოვანი საექსპორტო დოტაციები საერთო დებულებებს უქმნის საფრთხეს. თავისუფალმა ვაჭრობამ უნდა აღკვეთოს სახელმწიფოების მიერ ესოდენ უგუნური გადაწყვეტილებების მიღება. ეს ქმნის საზღვრებს დემოკრატიისთვის, თუმცა სამართლებრივი სახელმწიფო წინ მიდის.**




თავისუფალი ვაჭრობის იდეა დღეს იმდენად არაპოპულარულია, როგორც არასდროს. **გერმანელები საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებელი გაცვლის გულმხურვალე მომხრეები არასდროს ყოფილან. მაგრამ ახლა თავისუფალი ვაჭრობა ასოცირდება საერთაშორისო (ანუ ამერიკული) კონცერნების მიერ თავისუფლების შეზღუდვასთან,** რადგან ეს უკანასკნელნი მოგებით საკუთარი დაინტერესების გამო კულტურულ თავისებურებებს „ათანაბრებენ“. გავრცელებული აზრის თანახმად, თავისუფალი ვაჭრობა ზიანს აყენებს მოქალაქეების თავისუფლებას, ხელს უწყობს იმ ყველაფრის ჩახშობას, რაც მათთვისაა მნიშვნელოვანი. რეფერენდუმი რომ ჩატარებულიყო, გერმანიაში მოსახლეობის უმეტესობა თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ მისცემდა ხმას.

ამგვარი ნეგატიური განწყობის მიზეზად იქცა ევროკავშირსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის ტრანსატლანტიკური ზონის შექმნის შესახებ მოლაპარაკებები. ყველაზე მკაცრი ბრალდება ისაა, რომ შეთანხმება დიქტატორულ შეზღუდვებს აწესებს დემოკრატიულ თვითგანსაზღვრებაზე. საუბარია შეთანხმებაზე, რომლის გატანასაც ცდილობს საერთაშორისო კაპიტალი ნაციონალური დემოკრატიების საზიანოდ.

ევროკავშირის საბჭოს განცხადებაში აღნიშნულია, რომ შეთანხმება არ უნდა შეიცავდეს ისეთ რამეს, რაც კულტურის სფეროში ევროპის მრავალგვარობას შეზღუდავს. მაგრამ, ნორმალური გაგებით, ეს არც თუ არასწორი არგუმენტია. თავისუფალმა ვაჭრობამ უნდა შეზღუდოს ცალკეული სახელმწიფოების მიერ იმ უგუნური გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც საერთო პრინციპებს დაარღვევს.

**ქვეყნები, რომლებმაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დადეს, დარწმუნდნენ იმაში, რომ საქონლის, მომსახურებებისა და მუშახელის დაუბრკოლებელი გაცვლა საბოლოო ჯამში სარგებელს მოიტანს.** საუბარია არა დემოკრატიული თვითგანსაზღვრების დიქტატორულ შეზღუდვაზე, არამედ დემოკრატიულ თვითშეზღუდვაზე, რომელიც სახელმწიფოთა შორის შეთანხმებულია. ამასთან, იდება პირობა ერთმანეთისთვის ეკონომიკური თავისუფლების მინიჭების შესახებ. ამგვარი შეთანხმებები ქმნის დემოკრატიის საზღვრებს.

არავის უნდა ეშინოდეს, რომ თავისუფალი ვაჭრობა და ინვესტორების დაცვა შექმნის მონოპოლიებს, რომლებიც მოგების წყურვილით ნეგატიურ გავლენას მოახდენენ მომხმარებლებზე. საფრთხე არ არსებობს, ვიდრე ყველა გააცნობიერებს, რომ თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენციის სახელმწიფო რეგულირება ორი განუყოფლად დაკავშირებული ასპექტია. მონოპოლიები და კარტელები ბოროტად იყენებენ საბაზრო ეკონომიკაში შეთანხმებით თავისუფლებას და შეიძლება აიკრძალოს ან დაიშალოს. დემოკრატიას ყველა საშუალება აქვს საიმისოდ, რომ ჩაერიოს თავისუფალი კონკურენციის ინტერესებიდან გამომდინარე და არ დაუშვას თავისუფლების ბოროტად გამოყენება.

**Frankfurter Allgemeine Zeitung**

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დოლარზე შეტევის შეწყვეტის სანაცვლოდ აშშ-მა რუსეთს პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედების კარტბლანში მისცა“. ე.ი. მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომმა მხარეებმა იციან, მათ პურის ნაჭრებს რომელ მხარეს აქვს წასმული კარაქი ან ადევს სახელგანთქმული უკრაინული „სალო“ — ღორის ქონის ნაჭერი.**



# დასავლეთის ფრონტზე ყველაფერი აირია

**დასავლეთის ფრონტის ხაზი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე გადის. პრეზიდენტ ობამას ბოლო დროის გამოსვლები ამ პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ უფრო მეტ შეკითხვას ბადებს, ვიდრე იძლევა პასუხს.**
**კვლავ ახლო აღმოსავლეთი დგას დღის წესრიგში, კერძოდ, ერაყი, სადაც გააქტიურდა სუნიტების ტერორისტული დაჯგუფება „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“. რამდენიმე ქალაქი მის დაქვემდებარებაში გადავიდა, მათ შორის, მასული, თიკრიტი — მნიშვნელოვანი ცენტრები.**
**დესტაბილიზაცია აქაც, სირიის მსგავსად, შეიძლება სამოქალაქო ომში გადაიზარდოს.**



**უკრაინაში, ისევე, როგორც ერაყში, ავღანეთში, ეგვიპტეში და ა.შ., აშშ-ის მიერ დამყარებული წესრიგის შედეგად ყველაფერი აირია**

გავიხსენოთ:

**ამერიკის შეერთებული შტატები ერაყში შეიჭრა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად და მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოების აღსაკვეთად.**

ასეთი იარაღი კი არა, მისი წარმოების ნიშნებიც ვერ იპოვეს, რადგან არ იყო. აშშ-ის ყოფილმა პირველმა ლედიმ და აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გასული კვირის პარასკევს განაცხადა, რომ შეცდა, როცა კონგრესში ხმა მისცა ერაყში აშშ-ის შეჭრის პროექტს.

გონს მოეგო? სინდისმა შეაწუხა?

ფაქტებმა აიძულა.

ერაყის კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებს 2,5 ტრილიონი დოლარი დაუჯდა. 150 ათასი ერაყელი — სუნიტი და შიიტი შეეწირა კოალიციის „სამართლიან ომს“. დიქტატორი დაამხეს, ჩამოახრჩეს, დემოკრატია დაამყარეს და დღეს პროამერიკული უძალო და უუნარო ხელისუფლების წინააღმდეგ ექსტრემისტების შეიარაღებული შეტევის შედეგად ისე აირია ამ ქვეყანაში ვითარება, რომ გამორიცხული არ არის, გაქრეს ერთიანი ერაყი და სანაცვლოდ სამ ნაწილად დაყოფილი ტერიტორია მივიღოთ — სუნიტური, შიიტური და ქურთების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები, რომლებშიც სახელმწიფოებრიობის ნიშანწყალი არა, მაგრამ მუდმივი შიდა ომები, დესტაბილიზაცია და დეგრადაცია გარანტირებული იქნება.

ეძებეთ შემდეგ გეოგრაფიულ რუკებზე კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანის სახელი, ვერ იპოვით, რადგან იმ რეალობაში, რომელიც ჰეგემონიზმის პოლიტიკის წყალობით აშშ-მა ერაყს ჰუმანიზმის იდეალების ერთგულების სახელით გადააფარა,

**„ჟამი უდგება ხეების წვენს ყინვით შეპყრობის
და სილამაზე თეთრ სუდარით დაიბურება“.**

(უილიამ შექსპირი)

ექსპერტების აზრით, ბარაკ ობამას განცხადება, რომელიც მან ერაყში შექმნილი გართულების გამო გააკეთა, ერთგვარი უკან დახევაა, პოზიციის ერთგვარი დათმობაა, რადგან ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის გამეორება უკიდურესად უარყოფითად იმოქმედებს შეერთებული შტატების მსოფლიო იმიჯზე.

ობამა უარს ამბობს სახმელეთო ოპერაციაზე და მის მიერ ხელდასმულ ერაყის მთავრობას უპილოტო თვითმფრინავებით დახმარებას ჰპირდება.

რასმუსენი აცხადებს, რომ ნატო თავისი ძალებით არ მიიღებს მონაწილეობას შესაძლო შეიარაღებულ შეჭრაში, რადგან არ აქვს უშიშროების საბჭოს შესაბამისი ნებართვა.

ეს რაღაც ახალია! თითქოს უწინ იმავე უშიშროების საბჭოს ნებართვის საფუძველზე ხორციელდებოდა საომარი მოქმედებები, განებავთ, ყოფილ იუგოსლავიაში, განებავთ, იმავე ახლო აღმოსავლეთში.

ვითარება აშკარად შეცვლილია.

რა არის ამის მიზეზი? სანამ ანალიტიკოსები ეძებენ დამაჯერებელ პასუხს ამ კითხვაზე, უახლეს ისტორიას გადავხედოთ, უწინარეს ყოვლისა, რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობის ზოგიერთი მომენტის დინამიკას.

მანამდე კი თავს უფლება მივცეთ, დავეჭვდეთ: ერაყში, სადაც თალიბებმა ამომრჩევლებს საჩვენებელი თითები წააჭრეს, დასაჯეს არჩევნებში ხმის მიცემის გამო, ნუთუ ეს ნიშნავს ჩვენი ჯარისკაცების მიერ სამშობლოს დაცვას საქართველოდან შორს, იმ ქვეყანაში, რომელიც აშშ-მა ისე არია, რომ ალაჰიც ვერ დაალაგებს?!

## ანტიამერიკული დემარში

2009 წლის 9 სექტემბერს გამოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გლობალურ დომინირებას სერიოზული ბზარი გაუჩნდა, განებავთ, ბზარის ნიშნები.

ამ დღეს გაეროში კენჭი უყარეს დოკუმენტს „გაჭიანურებული კონფლიქტები გუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) სივრცეში და მათი შედეგები საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროებისა და განვითარებისათვის“. ჩვენთვის უაღრესად მტკივნეული საკითხს, რომელიც საქართველოს ინიციატივით გაეროს გენერალურ ასამბლეაში განსახილველად იყო შეტანილი.

საქართველოს ინიციატივა, ცხადია, ფორმალური მხარეა, რადგან მაშინ მთელს ჩვენს საგარეო (საშინაოსაც) პოლიტიკას აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი წარმართავდა. დოკუმენტი ჩვენს პრობლემას, რა თქმა უნდა, ვერ წყვეტდა: მხოლოდ აფიქსირებდა რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ოკუპაციად იყო შეფასებული.

მეორე პლანი ეს იყო.

რუსეთმა და კიდევ 18-მა სახელმწიფომ ამ რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

რეზოლუციას მხარი დაუჭირა 48 ქვეყანამ.

ანალიტიკოსების ერთი ნაწილი, მათ შორის, ნიკოლაი სტარიკოვი („დოლარს ომი გადაარჩენს“) ამ დიპლომატიურ აქტს შემდეგნაირად აფასებენ, უფრო ზუსტად, ყურადღებას სხვა კუთხით ამახვილებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ „საქართველოს დიპლომატებს და მათ ამერიკელ პარტნიორებს ლტოლვილებზე ზრუნვა არ ამოძრავებდათ. სინამდვილეში გაეროში მოეწყო მსოფლიოს სახელმწიფოთა ბლიცგამოკითხვა აშშ-ის მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე... კენჭისყრა გაეროში ლტოლვილების გამო არ გამართულა“.

მათი აზრით, გაეროში გაერთიანებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს უნდა ეპასუხათ შეკითხვაზე: „მხარს უჭერთ თუ არა აშშ-ის პოლიტიკას?“

ამ პოლიტიკის მომხრე 48 სახელმწიფო აღმოჩნდა, წინააღმდეგი — 19.

დიდი უპირატესობაა.

მაგრამ ამასთან ერთად, **78-მა თავი შეიკავა, 48 სახელმწიფომ (ყველაზე ფრთხილმა) კენჭისყრაში საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა. მაშასადამე, ასკვნიან ექსპერტები, ამერიკის შეერთებული შტატების გლობალური დომინირების წინააღმდეგ (დაუფარავად) გამოვიდა 19 სახელმწიფო, 126-მა მხარი არ დაუჭირა (თავი შეიკავა, ან არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა).**

**ანალიტიკოსები ადასტურებენ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასეთი ანტიამერიკული შედეგი გაეროში არ დაფიქსირებულა.**

ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ, რომ ეს არის აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული პოლიტიკის კრიზისის მხოლოდ ირიბი ნიშნები.

2009 წლის შემდეგ განვლილ ხუთ წელიწადში ეს ნეგატივიზმი კიდევ უფრო გაღრმავდა და, შეიძლება ითქვას, ტენდენციად ჩამოყალიბდა.

ლტოლვილების პრობლემას, ანუ საქართველოს გამთლიანებას არაფერი ეშველა. სააკაშვილის ხელისუფლების პროპაგანდისტულმა მანქანამ კი ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად წარმოგვიდგინა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად დაფიქსირება გაეროს დოკუმენტში. თითქოს სააკაშვილის მოსვლამდე ამ საერთაშორისო გაერთიანების მიერ საქართველოს თაობაზე მიღებულ დოკუმენტებში სხვა რამეზე იყო ლაპარაკი.

კიდევ ერთხელ დამტკიცდა (და დღეისთვის ჩამოყალიბებული ვითარება უტყუარად ადასტურებს), რომ საქართველოს გამთლიანების პრობლემის გასაღები რუსეთში დევს.

ჩვენი უპირველესი დიპლომატები კი უწინდებურად დარწმუნებულები არიან, რომ საკითხი ევროკავშირის ასოცირებულ წევრად ჩვენი მიღების გზით გადაწყდება: ამ შეთანხმებაზე ჩვენი ხელმოწერითა და მსოფლიო თანამეგობრობის გააქტიურების გზით.

რამდენი წელიწადია, რაც ამ იმედით ვცოცხლობთ?!

ამაოდ.

## რომელი მხრიდან აქვს წასმული კარაქი პურის ნაჭერს

ეს ფრანგული ანდაზაა, რომელიც ნიშნავს, რომ ის, რაც მავანისთვის ცნობილია, საზოგადოებრიობისთვის ცხრაკლიტულით გადარაზული სინამდვილეა.

ეს ფრთიანი ფრაზა ახდის ფარდას, ცოტათი მაინც, ჩვენს ბოლომდე დაულაგებელ ურთიერთობას ზესახელმწიფოებთან, რომლებიც ერთმანეთთან კონტაქტის პრინციპებზე მოლაპარაკებისას საქართველოს პრობლემებს მაინც და მაინც არ ითვალისწინებენ.

საკითხთა საკითხი ფინანსური ურთიერთობებია, ვალუტების ურთიერთდამოკიდებულება, აშშ-ისთვის ამოსავალი პრინციპი დოლარის ურყევობაა.

ნიკოლაი სტარიკოვი საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს, რომელიც, მართალია, ხუთი წლისწინანდელ მოვლენებზეა აგებული, მაგრამ აქტუალობა, მგონი, არ დაუკარგავს.

დრო — 2009 წლის ივლისი. ფორმატი — აშშ პრეზიდენტის მოლაპარაკებები რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მოსკოვში.

აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის დამთავრებისთანავე რუსეთის მაღალი რანგის ჩინოვნიკების ერთი რიგის მიერ გაკეთებული განცხადებები, წერს ნიკოლაი სტარიკოვი, უნდა გავიგოთ, როგორც დოლარზე შეტევაზე უარის თქმა.

„დოლარი ვაშინგტონისთვის მთავარი ღირებულებაა... პროექტი „რუბლი — რეგიონული ვალუტა“ გადაიდო. გაიყინა. დროებით“.

რუბლმა მოიცადოსო.

სწორედ ეს მიიჩნია სტარიკოვმა მოსკოვური შეხვედრების უმთავრეს შედეგად.

რა მიიღო სანაცვლოდ რუსეთმა?

რუსეთმა სანაცვლოდ მიიღო ის, რაც „ნიუ იორკ პოსტმა“ დაწერა: „...თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა საქართველოში, უკრაინასა და სხვა ადგილებში“.

„დოლარზე შეტევის შეწყვეტის სანაცვლოდ აშშ-მა რუსეთს პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედების კარტბლანში მისცა“.

ე.ი. მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომმა მხარეებმა იციან, მათ პურის ნაჭრებს რომელ მხარეს აქვს წასმული კარაქი ან ადევს სახელგანთქმული უკრაინული „სალო“ — ღორის ქონის ნაჭერი.

საქართველოც და უკრაინაც ხურდა ფულად წარმოგვიდგა („რაზმენნაია მონეტა“) ზემოთ მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე.

ასე იყო მაშინ, 2009 წელს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, შეიცვალა მიდგომებიც. თუ 2009 წელს უკრაინას არწმუნებდნენ, რომ ნატოში მისი გაერთიანება სასარგებლო არ იქნებოდა არც ამერიკისთვის, არც უკრაინისთვის, დღეს მოწმენი ვართ, რომ სწორედ აშშ-ის აქტიური ჩარევით ამ ქვეყნის სათავეში მოვიდა პროდასავლური ხელისუფლება, რომ იქმნება ნატოში მისი გაწევრების წინაპირობები და რომ რუსეთ-ამერიკის „გადატვირთვის“ პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების განხორციელებით შეიცვალა.

„გადატვირთვა“ ჩუმად მიიცვალა.

**უკრაინაში, ისევე, როგორც ერაყში, ავღანეთში, ეგვიპტეში და ა. შ., აშშ-ის მიერ დამყარებული წესრიგის შედეგად ყველაფერი აირია.**

საქართველოში ჯერჯერობით ვითარება მშვიდია, თუმცა „ნაცები“ სტაბილურობის ასარევად ცდას არ აკლებენ.

რომელი მხრიდან აქვს წასმული კარაქი ჩვენს წილ პურის ნაჭერს და არსებობს კი ეს პურის ნაჭერი, დღემდე ვერ გაგვირკვევია.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

**სოლომონ დოდაშვილი უდავოდ დიდი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. გლეხის წრიდან გამოსულმა მღვდლის შვილმა სულ 31 წელი იცოცხლა და პეტერბურგის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვიდან (19 წლის) ციმბირში გადასახლებამდე (27 წლის) დროის მონაკვეთში მოასწრო რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეუფასებელი, წარმოუდგენლად დიდი მოცულობის საქვეყნო საქმეების გაკეთება.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პირველი სასკოლო სახლ-მუზეუმი საქართველოში

**რაოდენ სიმბოლურია, რომ იგი ეძღვნება დიდ ქართველ განმანათლებელსა და მოაზროვნეს – სოლომონ დოდაშვილს (1805-1836), რომელიც, ილია ჭავჭავაძის შეფასებით, არის ევროპეიზმის ფუძემდებელი საქართველოში და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი მედროშეც.**





საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა (მეთაური – პროფ. გ. დოლიძე) 2008 წელს აღადგინა სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში (სოლომონ დოდაშვილის მშობლიურ სოფელში) მივიწყებული სახალხო დღესასწაული „სოლომონობა", მომდევნო წელს კი სიღნაღის რაიონში ჩაატარა მოსწავლეთა კონფერენცია – „მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!" (ს. დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა), რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის 12 სოფლის მოსწავლეები. ჟიურიმ (პროფ. გ. გოლიძე, პროფ. ელ. ბატიაშვილი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რ. ბალანჩივაძე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი, ფილოსოფოსი — თ. ბალარჯიშვილი, მოქანდაკე დ. ქობალია, პროფ. ჰ. კუპრაშვილი და სხვ.) გამარჯვებულად გამოაცხადა 14 მოსწავლე. ამ კონფერენციამ ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ მომდევნო წელს იგი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა (სხვათა შორის, ამ სრულიად საქართველოს მოსწავლეთა კონფერენციაზე გაიმარჯვა და მთავარი პრიზი — განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ლეპტოპი — წილად ხვდა ბერძნული წარმოშობის თბილისელ გოგონას, ირინა სელეპანოვას...), რადგან ეს დიდი მოაზროვნე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მაინც არ არის ღირსეულად დაფასებული.

აი, ასეთი უკეთილშობილესი მისია უნდა იკისროს იმ სასკოლო სახლ-მუზეუმმა, რომელიც წლეულს, 15 სექტემბერს გაიხსნება, ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე. ყოველივე ამაზე სასაუბროდ სოლომონ დოდაშვილის დაბადების მორიგ წლისთავზე ერთხელ კიდევ, უკვე მეშვიდედ, გვიხმო ჩოხოსან რაინდთა დასის თავკაცმა, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატმა, პროფესორმა გოგი დოლიძემ, რომლის უკიდეგანო ენთუზიაზმს, ულევ ენერგიას, პატრიოტულ შემართებას 80 წელმაც ვერაფერი დააკლო. მან, ტრადიციისამებრ, წელსაც შემოიკრიბა ავტორიტეტული მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები და გავემართეთ ქიზიყში, სოფელ მაღაროში.

სოლომონ დოდაშვილის სახელობის საშუალო სკოლაში ჩატარდა სასკოლო სახლ-მუზეუმის დაარსების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. თავმჯდომარემ გ. დოლიძემ ისაუბრა ამ შვიდი წლის განმავლობაში დასის საქმიანობის შესახებ. შეაჯამა დასის მიერ ჩატარებული ს. დოდაშვილისადმი მიძღვნილი რეგიონული და რესპუბლიკური სასკოლო-სამეცნიერო კონფერენციების შედეგები.

სიტყვით გამოვიდნენ: გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი, ბატონი რეზო ჩხეიძე; ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი ირაკლი კალანდია; ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, ჟურნალისტი ანზორ ბაბუხადია; რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე დუხუ ქობალია, რომელსაც დაევალა სოლომონ დოდაშვილის ბიუსტის შექმნა სკოლის წინ დასადგმელად და თქვენი მონა-მორჩილიც. განსაკუთრებით საგულისხმო იყო ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლების გამოსვლა. ისინი დიდი ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჩოხოსან რაინდთა დასის ამ ინციატივას და ყოველმხრივ გვერდით გვიდგანან. ესენი არიან: სკოლის დირექტორი, ქალბატონი ირმა ქუფარაშვილი, რომელმაც სასკოლო სახლ-მუზეუმისთვის უკვე გამოყო ყველაზე დიდი და ნათელი ოთახი, ისტორიის მასწავლებელი, ქალბატონი ნანა სომხიშვილი; ინჟინერ-მშენებელი ჯოველ უსუფაშვილი; ფილოსოფოსი თეიმურაზ ბალარჯიშვილი, რომელმაც, როგორც ცნობილია, ელბერტ ბატიაშვილთან ერთად, მიუხედავად უმძიმესი იდეოლოგიური წნეხისა, მაინც შეძლო 1994 წელს რუსეთის შორეული ქ. ვიატკიდან სოლომონ დოდაშვილის ნეშტის ჩამოსვენება...

**სოლომონ დოდაშვილი უდავოდ დიდი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. გლეხის წრიდან გამოსულმა მღვდლის შვილმა სულ 31 წელი იცოცხლა და პეტერბურგის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვიდან (19 წლის) ციმბირში გადასახლებამდე (27 წლის) დროის მონაკვეთში მოასწრო რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეუფასებელი, წარმოუდგენლად დიდი მოცულობის საქვეყნო საქმეების გაკეთება:**

**1.** როგორც პირველმა ქართველმა კანტიანელმა, დაიწყო თავისი ფილოსოფიური მოძღვრების დამუშავება;

**2. 22 წლის (!) სოლომონ დოდაშვილის სადიპლომო დამუშევარი „ლოგიკა" დაიბეჭდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებით და, როგორც სახელმძღვანელოს, სრულიად რუსეთის მასშტაბით დიდი წარმატება და აღიარება ხვდა;**

**3.** მეცნიერებაში მის უდავო აღიარებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მისი გადასახლებისა და გარდაცვალების შემდეგაც კი ფიგურირებს 1840 წელს „ფილოსოფიის ისტორიის" IV ტომში, 1890 წ. იუბერვეგ-ჰაინცეს „ახალი დროის ფილოსოფიაში", 1904 წელს ე. რადლოვის „ფილოსოფიურ ლექსიკონში";

**4. იგი პირველი ქართველია, რომელიც მეცნიერული ნაშრომისთვის ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში იქნა შეყვანილი (მართლაც, როგორი ნიჭიერი უნდა ყოფილიყო იგი, რომ იმჟამინდელ რუსეთში, 22 წლის „უპატრონოს, ღარიბსა და უგვაროს" ასეთი სიმაღლეები დაეძლია);**

5. 1827-1832 წლებში:

* იგი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ასწავლის ლოგიკას, რიტორიკას, ქართულ სიტყვიერებას, გეოგრაფიას;

*** წერს სახელმძღვანელოებს, ადგენს ლექსიკონს, აქვეყნებს საჟურნალო სტატიებს, ფილოსოფიურ შრომებს: „ლოგიკა", „ლოგიკის მეთოდოლოგია" და „რიტორიკა";**

* მთელი თაობა აღიზარდა სოლომონ დოდაშვილის მიერ შედგენილ და 1831 წელს გამოცემულ „შემოკლებულ ქართულ გრამატიკაზე", ხოლო მისი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა" ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველი ცდაა;

*** მუშაობდა საგამომცემლო კომიტეტში და ხელმძღვანელობდა „ტფილისის უწყებანის" ქართულ ენაზე გამოცემას. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომელიც მიზნად ისახავდა, მიღწევადი ლეგალურობის ფარგლებში, აჯანყების წინ საზოგადოებრივი აზრის შემზადებას;**

**6. სოლომონ დოდაშვილი ღირსეული წინამორბედია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ თაობისა, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა. ამის დასტურია ილიას ცნობილი სიტყვები 1876 წელს გაზეთ „დროების" ათ წლისთავზე"... დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაევისგან...";**

**7.** სოლომონ დოდაშვილი 1830-1832 წლებში ალექსანდრე ორბელიანსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად ხელმძღვანელობდა შეთქმულთა ფარულ ორგანიზაციას. შეთქმულთა ჰიმნის როლს ასრულებდა ს. დოდაშვილის ლექსი „მაისი", ფარული საზოგადოების გადაწყვეტილებით, საქართველოს ყველა კუთხეში უნდა გავრცელებულიყო სოლომონ დოდაშვილის მიერ დაწერილი პროკლამაცია;

**8. სოლომონ დოდაშვილი 185 წლის წინათ უჭერდა მხარს საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების კონსტიტუციურ და რესპუბლიკურ საწყისებზე აგებას. მან ბევრად გაუსწრო თავის თანამედროვეებს პოლიტიკურ აზროვნებაში. მისი შეხედულებები ევროპის მოწინავე პროგრესულ-დემოკრატიულ იდეებს ეფუძნებოდა.**

სოლომონ დოდაშვილი სრულიად ახალგაზრდა, 31 წლისა დაიღუპა რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში. ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ა. გერცენი იგონებდა: ს. დოდაშვილმა „ვერ აიტანა მკაცრი ჰავა და საშინელ ჭლექში ჩავარდა, მე ის ვინახულე სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, მას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ჰქონდა...". სოლომონ დოდაშვილს საშუალება არ მიეცა, ბოლომდე გამოევლინა თავისი ნიჭი და შემოქმედებითი პოტენციალი.

სამწუხაროა, რომ სოლომონ დოდაშვილი არ არის დაფასებული ისე, როგორც იმსახურებს. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი ძალისხმევას არ იშურებს ამ დიდი მოღვაწის ღვაწლის დასაფასებლად და ქართულ საზოგადოებაში მისი სახელის სათანადოდ წარმოსაჩენად.

**ჰენრი კუპრაშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი,**
**პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

მოკლედ

## ანესთეზიოლოგი მუშაობისას სექსუალური შინაარსის ეს-ემ-ესების გაგზავნაში გამოიჭირეს

**სიეტლის (ვაშინგტონის შტატი, აშშ) ერთ-ერთი საავადმყოფოს ანესთეზიოლოგ არტურ ზილბერშტეინს ბრალი დასდეს, რომ ის ოპერაციების მიმდინარეობისას სექსუალური შინაარსის ეს-ემ-ეს-ებსა და ფოტოებს (სელფის) გზავნიდა. ვაშინგტონის შტატის ჯანდაცვის დეპარტამენტმა ანესთეზიოლოგს ლიცენზია შეუჩერა და გამოძიება დაიწყო.** ზილბერშტეინს პროფესიული ეთიკის დარღვევასა და დაუდევრობაში ადანაშაულებენ. მან სექსუალური შინაარსის 23 ეს-ემ-ესი გაგზავნა ოპერაციის მიმდინარეობისას, როცა ის ანესთეზიოლოგის მოვალეობას ასრულებდა კლინიკა Swedish Medical Center-ში.

გარდა ამისა, ზილბერშტენი დაადანაშაულეს სამუშაო ადგილზე სექსუალურ კონტაქტში ერთ-ერთ პაციენტ ქალთან.

## პენსიონერებმა რამდენიმე ეკლესია გაძარცვეს

**70 წლის შვეიცარიელმა ცოლ-ქმარმა აღიარა, რომ რამდენიმე ადგილობრივი ეკლესია გაძარცვა.**

გამოძიების მსვლელობისას გაირკვა, რომ წყვილი შეძლებულად ცხოვრობდა და ფული არ სჭირდებოდა. მეუღლეების თქმით, ისინი მხოლოდ მძაფრი შეგრძნებების მისაღებად იპარავდნენ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აზარტული თამაშების მოყვარულს უყალიბდება არამარტო ფსიქიკური, არამედ თამაშებისადმი ფიზიკური დამოკიდებულებაც – ის მთელი დღე ფიქრობს იმ დროზე, როცა თამაშს დაიწყებს, ფიქრობს სათამაშო სტრატეგიებზე, აყალიბებს ტაქტიკას და ა.შ.**



# ყველაფერი აზარტის შესახებ

**აზარტი არის ემოცია, რომელიც სავარაუდო და არა გარდაუვალი წარმატების წინ აღფრთოვანებას უკავშირდება და აუცილებელი არ არის რეალობის ადეკვატური იყოს. ის ხშირად დაკავშირებულია უბრალო შემთხვევითობასთან, თამაშთან, რისკთან, საფრთხესთან.**

აზარტული თამაშების ისტორია კაცობრიობის დასაბამიდან მოდის. უბრალო ნიძლავიც მათ რიცხვს ეკუთვნის. დროთა განმავლობაში აზარტული თამაშების სახეობანი დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა. მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლის შედეგად მან მიიღო დროის შესაბამისი ფორმები: დოლი, ჯვარი და ნული, ბანქო, რულეტკა, ცალხელა ავტომატი, ტოტალიზატორი და ა. შ. დღეს ინტერნეტის საშუალებით ონლაინტოტალიზატორი და კაზინო ნებისმიერი ადამიანისთვის სახლიდან გაუსვლელად არის ხელმისაწვდომი.

**აზარტულ თამაშებს საქართველოში არც თუ ისე მცირე ხნის ისტორია აქვს. როგორც ცნობილია, მისით გატაცებული ყოფილა აკაკი წერეთელი. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მე-19 საუკუნეში საქართველოშიც იყო გარკვეული ტიპის სათამაშო დაწესებულება, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ ქართული ელიტის წარმომადგენლები.** საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო აზარტული თამაშები, მხოლოდ ლატარეა იყო დაშვებული. აკრძალვა საქართველოზეც გავრცელდა. 1992 წლიდან ჩვენს ქვეყანაში იყო მცდელობა აზარტული თამაშების კანონით რეგულირებისა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივა გახდა.

პირველი კაზინო 1765 წელს პარიზში გაიხსნა. კაზინოს გახსნაზე ნებართვა გასცა საფრანგეთის პირველმა მინისტრმა, კარდინალმა ჯულიო მაზარინიმ იმისათვის, რომ შეევსო მეფის ხაზინა. მაშინ გაიგო მსოფლიომ, რომ, გარდა კარტის თამაშისა, არსებობდა თამაში ბორბალზე, ე.წ. რულეტზე. დღესდღეობით, რულეტი ყველაზე პოპულარულ კაზინოს თამაშად ითვლება, რომლის სახელწოდებაც იტალიური და ფრანგული თამაშებიდან მომდინარეობს. იგი მე-17 საუკუნიდან ვრცელდება ევროპასა და ამერიკაში.

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, სათამაშო ბორბალი გამოიგონა ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა და მათემატიკოსმა პასკალმა. იგი თურმე სულაც არ აპირებდა აზარტული თამაშებისთვის სათამაშო მოწყობილობის შექმნას, უბრალოდ, მისი გამოგონება გამოიყენეს კომერციული ალღოს მქონე ადამიანებმა. მეორე ლეგენდის თანახმად, ფრანგმა ფრანსუა ბლანმა სული მიჰყიდა ეშმაკს, რათა გაეგო რულეტის საიდუმლო. ამ თეორიის გასამყარებლად მოჰყავთ რულეტის ყველა ნომრის ჯამი, რომელიც შეადგენს 666.

თითოეული სათამაშო აპარატი პროგრამულად უზრუნველყოფილია, რომ გასცეს მთელი თანხის 75% მოგების სახით. დანარჩენი 25% არის აზარტული დაწესებულების შემოსავალი. სათამაშო აპარატებზე სხვადასხვა ფსონი არის დაწესებული და ხშირად მოთამაშეს მცირე თანხითაც შეუძლია დაიწყოს თამაში. გარდა ამისა, სათამაშო აპარატს აქვს მრიცხველი, რომელიც აფიქსირებს, თუ რამდენი მოგება გასცა აპარატმა ან რამდენი წააგო მოთამაშემ. შესაბამისად, სხვაობა გაცემულ თანხასა და მოგებულ თანხას შორის არის ის, რაც სალონს მოგების სახით დარჩა.

რაც შეეხება მოგების გაცემის წესს, აზარტული თამაშების დაწესებულება 100%-ით უნაღდებს ფიზიკურ პირს მოგებულ ფსონებს.

**ადამიანთა დიდი უმეტესობა აზარტულ ნატურას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი აზარტული თამაშებისადმი ინტერესს გარეგნულად არ გამოხატავს. სხვაგვარად რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოთამაშეთა რაოდენობა მსოფლიოში გეომეტრიული პროგრესიით მატულობს. საქართველოშიც ამ სენმა ლამის ეროვნული კატასტროფის მასშტაბებს მიაღწია.**



**აზარტული თამაშებით გამოწვეული ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულების გამოვლინებას ლუდომანია ეწოდება და დამოკიდებულების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს**



აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ანუ გემბლინგი მოიცავს კაზინოზე, კომპიუტერულ თამაშებზე, სათამაშო ავტომატებზე, ტოტალიზატორზე დამოკიდებულებას. გემბლინგი ხასიათდება თამაშის პროცესში ჩართულობის მაღალი ხარისხით, ადრინდელი ინტერესების გაუფასურებით, თამაშზე მუდმივი ფიქრით, კონტროლის დაკარგვით (თამაშის დროზე შეწყვეტის შეუძლებლობა), თამაშის გარეშე სიტუაციაში დისკომფორტით, სათამაშო აქტივობის რითმის თანდათანობითი გახშირებით. აზარტული თამაშები იქცევა ძლიერი ემოციების ერთადერთ წყაროდ და ხშირად ადამიანი მიჰყავს ისეთივე დეგრადაციამდე, როგორსაც ალკოჰოლიზმი და ნარკომანია იწვევს.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას უშუალოდ თამაშის პროცესში განცდილი შეგრძნებები აჩენს. ფსონის დადებისას ან კარტის დარიგებისას ადამიანი სიამოვნებას განიცდის და ამ განცდაზე დამოკიდებული ხდება.

**აზარტული თამაშებით გამოწვეული ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულების გამოვლინებას ლუდომანია ეწოდება და დამოკიდებულების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს.**

ლუდომანიით დაავადებული პირები გამოირჩევიან გაცილებით მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობებით, შრომისმოყვარეობითა და პროფესიული მიღწევებით, საკუთარი თავის დახასიათებისას უკიდურესობებში გადავარდნით, მაგრამ, იმის მიუხედავად, „ძალიან კარგია“, ლუდომანი თუ „ძალიან ცუდი“ ამ დახასიათებებში თითქმის ყველა მიუთითებს მძლავრ შინაგან ენერგიაზე.

მათთვის დამახასიათებელია მძიმე კონფლიქტებისგან თავდაღწევის უნარი, რომელსაც ძირითადად ტყუილის, ფაქტების გაბერვის ან დაკნინების გზით აღწევენ. ისინი ძალზე კრიტიკულნი არიან ოჯახის წევრების მიმართ, მათთვის ავანტიურიზმი და საქმეში რისკიანობის მაღალი მაჩვენებელია დამახასიათებელი. ასეთი პირები გამოირჩევიან მოწყენილობით, ჩაკეტილობით, ერიდებიან ადამიანთა იმ წრეს, რომელშიც აზარტულ თამაშებზე საუბარი წესად მიღებული არ არის.

აზარტული თამაშებისადმი სიყვარული ფსიქიკური პათოლოგიაა. იგი ქცევითი დამოკიდებულების ერთ-ერთი სახეა. დამოკიდებულებასთან გვაქვს შეხება, თუკი რაიმე საქმიანობით პირს ან სოციუმს, ან ორივეს ერთად რაიმე ზიანი ექმნება.

**სპეციალისტები აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების განვითარების ოთხ სტადიას გამოყოფენ: პირველ, ანუ მოგების სტადიაზე მცირე თანხის მოგების შემდეგ დიდი ფულის მოგების სურვილი ჩნდება. ადამიანი ინტენსიურ თამაშს იწყებს და დიდ ფსონებს დებს.**

ამას მოსდევს დანაკარგების სტადია, როდესაც ადამიანი აგებს, თუმცა დიდი მოგების იმედი უფრო და უფრო უმძაფრდება. იღებს ვალებს, მალავს დამოკიდებულებას.

იზოლაციის სტადიისას აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ემალება ადამიანებს, მათ შორის მეგობრებსა და ოჯახის წევრებს. მოთამაშეს რცხვენია, თავს დამნაშავედ მიიჩნევს და დეპრესიაში ვარდება.

იმედის დაკარგვის სტადიაში თამაშზე დამოკიდებული გამოსავალს ეძებს: პრობლემის გადაჭრას ის ალკოჰოლით ან ნარკოტიკებით ცდილობს, არ ერიდება კრიმინალურ ქმედებებს ვალების გასასტუმრებლად, ფიქრობს სუიციდზე ან მკურნალობას იწყებს.

ჩვეულებრივ, მოთამაშე პირს „კონტროლის ილუზია“ ახასიათებს, სწორედ ამ ილუზიიდან გამომდინარე, წაგების შემთხვევაში მიაჩნია, რომ შეცდომა დაუშვა.

„კონტროლის ილუზია“ გულისხმობს იმ ფა- ▶









## 9 წლიდან ბავშვებს სქესის შეცვლა შეეძლებათ

**ბრიტანეთის ხელისუფლება იმ პირთა მიმართ, რომლებიც სქესის შეცვლას აპირებენ, პოლიტიკურ მიდგომებს ცვლის. სქესგამოცვლილი ადამიანების უფლებების გასამყარებლად სახელმწიფოში ძირითადი საკანონმდებლო ბაზის გადახედვა იგეგმება.**

ოფიციალური ინფორმაციით, ბრიტანეთის ხელისუფლება ამ ეტაპზე სქესის შეცვლაზე ნებართვის გაცემას 9 წლის ასაკიდან განიხილავს. უკვე მიმდინარეობს მსჯელობა ამ ბავშვებისთვის საგანგებო ჰორმონული პრეპარატების დანიშვნის თაობაზე. ბრიტანეთის სამედიცინო დაზღვევის ფონდი სქესის შეცვლის მსურველ 9 წლის ბავშვებზე წამლების უფასოდ გაცემას დაიწყებს. ეს მედიკამენტები ე.წ. ტუბერტატულ, ანუ სასქესო ნიშნების გამოხატვის პერიოდს აფერხებს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ქტსაც, როდესაც მოთამაშეს ჰგონია, რომ თავად აკონტროლებს სინამდვილეში მისთვის აბსოლუტურად მიუწვდომელ და სრულიად შემთხვევით მოვლენებს, როგორიცაა თამაშის ანგარიშები და მათი წინასწარი პროგნოზი, სათამაშო ავტომატზე შესაბამის ღილაკზე დაჭერის სიჩქარე და ა. შ. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი რიტუალურ ხასიათს იძენს და სიმპტომურ ქცევაში გადაიზრდება. „სათამაშო ქცევა“ მოთამაშის ფსიქიკაში დომინანტურ ადგილს იკავებს.

აზარტული თამაშების მოყვარულს უყალიბდება არამარტო ფსიქიკური, არამედ თამაშებისადმი ფიზიკური დამოკიდებულებაც – ის მთელი დღე ფიქრობს იმ დროზე, როცა თამაშს დაიწყებს, ფიქრობს სათამაშო სტრატეგიებზე, აყალიბებს ტაქტიკას და ა.შ. და ასეთ ფსიქოლოგიურ დატვირთვას განიცდის, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფება — ოჯახში, სამსახურში, სუფრაზე, გასართობ ადგილას... ამავე პერიოდში, ის გარკვეულ დისკომფორტს განიცდის, ვიდრე თამაშს არ დაიწყებს.

მას შემდეგ, რაც სათამაშო ბიზნესი იატაკქვეშეთიდან გამოვიდა და ლეგალური არსებობის უფლება მოიპოვა, მომრავლდა კაზინოები და სლოტკლუბები და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება გლობალურ სოციალურ პრობლემად იქცა. დაავადებათა კოდირების საერთაშორისო სისტემაში ამ პათოლოგიას საკუთარი ნომერი — F 63.0 მიენიჭა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, სათამაშო აპარატების გაჩენის შემდეგ ინგლისში უამრავი კინოთეატრი დაიხურა — ხალხს კინოში სიარულს აპარატებთან დგომა ერჩივნა. სადღეისოდ მთელ მსოფლიოში უკვე 5%-ს უტოლდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთა ცხოვრებაც კაზინოსა და სათამაშო ავტომატებზეა დამოკიდებული. ლუდომანია სოციალური პრობლემაა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

აზარტული თამაშებისადმი ავადმყოფური ლტოლვა, მართალია, მამაკაცებში უფრო ხშირია, მაგრამ ქალებში გაცილებით მძიმედ მიმდინარეობს. სუსტი სქესი ამ ქსელში სამჯერ უფრო სწრაფად ებმება და ფსიქოთერაპიასაც გაცილებით ძნელად ემორჩილება. მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალები ლუდომანები ზრდასრულ ასაკში ხდებიან და ზოგიერთ მათგანში დამოკიდებულება ისეთ ფორმას იღებს, ხშირად ფსიქიატრის ჩარევაც კი ხდება საჭირო. ქალებში ლუდომანიას თითქმის ყოველთვის ახლავს თან დეპრესიული აშლილობა, მამაკაცებში კი — ალკოჰოლიზმი, ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ ასეთი ადამიანები სხვებზე ხშირად და ადვილად ანგრევენ ოჯახებს, არღვევენ სამსახურში ქცევის წესებს და სამუშაო ადგილსაც ხშირად იცვლიან.

**მიუხედავად იმისა, რომ აზარტი ლუდომანებისთვის დამღუპველ სენად იქცა, გამოსავალი ამ მდგომარეობიდანაც არსებობს. ლუდომანიის მკურნალობისას პირველი ნაბიჯი ფაქტის აღიარებაა. საკუთარ სისუსტეზე საუბარი ყოველთვის ძნელია, მით უმეტეს უჭირთ ეს მამაკაცებს, მაგრამ, თუ განთავისუფლება სურს, ადამიანმა უნდა გაიაზროს, რომ ხაფანგში გაება.**

თამაშზე დამოკიდებულების მკურნალობა შედეგიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ დაავადებულმა ოჯახის წევრებისა და მეგობრების თანადგომა იგრძნო. მესამე ნაბიჯი სპეციალისტთა დახმარებაა. დამოუკიდებლად ამ მდგომარეობიდან გამოსვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტების — ფსიქოთერაპევტისა და ფსიქიატრის დახმარება.

აუცილებელია თამაშზე დამოკიდებულების თავდაპირველი მიზეზის პოვნა, რადგან მხოლოდ შედეგთან ბრძოლა გამოსავალი არ არის.

მცდარია აზრი, რომ ასეთი რამ მხოლოდ სუსტებს ემართებათ — ამ ხაფანგში ხშირად საკმაოდ ძლიერი პიროვნებებიც ებმებიან, განსაკუთრებით კი — მამაკაცები. ქალს სტრესის მოსახსნელად ტირილი და მეგობრის წინაშე გულის გადაშლაც ჰყოფნის, მამაკაცები კი პრობლემებს ხშირად ვერავის უმხელენ და მოჯადოებულ წრეში ხვდებიან. ამიტომ თამაშასა და ნებისმიერი სხვა დამოკიდებულების თავიდან აცილების საუკეთესო გზა პრობლემებზე საუბარი და ახლობლებისთვის გულის გადაშლაა. ლუდომანიის მკურნალობის აუცილებელი რგოლია ფსიქოთერაპიაც.



# მინის ლაბირინთი

**ლაბირინთის წვრილი გვირაბები, როგორც წესი, გონებას უბნევს ადამიანს და ხელს უშლის სწორი გზის პოვნაში. რა მოხდება, თუკი ლაბირინთი მინისაა და იქიდან გამოსასვლელი მხოლოდ ერთია? ამ კითხვას პასუხს გასცემენ ახალი ღირსშესანიშნაობის მნახველები Nelson-Atkins Museum of Art-ში, კანზას-სითიში.** უნიკალური მინის ლაბირინთი არის მხატვარ რობერტ მორისის იდეა. ორიგინალური ნაგებობით მან გადაწყვიტა, ეჩვენებინა შესაძლო გადაწყვეტილების გამჭვირვალობა. ზოგჯერ ადამიანი ხედავს გამოსავალს მდგომარეობიდან, მაგრამ ჰგონია, რომ ის მიუღწეველია მისთვის და წლობით არის დაკარგული ცხოვრების ლაბირინთში. დიდი დრო გადის, რომ საბოლოო ჯამში მიაღწიოს იმას, რასაც თავის დროზე ზურგი აქცია.







# ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი გენეტიკური აღმოჩენები

## ინტელექტის გენი

**ამერიკელმა მეცნიერებმა კალიფორნიიდან აღმოაჩინეს ცილა, სახელწოდებით „კლოტო“ და გენი KL-VS, რომელიც პასუხისმგებელია მის გამომუშავებაზე. ამ უკანასკნელმა მაშინვე მიიღო სახელწოდება „ინტელექტის გენი“, რადგან მოცემულ ცილას შეუძლია IQ-ს მაჩვენებლების გაზრდა 6 პუნქტით.**

ამასთან ერთად, მოცემული ცილის სინთეზირება შესაძლებელია ხელოვნურადაც და არ აქვს მნიშვნელობა, რა ასაკისაა ადამიანი. სავარაუდოდ, მომავალში მეცნიერები ისწავლიან მეთოდებს, თუ როგორ უნდა გახადონ ადამიანები უფრო ჭკვიანები, მიუხედავად მათი ბუნებრივი ინტელექტუალური მონაცემებისა.

რა თქმა უნდა, „კლოტოს“ დახმარებით შეუძლებელია ნორმალური ადამიანის გენიოსად გადაქცევა, მაგრამ ეს დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებიც არ არიან გონებრივად განვითარებულნი.

## სიბრიყვის გენი

**გაირკვა, რომ თურმე არსებობს არამხოლოდ ინტელექტის გენი, არამედ სიბრიყვის გენიც. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიან მეცნიერები ემორის უნივერსიტეტიდან (ტეხასი). მათ აღმოაჩინეს გენეტიკური გადახრა RGS14, რომლის გამორთვაც ხელს უწყობს ინტელექტის განვითარებას საცდელ თაგვებზე.**

გაირკვა, რომ RGS14-ის ბლოკირება ხდის უფრო აქტიურს რაიონ CA2-ს ჰიპოკამპში — ტვინის რაიონს, რომელიც პასუხისმგებელია ახალი ინფორმაციის ათვისების უნარზე. ლაბორატორიის თაგვებმა ამ გენეტიკური მუტაციის გარეშე დაიწყეს ობიექტების უფრო კარგად დამახსოვრება.

ტექსასელი მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მომავალში შექმნიან პრეპარატს, რომელიც დაუბლოკავს გენ RGS14-ს უკვე ცოცხალ ადამიანს. ეს მისცემს ადამიანებს აქამდე არნახულ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მაგრამ მოცემული იდეის რეალიზაციისთვის საჭიროა კიდევ ერთი ათწლეული.



## ალცჰეიმერის დაავადება

**როდესაც 1906 წელს ეს დაავადება აღწერეს, ვერ გაარკვიეს მისი წარმომავლობა; გაურკვეველი მიზეზების გამო, ის ზოგიერთ ადამიანს უვითარდება, ზოგს კი — არა. ცოტა ხნის წინათ კი ნამდვილი გარღვევა მოხდა ამ დაავადების შესწავლისას. იაპონიაში ოსაკას უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც უვითარებს ალცჰეიმერის დაავადებას საცდელ თაგვებს.**

გამოკვლევის შემდეგ გამოავლინეს გენი klc1, რომელსაც შეუძლია ტვინის ქსოვილებში ბეტა-ამილოიდური ცილების მოზღვავება, ეს კი მთავარი ფაქტორია ალცჰეიმერის დაავადების განვითარებისთვის.

ცდებმა აჩვენა, რომ klc1 დაბლოკვის შემთხვევაში ბეტა-ამილოიდური ცილების მოზღვავება ქსოვილებში იკლებს 45%-ით. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მომავალში მათი კვლევები დაეხმარება მოხუცებს ალცჰეიმერის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში.

## ბედნიერების გენი

**ჯანმრთელობის ლონდონის სკოლის მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი 5-HTTLPR, რომელსაც უწოდებენ ბედნიერების გენს. გაირკვა, რომ ის უზრუნველყოფს ჰორმონ სეროტონინის გავრცელებას ნერვულ უჯრედებში.**

სეროტონინი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის განწყობილებზე და აიძულებს მას, გაუხარდეს ან მოიწყინოს. მათ, ვისაც აქვს ამ ჰორმონის დაბალი დონე, აქვს ცუდი განწყობა და დეპრესია, ასევე, მიდრეკილება პესიმიზმისკენ.

ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ 5-HTTLPR-ის გრძელ ვარიაციას შეუძლია სეროტონინის საუკეთესოდ მიწოდება თავის ტვინისთვის, რაც აიძულებს ადამიანს ორჯერ ან სამჯერ უფრო ბედნიერად იგრძნოს თავი.

## გასუქების გენი

**აღმოჩნდა, რომ გასუქებასაც თავისი გენეტიკური მიზეზები აქვს. სხვადასხვა დროს მეცნიერები პოულობდნენ სხვადასხვა გენს, რომლებსაც შეეძლოთ ზედმეტი წონის გამოვლენა, მაგრამ მოცემულ მომენტში ითვლება, რომ მათ შორის „მთავარი“ არის IRX3.**

გაირკვა, რომ გენი გავლენას ახდენს ქონის პროცენტულობაზე საერთო მასასთან კავშირში. ლაბორატორიული კვლევების დროს აღმოჩნდა, რომ იმ თაგვებს, რომელთაც დაზიანებული აქვთ IRX3, ქონის პროცენტული რაოდენობა ორგანიზმში ორჯერ უფრო ნაკლები აქვთ, ვიდრე სხვა დანარჩენებს, მიუხედავად იმისა, რომ თაგვებს აჭმევდნენ ერთსა და იმავე მაღალკალორიულ საკვებს. IRX3-ის მომავალი გენეტიკური შესწავლის შემთხვევაში, ცოტახანში გამოიგონებენ ეფექტურ საშუალებას გასუქებისა და დიაბეტის წინააღმდეგ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## წყლის ნამცხვარი



**წყლის ნამცხვარი გემრიელი ნუგბარია, რომელშიც მხოლოდ წყალია. იაპონური დელიკატესი 30 წუთს ძლებს, შემდეგ კი, პირდაპირი მნიშვნელობით, წყლის გუბედ იქცევა. ერთი შეხედვით, ის უზარმაზარ უფერულ ჟელეს თასს ჰგავს. ნამცხვარი პირში დნება და მის დასაგემოვნებლად დრო მხოლოდ 30 წუთია, ამიტომ დესერტის მირთმევა მხოლოდ რესტორანშია ნებადართული.**
დესერტი იაპონელებს თავდაპირველად შარშან შესთავაზეს, ის ერთგვარი ტესტი იყო, თუმცა პოპულარულობის გამო მენიუში უკვე შეიტანეს. წყლის ნამცხვარი მხოლოდ Kinseiken-ის მაღაზიებში იყიდება. „ჟელე წყლისგან მზადდება და სასიამოვნო, ბუნებრივი ტკბილეულია. ჟელეს ემატება კინაკო (მოხალული სოიოს პუდრი) და ყავისფერი შაქრის სიროფი“, — განმარტავს მზარეული.

# საქორწილო კაბები, რომლებიც ისტორიას შემორჩა

ქორწილი ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი დაუვიწყარი და ულამაზესი დღეა. ქორწილის მთავარი ატრიბუტი კი არის დედოფლის კაბა, რომლის სწორად შერჩევას დიდი დრო და ენერგია სჭირდება. საქორწილო კაბის ისტორია მრავალ საუკუნეს მოიცავს. იყო დრო, როდესაც მხოლოდ ტრადიციულ კაბებს იცვამდნენ დედოფლები, თუმცა დროსთან ერთად შეიცვალა ტრადიციებიც, დაიმსხვრა სტერეოტიპები და დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დედოფლები ინდივიდუალობას ინარჩუნებენ — საკუთარი გემოვნებით არჩევენ კაბებს.
ისტორიას კი ახსოვს პატარძლები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს. მათი კაბები გაოცებას იწვევს, როგორც თავისი სილამაზით, ისე ფასით.



## ელისაბედ II-ს კაბა

1947 წელს, 21 წლის დედოფალი ელისაბედ II ცოლად გაჰყვა პრინც ფილიპს. II მსოფლიო ომის დროს ქორწილს 200 მილიონი მაყურებელი ჰყავდა. კაბა, რომელიც დედოფალს ეცვა, მორთული იყო ფორთოხლის ყვავილებითა და ლილიებით.



## პრინცესა რანიას კაბა

22 წლის დედოფალი რანია ალ იასინი და პრინცი აბდალა დე ჟორდანიე 1993 წელს დაქორწინდნენ. კაბა, რომელიც ეცვა დედოფალს, ეკუთვნის ბრიტანელ დიზაინერ ბრუს ოლდფილდს.



## ქეით მოსის კაბა

ქეით მოსი და ჯონ გალიანო 2011 წლის მარტში შეუღლდნენ. ქეითს ეცვა დიორის კაბა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში იქმნებოდა.



## შარლინ უიტსტოკის კაბა

შარლინ უიტსტოკი და მონაკოს პრინცი ალბერტი 2011 წლის ივლისში დაქორწინდნენ. კაბა ჯორჯ არმანმა შეკერა.
გამოიყენეს აბრეშუმის ორი სახეობა: soie duchesse — 50 მეტრი და Dorganza de soie — 80 მეტრი. ასევე დაიხარჯა 40 000 სვაროვსკის თვალი, 20 000 მარგალიტი და 30 000 ოქროს ქვა. კაბის შექმნას სულ 2500 საათი დასჭირდა.



## ქეით მიდლტონის კაბა

ქეით მიდლტონის საქორწილო კაბა ბრიტანული ტრადიციების მიხედვით შეიქმნა Alexander McQueen-ის მოდის სახლში. კორსეტი მაქმანებით იყო მორთული, ხოლო კაბის დანარჩენი ნაწილი მთლიანად ხელით დაამუშავეს.



## ელიზაბეთ ტეილორის კაბა

ყვითელი საქორწილო კაბა, რომელიც ელიზაბეთ ტეილორს 1975 წელს, მე-5 საქორწილო ცერემონიალზე ეცვა, ისტორიას შემორჩა. კაბაზე პატარძალს ეკეთა ბროში, რომელიც ზურმუხტის თვლითა და ბრილიანტებით იყო გაწყობილი. კაბა იყო გაფორმებული ყვავილებით, ლილიებითა და სუმბულებით.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მოჯირითე ძროხა

**გერმანელმა გოგონამ ძროხას მაღალი ბარიერების დაძლევა ასწავლა. უცნაურ ძროხას ლუნა ჰქვია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 15 წლის რეგინა მაიერს მშობლებმა ცხენის ყიდვაზე უარი განუცხადეს, ამიტომაც მოუხდა მას ძროხის გაწვრთნა, რათა აეხდინა თავისი დიდი ხნის ოცნება – გამხარიყო მხედარი- მოჯირითე.** ძროხა შეეჩვია ლაგამისა და უნაგირის ტარებას და მართალია, მაღალი ბარიერების დაძლევაც ისწავლა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაბრკოლებების გადალახვისას მხედარს შეიძლება საფრთხე შეექმნას, ამიტომ ცხოველების დაცვის სამეფო საზოგადოების წევრები არ ურჩევენ თინეიჯერს ძროხით ჯირითს. მხოლოდ 6 თვის ვარჯიშის შემდეგ ლუნამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ძროხისთვის მეტად რთულ საქმეში –ახლა ის მზადაა, გადალახოს 1,20 მეტრი სიმაღლის დაბრკოლება.



## გრეის კელის კაბა

1956 წელს მსახიობი გრეის კელი ჰოლივუდს გამოემშვიდობა და მონაკოს პრინცესა გახდა. დედოფალს ეცვა აბრეშუმის კაბა, რომელიც გაფორმებული იყო უძველესი მაქმანებით, რომლებიც მიაწოდა კომპანიამ MGM. მისი საყელო, სამკლავურები და კორსეტი გაწყობილი იყო მაქმანებით.

ბევრი თვლის, რომ ქეით მიდლტონმა სწორედ გრეისს მიბაძა კაბის შერჩევისას.



## ჟაკლინ კენედის კაბა

ჯონ ფიცჯერალდ კენედი 1953 წელს დაქორწინდა ჟაკლინ კენედიზე, რომელსაც ულამაზესი კაბა ამშვენებდა. ქორწილში იყო მხოლოდ ერთი ფოტოგრაფი. ცერემონიას ბევრი მაყურებელი არ ჰყოლია. სტუმართა რაოდენობა კი 900-ს არ აღემატებოდა. ახალდაქორწინებულებს ორი საათი დასჭირდათ ყველა სტუმრისთვის ხელის ჩამორთმევისთვის.



## გვენ სტეფანის კაბა

2002 წელს გვენ სტეფანს საქორწილო ცერემონიაზე კაბა თეთრსა და ვარდისფერში ჰქონდა გადაწყვეტილი. გვენმა განაცხადა: „მსურს აბრეშუმის კაბა, მაგრამ არა ტრადიციული“ და მას ეს სურვილი შეუსრულეს.



## პრინცესა დიანას კაბა

პრინცესა დიანამ ჯვარი დაიწერა ლონდონში, Saint-Paul-ის ტაძარში. „არ დაგავიწყდეთ, მსოფლიოს ყველა დიზაინერს სურდა მისთვის კაბის შექმნა“, — განაცხადა დევიდ ემანუელმა BBC-ში 2011 წლის თებერვალში. „ჩვენდა გასაოცრად, დაგვირეკეს და გვკითხეს, თუ შევკერავდით პრინცესა დიანასთვის კაბას. ჩვენ შევთავაზეთ დედოფალს ეს აბრეშუმის კაბა, მაქმანებითა და 10 000 მძივით გაწყობილი“. ეს კაბა ლეგენდად იქცა.

## სასტუმრო მატარებელში

**ძველი მატარებელი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში სანაპირო Santos-ის ბაქანზე წლების წინ გაჩერდა, პატარა სასტუმროდ გადააკეთეს.** სასტუმროს „სანტოსის ექსპრეს მატარებელი“ ან, უბრალოდ, „მატარებელი“ ჰქვია. მატარებელი მიტოვებულ ლიანდაგებზე დგას და ზღვიდან 30 მეტრშია. სულ 7 სამგზავრო ვაგონია: 4 საძინებლადაა ქცეული და 2 ტუალეტი და საშხაპე აქვს. მეხუთე ვაგონი სარესტორნო მომსახურებისაა. რესტორანში მაღალკვალიფიციური მზარეულები არიან დასაქმებულნი და სტუმრებს გემრიელ კერძებს სთავაზობენ; სასტუმროში ტრადიციული, სამხრეთაფრიკული კერძებით გაგიმასპინძლდებიან. სასტუმრო არაა მდიდრული და პრეტენზიული კლიენტების გემოვნებას ვერ დააკმაყოფილებს. ამასთან, კუპეებს არ ეკეტებათ კარი, შესაბამისად, ძვირფასეულობის უსაფრთხოებისთვის თანხის დამატება მოგიწევთ, რომ დაცულ განყოფილებაში შეინახონ.





# ახლად აღმოჩენილი პაპირუსი

**ავსტრალიაში, კვინსლენდის მუზეუმში მიაკვლიეს პაპირუსის ფრაგმენტებს, რომლებიც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეგვიპტელის, ამენჰოტეპის, ჰაპუს ძის, სარიტუალო დაკრძალვას შეეხება.**

გრაგნილის ფრაგმენტების წარმომავლობა ეგვიპტოლოგმა ჯონ ტეილორმა შემთხვევით დაადგინა. მკვლევარის ყურადღება იმ დოკუმენტებმა მიიქცია, რომლებიც ბრიტანეთის მუზეუმის მუმიასთან ერთად გამოიფინა. მანამდე ისინი საცავში ინახებოდა.

ავსტრალიაში ჩასულმა ტეილორმა, რომელიც კვინსლენდში გამოფენილ ბრიტანეთის მუზეუმის მუმიას ახლდა, აღმოაჩინა, რომ ეს დოკუმენტები მკვდართა წიგნის ფრაგმენტებს წარმოადგენდა, პაპირუსს სარიტუალო დაკრძალვის ტექსტით, რომელსაც გარდაცვლილს სარკოფაგში ატანდნენ.

**ამენჰოტეპის მკვდართა წიგნის ცალკეული ფრაგმენტები მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში ინახება. მათ შორის ბოსტონის მუზეუმში, ნიუ იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმსა და ბრიტანეთის მუზეუმში. კვინსლენდის კოლექციაში დაცულ ნაწილზე კი აქამდე არაფერი იყო ცნობილი.**

ეს ფრაგმენტები მუზეუმს კერძო კოლექციონერმა 1913 წელს აჩუქა. გრაგნილი ოცი მეტრის სიგრძისაა და, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ერთ-ერთი ყველაზე მძიმეა. ტეილორმა განმარტა, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში ეგვიპტეში არტეფაქტების საყიდლად არაერთი კერძო პირი ჩადიოდა. მეცნიერები აღმოჩენილი ფრაგმენტის აღწერასა და გრაგნილში მისი ადგილის პოვნას აპირებენ.

მკვდართა წიგნი ძველი ეგვიპტის რელიგიური ტექსტებისა და ჰიმნების ნაკრები იყო. მისი დანიშნულება მკვდართა სამეფოში მოგზაურობისას გარდაცვლილის შემწეობა იყო. ტეილორმა აღნიშნა, რომ პაპირუსი არა ვინმე რიგით, არამედ ეგვიპტის ზეობის ხანის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მოხელეს ეკუთვნოდა.

ამენჰოპეტი, ძე ჰაპუსი, ძვ. წ.აღ. 1458-1425 წლებში ცხოვრობდა და რამდენიმე პროექტის განხორციელებას ხელმძღვანელობდა. მათ შორის ამენჰოტეპ მესამის ტაძრისას ფივაში, მემნონის კოლოსისა და ამონის დიდი ტაძრისას. გარდაცვალების შემდეგ ის მკურნალთა მფარველად მიიჩნეოდა, ხოლო მოგვიანებით გაალმერთეს.



# მინის იატაკი თვითმფრინავებში

**ავიაკომპანია Virgin Atlantic „სიურპრიზს“ უმზადებს იმ ადამიანებს, რომლებსაც სიმაღლის ძლიერ ეშინიათ. ის აპირებს, ცაში გაუშვას ავიალაინერი Airbus A320, რომელშიც სამგზავრო ნაწილის იატაკი გამჭვირვალე იქნება.**

ავიაკომპანია Virgin Atlantic-მა ოფიციალურად განაცხადა, რომ უკვე ატარებს Airbus A320-ის სამოდერნიზაციო სამუშაოებს. ამ ავიალაინერში იატაკის შუაში იქნება სქელი, გრძელი, გამძლე საავიაციო მინა, საიდანაც გახედვისას მგზავრები ღრუბლებით დატკბებიან. ამ ეფექტის მისაღწევად საავიაციო ინჟინრებს საკმაოდ დიდი მონდომებით მუშაობა დასჭირდათ.

პრობლემებს ელოდებიან იმ მგზავრებისგან, რომლებსაც სიმაღლის ეშინიათ. ისინი ხომ ისედაც ძლივს იმორჩილებენ თავს, როდესაც თვითმფრინავი ჰაერშია. ამ შემთხვევაში კი იძულებულები იქნებიან, იარონ გამჭვირვალე მინაზე, რომელიც სადღაც ღრუბლებშია. გადაწყდა, რომ მოდერნიზებული Airbus A320-ის პერსონალი გაივლის ფსიქოლოგიის სპეციალურ კურსებს, რომ იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოექცნენ ასეთ მგზავრებს.

Airbus A320-ი გამჭვირვალე მინით ჯერ გაჩნდება რეისზე ლონდონი-ედინბურგი. შემდეგ დაემატება სხვა მარშრუტები, რომლებსაც ემსახურება ავიაკომპანია Virgin Atlantic.

საქართველო

# ომი წყლის რესურსისთვის უკვე დაიწყო



**ექსპერტთა პროგნოზების მიხედვით, უახლოეს 10 წელიწადში 2 მილიარდი ადამიანი წყლის დეფიციტის მწვავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. დეფიციტი პლანეტის მოსახლეობის 40%-ს შეექმნება. ყველაზე პრობლემური რეგიონებია: ჩრდილოეთი აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი. ამიტომ არ არის გამორიცხული, უახლოეს წლებში ომი გაჩაღდეს ამ ბუნებრივი რესურსისთვის. კონფლიქტის ალბათობა განსაკუთრებით დიდია ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, თუმცა წყლისთვის ომი უკვე მიმდინარეობს სირიაში.**

„2008 წელს სირიაში გვალვა დაიწყო და რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. შედეგად ძალიან დაეცა სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები, გაიზარდა უმუშევრობის დონე, სოფელში მცხოვრებნი ქალაქებში გადასახლდნენ და სწორედ ამ ფონზე დაიწყო უკმაყოფილება, რომელიც შემდეგ შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა“, — ამბობს წყნარი ოკეანის ინსტიტუტის პრეზიდენტი, წყლის რესურსების მსოფლიო ექსპერტი პიტერ გლეიკი.

**სირიელი „ბოევიკები“** წყალს იყენებენ, როგორც იარაღს ხელისუფლებასთან საბრძოლველად. ამა წლის მაისში მათ ქალაქ ალეპოს წყალსაქაჩი სადგურები ააფეთქეს, რის შედეგადაც 2 მლნ ადამიანი უწყლოდ დარჩა.

**ლიბიაში** კონფლიქტის მიმდინარეობისას დაინგრა წყალმომარაგების სისტემა, რომლის აღსადგენადაც ამ ქვეყნის აწ უკვე გარდაცვლილმა ლიდერმა მუამარ კადაფიმ 20 მლრდ დოლარი გამოყო.

**ერაყში** შეჭრის შემდეგ ამერიკულმა კორპორაცია Bechtel-მა ამ ქვეყანაში წყალმომარაგების აღდგენის შესახებ კონტრაქტი მიიღო. ეს კომპანია იძულებული შეიქნა, ბოლივია დაეტოვებინა, როდესაც იქ საზოგადოებრივი პროტესტის ტალღა აზვირთდა წყალზე ფასის მკვეთრად მომატების გამო.

Bechtel-ი ბოლივიაში მოხვდა მსოფლიოს ბანკის წყალობით, რომელმაც განაცხადა, რომ ქვეყანას იმ შემთხვევაში დაეხმარებოდა ფინანსურად, თუკი საზოგადოებრივი წყალმომარაგების სისტემა პრივატიზებული იქნებოდა. ანალოგიური პირობა მოახვიეს თავს ბევრ ქვეყანას, რომელთაც დახმარება სჭირდებოდა.

**„წყლის პრივატიზაცია რთული და საეჭვო პროცედურაა. და თუ ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება, კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას გამოიწვევს მსოფლიოში“,** — აღნიშნავს გლეიკი.

ორგანიზაცია „საზოგადოებაში პატიოსნების ცენტრის“ მონაცემებით, **დასავლეთის ქვეყნები ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში წყლის პრივატიზაციის, გაწმენდისა და ადგილებამდე მიყვანის შემდეგ 1 ტრილიონი დოლარის მოგებას იღებენ. ამ რეგიონებში წყალი უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ნავთობი.**

**„ასი წლის შემდეგ წყალი კოლოსალური თანხა ეღირება და ომები სწორედ ამ რესურსის მოსაპოვებლად დაიწყება“,** — ამბობს აშშ-ის ხელისუფლების ექსპერტი წყლის რესურსის საკითხებში მარიო სალასარი.

თუმცა უკვე დღეს 1,2 მილიარდ ადამიანს არ აქვს სუფთა წყლის მოხმარების შესაძლებლობა. გაეროს სპეციალისტთა პროგნოზით, სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება, წყალი 21-ე საუკუნის ნავთობი გახდება. ხოლო ვინც წყლის რესურსს გააკონტროლებს, ნებისმიერი ქვეყნის განვითარებასა და აყვავებაზე მოახდენს გავლენას. როგორც ჩანს, წყლის რესურსზე კონტროლის დასაწესებლად ომი უკვე დაიწყო.

# ობამას რცხვენია, რომ ძალადობა ვერ აღკვეთა

„მრცხვენია, რომ აშშ-ის ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, შეწყვიტოს ძალადობა!“ — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ორეგონის შტატის ერთ-ერთ სკოლაში ატეხილი სროლის შედეგად მოსწავლის დაღუპვის შემდეგ.



**„მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ძალადობისა და სისასტიკის ასეთი ტალღა. აშშ-მა ამ პრობლემის მოგვარება ვერ შეძლო. ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელშიც ასეთი რამ ხდება. ეს ნორმად იქცა,“** — აღნიშნა თეთრი სახლის მეთაურმა. გარდა ამისა, ობამამ იმ სირთულეებზეც ილაპარაკა, რომლებიც აშშ-ში იარაღის შეძენა-შენახვას მოჰყვება. აშშ-ის ლიდერმა განაცხადა, რომ რამდენჯერაც შეეცადა კონგრესის მეშვეობით იარაღის შეძენა-შენახვის შესახებ კანონის გამკაცრებას, იმდენჯერ წააწყდა წინააღმდეგობას კონგრესმენთა უმრავლესობის მხრიდან, რომლებსაც, როგორც ჩანს, მსროლელთა ნაციონალური ასოციაციის რისხვის ეშინიათ.

შეგახსენებთ, რომ 10 ივნისს, დილით, ორეგონის შტატის ქალაქ ტრაუტდეილის სკოლის შენობაში მამაკაცმა, სავარაუდოდ, სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა, ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა ატეხა, შედეგად დაიღუპა მოსწავლე, ერთი მასწავლებელი კი დაიჭრა.

ეს აშშ-ის სკოლებში მოსწავლის მკვლელობის 74-ე შემთხვევაა 2012 წლიდან დღემდე. ყველაზე საშინელი ინციდენტი კი 2012 წლის 4 დეკემბერს ნიუთაუნის სკოლაში მოხდა — შაშხანითა და 2 პისტოლეტით შეიარაღებულმა 20 წლის ადამ ლანზამ 26 ადამიანი მოკლა, მათ შორის, 5-დან 10 წლამდე 20 ბავშვი.

# ახალი ეროვნული პროექტი



**17 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და საქართველოს საპატრიარქომ მოაწყვეს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის — ზურაბ ხონელიძის პროექტის — სამხრეთ კავკასია — გეოპოლიტიკური სივრცე (რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი) პრეზენტაცია, რომელსაც წარუძღვა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი.**

პროექტის ავტორის თქმით, საერთაშორისო ფუნქციიდან ამოვარდნილი საქართველოს მომავალი, თანამედროვე სამყაროში ქვეყნის როლის ახლებურ გააზრებასა და მისთვის დამატებითი ფუნქციის შეძენის აუცილებლობაში მდგომარეობს. საქართველო უნდა მიუბრუნდეს საკუთარი განვითარების შეწყვეტილ ტრაექტორიას, რისი მიღწევის საშუალებაცაა თანამედროვე გლობალურ სამყაროში არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთო ღირებულებათა, ინტერესების დაბალანსებითა და დამატებით კეთილდღეობას მორგებული ისეთი რეგიონული — გლობალური პროექტის შექმნა, რომლის რეალიზება აგვაცილებს მოსალოდნელ კატაკლიზმებს, დროს ჩვენდა სასიკეთოდ შემოაბრუნებს, და ჩვენი ბედის გადაწყვეტის დარჩენილ (მცირე) დროში მხოლოდ მაყურებლის როლში არ აღმოვჩნდებით.

იდეა — საქართველომ სამხრეთ კავკასიაში და სამხრეთ კავკასიურმა სივრცემ გლობალურ მსოფლიოში იტვირთოს ახალი ფუნქცია და დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი, ერთადერთი სწორი არჩევანია, მეტიც, ჩვენი ბედისწერაა!

პროექტს მაღალი შეფასება მისცეს აკადემიკოსებმა ავთანდილ სილაგაძემ, აპოლონ სილაგაძემ, გენერალ-ლეიტენანტმა გურამ ნიკოლაიშვილმა, ჟურნალისტმა ნუგზარ რუხაძემ, ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა — აკაკი ასათიანმა, თემურ ქორიძემ და სხვებმა.



# ირანი მზად არის ერაყის დასახმარებლად

**„ირანი მზად არის, დაეხმაროს მეზობელი ერაყის ხელისუფლებას დაჯგუფება „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში“,** — განაცხადა თეირანში გამართულ პრესკონფერენციაზე ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ. რუჰანის თქმით, ირანი ერაყს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში დაეხმარება — ერაყმა თვითონ უნდა მიმართოს ირანს დახმარების თაობაზე, თუმცა ასეთი თხოვნით ირანისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავს.

# «ვიკილიქსი»: პოროშენკო აშშ-ის აგენტია!

**ახლახან „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც, ირკვევა, რომ უკრაინის ახალი პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო აშშ-ის აგენტია.**






წერილში, რომელიც უკრაინაში აშშ-ის საელჩოდან ვაშინგტონში გაიგზავნა, უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტი მოხსენიებულია, როგორც „ჩვენი კაცი უკრაინაში“ (our Ukrain (ou) insider — ამ ტერმინს, როგორც ინტერნეტგამოცემა აღნიშნავს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აგენტების მიმართ იყენებენ). წერილში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს პოროშენკოს უკრაინის პრემიერმინისტრობა სურდა და ამ შემთხვევაშიც მას ou-ს უწოდებენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ პოროშენკო აშშ-ის აგენტი იყო, რადგან მას ამ კოდური სიტყვით მოიხსენიებენ, — აღნიშნავს გამოცემა. გარდა ამისა, მიმოწერა შეიცავს ინფორმაციას იულია ტიმოშენკოსა და „მაფიის ბოსთა ბოსის“ სემიონ მოგილევიჩის თანამშრომლობის შესახებ 1990-იან წლებში.


# მკურნალობა მამაკაცებისთვის

**პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.**

**მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.**

**ტელ. 558-15-63-87; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**


საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009